www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 7 აპრილი, 2004 წელი. №82 (631) | ფასი 50 თეთრი

ვარდების რევოლუცია ევროპული ღირებულებების დაცვა იყო

გუგა სულხანიშვილი
საქართველოს პრეზიდენტის პრეს-სამსახური

საქართველოს პრეზიდენტის ორდღიანი ოფიციალური ვიზიტი ბრიუსელში დღეს დასრულდება. დღესვე დაგეგმილია პრეზიდენტ სააკაშვილისა და ნატო-ს გენერალური მდივნის იააპ დე ჰოოპ სხეფერის შეხვედრა.

ვიზიტის ფარგლებში პირველი შეხვედრა გუშინ ევროპარლამენტში შედგა. პრეზიდენტი ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა, ადამიანის უფლებათა, ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე სიტყვით გამოვიდა. სხდომა, რომელსაც დაახლოებით ასამდე დეპუტატი და ამდენივე სტუმარი დაესწრო, ევროპარლამენტის თავმჯდომარემ გახსნა.

პრეზიდენტმა საკუთარი გამოსვლა ძირითადად საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის საკითხებს დაუთმო.

გაგრძელება A3 გვერდზე

REUTERS

რომანო პროდი მოიხიბლა საქართველოს დროშით.

პარლამენტში თანამდებობების გადანაწილება დასრულდა

ეკა კიკიანი

პარლამენტი ორ-სამ კვირაში შეუდგება მუშაობას, თუმცა მომავალმა პარლამენტარებმა კარგად გამოიყენეს დასვენების პერიოდი და, ფაქტობრივად, დამთავრდა საპარლამენტო თანამდებობების გადანაწილება. სიახლე არის ის, რომ მნიშვნელოვნად შემცირდა თანამდებობების რაოდენობა, ვინაიდან ახალი რეგლამენტის მიხედვით გაუქმდა ქვეკომიტეტები, ხოლო კომიტეტების რაოდენობა ცამეტამდე შემცირდა.

პარლამენტის თავმჯდომარე იქნება ნინო ბურჯანაძე და ეს საბოლოოდ გადაწყვეტილია. ახალი რეგლამენტის მიხედვით გათვალისწინებულია ოთხი ვიცე-სპიკერი, ორი აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიებიდან, თითო - უმცირესობიდან და უმრავლესობიდან. თუმცა, როგორც ჩანს, პარლამენტი მუშაობას დაიწყებს სამი ვიცე-სპიკერით, ვინაიდან უმცირესობის შექმნის სურვილს ამისთვის აუცილებელ დეპუტატთა რაოდენობა არ ამჟღავნებს.

გაგრძელება A3 გვერდზე

სომხეთი „ვარდების რევოლუციის" მოლოდინში

რევაზ ბახტაძე

სომხეთის ორი მთავარი ოპოზიციური დაჯგუფება პრეზიდენტ კოჩარიანის წინააღმდეგ გაერთიანდა და ხელისუფლების შესაცვლელად მასობრივ გამოსვლებს გეგმავს.

ორი დღის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე ყველაზე დიდი ოპოზიციური ბლოკის "არათარუთიუნის" (სამართლიანობა) ლიდერმა სტეფან დემირჭიანმა და ეროვნული ერთიანობის პარტიის ლიდერმა არტაშეს გეღამიანმა განაცხადეს, რომ ისინი თავიანთ ძალებს აერთიანებენ, რათა "არალეგიტიმური რეჟიმის შეცვლა" უზრუნველყონ და "სომხეთში კონსტიტუციური წესრიგი აღადგინონ". მათ ოპოზიციის მხარდამჭერებს "მასობრივი საპროტესტო აქციების მოსაწყობად" ქუჩაში გამოსვლისაკენ მოუწოდეს, - იუწყება "რადიო თავისუფლების" სომხური ბიურო.

გაგრძელება A5 გვერდზე

სომხეთში, შესაძლოა, "ვარდების რევოლუცია" განმეორდეს.

ეკონომიკა

დიდი ნავთობსადენი საქართველოსთვის კვლავ პრიორიტეტია

თითქმის პირველივე პოსტრევოლუციურ კვირას საქართველოს ხელისუფლებამ უმასპინძლა "ბი-პი აზერბაიჯანის" ხელმძღვანელობას და ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში გაკეთდა კომენტარები იმასთან დაკავშირებით, რომ ამ პროექტის განხორციელება ვადების დაცვით მიმდინარეობს და მას არავითარი საფრთხე არ ემუქრება. თუმცა, მიუხედავად ხელისუფლების და თავად ინვესტორის განცხადებებისა, საქართველოში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ირგვლივ მაინც გაჩნდა კითხვის ნიშნები.

A4

უცხოეთი

პირველი იმპიჩმენტი ევროპის ისტორიაში

გუშინ ლიტვის სეიმმა პრეზიდენტ როლანდას პაკსასის იმპიჩმენტს დაუჭირა მხარი. 2003 წლის თებერვალში არჩეული პაკსასი ევროპის ისტორიაში იმპიჩმენტის წესით გადაყენებული პირველი პრეზიდენტია. შარშან, ოქტომბერში აგორებული სკანდალი, დღეს უკვე ნატო-ს სრულუფლებიანი წევრი ქვეყნის პრეზიდენტისთვის სავალალოდ დამთავრდა.

A5

საზოგადოება

ისტორია მეორდება

თვალის მიკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკაში კიდევ ერთი სასწაულის მოლოდინი დაიწყო. გუშინ კერატოკომპლექსის გადანერგვის უნიკალური ოპერაცია ტყიბულელ რობერტ ქარქაშაძეს გაუკეთეს. ეს რიგით მეორე შემთხვევაა (პირველი – სამი თვის წინათ წარმატებით დასრულდა). ახლა მთავარია, ორგანიზმმა მიიღოს უცხო სხეული.

A6

სამართალი

არასამთავრობო ორგანიზაციები ქუთაისის მერის წინააღმდეგ „ხავერდოვან რევოლუციას" გეგმავენ

ქუთაისის მერის ნუგზარ ფალიანის კორუფციული საქმიანობის შესახებ გავრცელებული ახალი დეტალები, რომელსაც მერის გადადგომის მოთხოვნა ახლავს, დღითი დღე მწვავე ხასიათს იძენს. "24 საათი" ქუთაისის მერიის ეკონომიკური ხასიათის სამართალდარღვევების შესახებ გუშინწინ იუწყებოდა. ფალიანის წინააღმდეგ გამოთქმული ბრალდებები გუშინ კიდევ უფრო დამძიმდა. რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ ქუთაისის მერი "კანონიერ ქურდთან" - ტარიელ ონიანთან საეჭვო ურთიერთობაში და ქალაქის ბიუჯეტიდან საკუთარ ფირმებისთვის მილიონ ნახევარი ლარის გაცემაში დაადანაშაულა.

A7

ამინდი

თბილისი	19
ქუთაისი	22
ბათუმი	21
სოხუმი	19
ფოთი	22
თელავი	17
ზუგდიდი	22
გორი	17
ახმეტა	18
ჭიათურა	19

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.0000
ევრო	2.4094
გირვანქა სტერლ.	3.6534
რუბლი	0.0701

ცესკო სასამართლო უწყებას დღეს მიიღებს

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" სარჩელს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ საოლქო სასამართლო, სავარაუდოდ, ორ დღეში განიხილავს. გუშინ მთელი დღის განმავლობაში ცესკო-ში სასამართლოდან ამაოდ ელოდნენ უწყებას. როგორც გაირკვა, "მოწვევას" ცესკო დღეს მიიღებს.

"ახალგაზრდა იურისტები" საკუთარი პოზიციის სისწორეში დარწმუნებულები არიან და აცხადებენ, რომ ხულოსა და ქობულეთში არჩევნების შედეგების გაუქმება უფრო პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო, ვიდრე - იურიდიულად დასაბუთებული.

სხვათა შორის, ცესკო-ს კულუარებში არც უარყოფენ, რომ შედეგების გაუქმება უფრო პოლიტიკური მოტივაციით იყო განპირობებული, თუმცა, კვლავ და კვლავ იმეორებენ, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღება მათ ამ ორი ოლქის საარჩევნო კომისიებმა "აიძულეს", რომლებმაც არ იმსჯელეს გამოვლენილ დარღვევებზე და ცესკო-ში

გაგრძელება A2 გვერდზე

გზა პარლამენტიდან გაურკვევლობისკენ

გიორგი ასანიშვილი

ზაქარია ქუცნაშვილის პარტიული კარიერა ბოლო დრომდე აღმავალი ხაზით მიდიოდა: ვახტანგ რჩეულიშვილის გადადგომის შემდეგ მან დიდი ნაბიჯი გადადგა და სოციალისტურ პარტიაში მეორე კაცი - გენერალური მდივანი გახდა. თუმცა, ქუცნაშვილისთვის სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ თავად სოციალისტური პარტიის საქმეები წავიდა უკან. ქუცნაშვილმა პარტიის ახალ ლიდერთან - ირაკლი მინდელთან ერთად, ჩასაძირად განწირული ხომალდიდან გაქცევა სცადა და პარლამენტში შესვლა ლეიბორისტების პარტიული სიით მოინდომა, მაგრამ შალვა ნათელაშვილმა პარტიულ ემიგრანტებს მაშველი რგოლი არ გადაუგდო - სოციალისტების თავკაცებს სიაში შეყვანაზე უარი უთხრა.

თავად სოციალისტური პარტიის ძალა (უფრო ზუსტად, უძლურება) კი 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებმა ნათლად წარმოაჩინა:

გაგრძელება A2 გვერდზე

რის ხარჯზე გაიზრდება თბილისის ბიუჯეტი

ეთერ მამულაშვილი

წელს დედაქალაქის ბიუჯეტი, დაახლოებით, 50 მილიონი ლარით გაიზრდება. ასეთ პროგნოზს აკეთებენ მერიის საფინანსო სამსახურში. შესაბამისად, ამდენითვე მოიმატებს ხარჯებისა და შემოსავლების ოდენობაც. თბილისის ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტი, სავარაუდოდ, აპრილის ბოლომდე მომზადდება. მერიის შესაბამის სამსახურებში აცხადებენ, რომ 2004 წლის ბიუჯეტი შარშანდელთან შედარებით უფრო რეალური და შესრულებადი იქნება.

ამჟამად მერიის საფინანსო სამსახური ბიუჯეტის პროექტზე მუშაობს. საშემოსავლო ნაწილი თითქმის დასრულებულია და ცალკეულ სამსახურებთან მისი შეთანხმება მიმდინარეობს. როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, პროექტის თანახმად, წელს ბიუჯეტის შემოსავლები 275 მილიონი ლარით განისაზღვრება. რაც შეეხება 2004 წლის ხარჯვით ნაწილს, მასზე მუშაობას საფინანსო სამსახური ამ დღეებში დაიწყებს.

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პროექტი
B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ევროისტორია | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

გზა პარლამენტიდან გაურკვევლობისკენ

ირინა ლილუაშვილის ფოტო

ზაქარია ქუცნაშვილი პარლამენტს დაემშვიდობა.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲓᲐᲜ

რჩეულიშვილის პარტიულმა მემკვიდრეებმა ხმების მხოლოდ 0,47 პროცენტი მოაგროვეს. ჰოდა, ზაქარია ქუცნაშვილიც საბოლოოდ დარწმუნდა, რომ საკანონმდებლო ორგანოსთან განშორების დრო მოვიდა. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის აწ უკვე ყოფილმა პირველმა მოადგილემ გუშინ პარლამენტში გამოსამშვიდობებელი პრესკონფერენცია გამართა, რომელიც საკუთარ თავზე დაწერილი პოლიტიკური ნეკროლოგის საზოგადოებისთვის გაცნობას უფრო ჰგავდა. ქუცნაშვილი, ძირითადად, იმ საქმეებზე საუბრობდა, რომელიც მან 1999-2004 წლებში, პარლამენტში მოღვაწეობის დროს გააკეთა.

"ეს იყო დამეგობრებისა და სიყვარულის, გამარჯვებებისა და დამარცხებების წლები," - სევდით იხსენებს ქუცნაშვილი ახლო წარსულს და თანამშრომლობისთვის მადლობას უხდის ყველას - პარლამენტის აპარატიდან დაწყებული და მთარგმნელთა ჯგუფის წევრებითა თუ რადიოფიცირების სამსახურის მუშაკებით დამთავრებული. "გამოსამშვიდობებელ საღამოზე" ქუცნაშვილმა იმ კანონების ნუსხა წარმოადგინა, რომელთა შექმნაშიც პირადად მიიღო მონაწილეობა.

ორგანული კანონი "იმპიჩმენტის შესახებ", საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, კანონი "პროკურატურის შესახებ", კანონი "ადვოკატთა შესახებ", კონსტიტუციური შეთანხმება "საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის" - ასეთია საკანონმდებლო აქტების არასრული ჩამონათვალი, რომელთა შექმნაშიც განსაკუთრებით გამოყოფს თავის წვლილს სოციალისტების ახალგაზრდა ლიდერი. ყოფილ პარლამენტარს საკანონმდებლო ორგანოდან უკმაყოფილების გრძნობაც მიჰყვება; უფრო იმის გამო, რომ ღვაწლი არ დაუფასდა. ქუცნაშვილის თქმით, სწორედ მან შეიმუშავა კანონპროექტები, რომლებიც "დღევანდელმა ხელისუფლებამ შემდეგ თავად მიიწერა". სოციალისტური პარტიის გენმდივანი საკუთარ "საავტორო უფლებას" შელახულად მიიჩნევს ისეთ საკითხებში, რომლებიც შეეხება დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული ქონების კონფისკაციას, დეპუტატის იმუნიტეტის შეზღუდვას და სხვა.

კანონშემოქმედთა კორპუსიდან წასული ქუცნაშვილი არ აკონკრეტებს, სამომავლოდ რას აპირებს. სამი საჯარაუდო სფეროდან (არასამთავრობო, ბიზნესი, პოლიტიკა) რომელში იმოღვაწეებს ახალგაზრდა სოციალისტი, გუშინდელი პრესკონფერენციის შემდეგ გაურკვეველი დარჩა. თუმცა, ერთი საინტერესო მინიშნება მაინც გაკეთდა.

"თუ კერძო სექტორში, ბიზნესში გადავედი, მაშინ პოლიტიკას მთლიანად ჩამოვცილდები," - აცხადებს ზაქარია ქუცნაშვილი.

უბედური შემთხვევა

გუშინ დილით აღმაშენებლის გამზირზე მომხდარმა უბედურმა შემთხვევამ ერთი მამაკაცი იმსხვერპლა. №137 სახლის სახურავიდან შენობის ნაწილი ჩამოინგრა და ნაგვის ბუნკერთან მდგარ ადამიანს დაეცა. როგორც დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობაში განმარტეს, ეს სახლი ძველი, ისტორიული შენობაა, რომელიც ორი წლის წინათ მომხდარმა მიწისძვრამ უარესად დააზიანა. გამგეობა აღნიშნული შემთხვევის დეტალებს იკვლევს. თუმცა, გამოსკვლევი ბევრი არაფერია. აღმაშენებლის №137 სახლის მსგავს და უარეს მდგომარეობაში ათასობით სახლია, რის გამოც, ასეთივე შემთხვევები ყოველ წამსაა მოსალოდნელი. მიწისძვრის შედეგად დაზიანებული სახლების აღსადგენად კი, დიდი ხანია, თანხა არ გამოყოფილა. თბილისის ვიცე-პრემიერის მოვალეობის შემსრულებელი თემურ ქურხული იმით გვამშვიდებს, რომ ავარიული სახლების აღდგენა 2004 წლის ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად მიიჩნევა.

24 საათი

ცესკო სასამართლო უწყებას დღეს მიიღებს

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲓᲐᲜ

სრულიად გაყალბებული ოქმები გადმოაგზავნეს. ამის ცოცხალი მოწმე კი ცესკო-ს "ნაციონალი" წევრი ზაზა გოროზიაა, რომელმაც არაერთი უხეში დარღვევა გამოავლინა.

და მაინც, როგორც "ახალგაზრდა იურისტები" აცხადებენ, კანონი დაირღვა, რადგან ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ოლქის შედეგების გაუქმების უფლება არ ჰქონდა. **"აქედან გამომდინარე, რა მოტივითაც არ უნდა გაამართლოს ცესკო-მ საკუთარი გადაწყვეტილება, სასამართლომ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს და ცესკო-ს შესაბამისი განკარგულება გააუქმოს",** - ამბობს ამ ორგანიზაციის თავმჯდომარე თინათინ ხიდაშელი.

და ბოლოს: ცესკო-ში უარყოფენ იმ ფაქტს, რომ ხულოში და ქობულეთში ხელახალი არჩევნების დანიშვნით ირღვევა კონსტიტუციით დადგენილი ვადა, ახალი მოწვევის პარლამენტის პირველი შეკრების თაობაზე. როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურისტები აცხადებენ, ხელახალი არჩევნების დანიშვნით ეს ვადა ავტომატურად გადაიწევს.

თუმცა, მეორე მხრივ, ისიც ცხადია, რომ საქართველოში ასეთი პრეცედენტი აქამდე არ ყოფილა და პროპორციული წესით დანიშნული არჩევნების შედეგების საბოლოო დამტკიცებას, ცესკო, ავად თუ კარგად, დადგენილ ვადაში ახერხებდა. თუმცა, თუკი ახლა სასამართლო კომისიის განკარგულებას გააუქმებს, მაშინ ცესკო არჩევნების შედეგების დამტკიცებას კანონით დადგენილ დროში შეძლებს.

24 საათი

გენერალი დუმბაძე ბრალდებებს უარყოფს

გენერალი დუმბაძე, რომელიც ასლან აბაშიძესთან დაახლოებული პირია და 25-ე მოტომსროლელ ბრიგადას გახსნის დღიდან ხელმძღვანელობს, მის მიმართ გამოთქმულ ბრალდებებს უარყოფს. დუმბაძეს საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტის დღეს ჩოლოქზე მისი ბრიგადის კუთვნილი მძიმე ტექნიკის განთავსება, ცენტრალური ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ბრალდება. დუმბაძე ამტკიცებს, რომ მძიმე ტექნიკა და ცეცხლსასროლი იარაღი მისდამი დაქვემდებარებული ბრიგადიდან გამთენიისას, დილის 07.00 საათზე გაიტანეს. მისივე თქმით, ბრიგადის ტერიტორიაზე ნიღბიანები შეცვივდნენ და მძიმე ტექნიკა და საბრძოლო მასალა მისი ნებართვის გარეშე გაიტაცეს.

"მე უდანაშაულო ვარ, საქართველოსთვის არასდროს მიღალატია," - აცხადებს დუმბაძე. იგი არ იცნობს ოფიციალურ ბრძანებას მისი გადაყენების შესახებ და იმ შემთხვევაშიც, როცა გაიცნობს, არ დაემორჩილება და ბრიგადის მეთაურად დარჩება.

ინტერ-პრესი

ᲝᲠᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ

თბილისი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ როსტომ ჭავაფარიძის დანიშვნა ასლან აბაშიძის დაცვის უფროსის, დავით ხალვაშის დაქვემდებარებაში მყოფი უკანონო შეიარაღებული ფორმირებების ფინანსურ უზრუნველყოფას უკავშირდება. ამის შესახებ განაცხადა აჭარის მეთაურის ასლან აბაშიძის პრესცენტრის ყოფილმა ხელმძღვანელმა თამაზ ბაკურიძემ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. მიხეილ სააკაშვილსა და ვლადიმირ პუტინს შორის 5 აპრილს სატელეფონო საუბარი შედგა. ქვეყნის მეთაურებმა ორმხრივი, მათ შორის - უშიშროების სფეროში, თანამშრომლობის საკითხებზე იმსჯელეს. რუსული საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, სატელეფონო საუბარი ქართული მხარის ინიციტივით გაიმართა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საბაჟო სამსახურის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, 5 აპრილიდან ზუგდიდის რაიონიდან გალის რაიონში გადასასვლელად გადასახდელი თანხა 3-ჯერ მეტი - 300 რუსული რუბლი ღირს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. გაერო-ში საქართველოს ელჩის რევაზ ადამიას განცხადებით, აპრილის ბოლოს გაერო-ს უშიშროების საბჭოს მორიგი სხდომაა დაგეგმილი, რომელიც აფხაზეთის საკითხს უკავშირდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ეკონომიკის ექსპერტი გია მაისაშვილი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში იმყოფება. იგი აჭარის მეთაურ ასლან აბაშიძესთან და სხვა ოფიციალურ პირებთან შეხვედრების გამართვას გეგმავს. **მედია-ნიუსი**

"თავისუფლება" ბარიერს მიღმაც კონსტრუქციული რჩება

გაზრდილია ირინა ლილუაშვილის ფოტო

"თავისუფლება" არჩევნების გაყალბებაზე ალაპარაკდა.

"თავისუფლების" წევრები დარწმუნებულნი არიან, რომ მათმა პარტიამ შვიდპროცენტიანი ბარიერი გადალახა. კონსტანტინე გამსახურდიას პარტიის წევრები აცხადებენ, რომ ეს არჩევნები ხელისუფლებამ გააყალბა. **"ერთადერთი სამართლიანი არჩევნები 1990 წელს ჩატარდა. ამ არჩევნებმა კი მხარი დაუმშვენა 1992, 1995, 1999 წლებში ჩატარებულ არჩევნებს,"** - წერს შვეიცარიაში მყოფი პარტიის ლიდერი მიმართვაში საქართველოს მოსახლეობისადმი.

"თავისუფლების" წარმომადგენელთა აზრით, ახალ ხელისუფლებას არანაირი მორალური უფლება არ აქვს, თავი ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების მემკვიდრედ გამოაცხადოს. "თავისუფლების" წევრები დარწმუნებულნი არიან, რომ **"ამ ხელისუფლებამ ერთი ხელის დაკვრით წაართვა ათასობით ამომრჩევლის ხმა, სხვადასხვა ოლქში წინასწარ მომზადებული ოქმები დაიგზავნა. ცესკო-ს კი, ელემენტარულად, დათვლისთვის ვერ მოუბამს თავი. მიმატება-გამოკლებას ვერ ახერხებს."** არ არის გამორიცხული, რომ უახლოეს მომავალში "თავისუფლებამ" უზენაეს სასამართლოს მიმართოს.

"ჩვიდმეტიდან ოცდაშვიდ მარტამდე ჩვენს საარჩევნო კამპანიაში 100 000-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა... გუბერნატორებს და გამგებლებს ჰქონდათ პირდაპირი მითითება - სახელისუფლო პარტიის სასარგებლოდ ემუშავათ," - ნათქვამია კონსტანტინე გამსახურდიას წერილში. ექს-პრეზიდენტის ვაჟი აქვე იმასაც განმარტავს, თუ რა მოიმკა ხელისუფლებამ არჩევნების გაყალბებით და "თავისუფლების" ბარიერს მიღმა დატოვებით: **"ხელისუფლებამ საკუთარი ავტორიტეტიც შეილახა და დასავლური ორიენტაციის ოპოზიციის ჩამოყალიბებასაც შეუშალა ხელი."**

"თავისუფლების" წევრთა განცხადებით, მათი ლიდერი საქართველოში სამი-ოთხი კვირის შემდეგ დაბრუნდება. გამსახურდია წერილობით მიმართვაში მის მიერ პოლიტიკური ეთიკის ცხოვრებაში განხორციელებაზე საუბრობს. პარტიის წევრები კი აცხადებენ, რომ **"ტესტირებაში ჩაჭრილი ხელისუფლების მიმართ ისინი კონსტრუქციულ და, ამავე დროს, მძაფრ პოზიციას დაიჭერენ."**

ლენა მიქაძე

აფეთქება რუსეთის გენშტაბის ტერიტორიაზე

გუშინ საღამოს თბილისში აფეთქება მოხდა. ვაკე-საბურთალოს გზაზე მდებარე, ამიერკავკასიაში რუსეთის გენერალური შტაბის შენობის ტერიტორიაზე, რუსეთის სამხედრო მოსამსახურეების საერთო საცხოვრებელი სახლის წინ აფეთქება იმ დროს მოხდა, როცა სახლის სადარბაზოში უნდა შესულიყო გენშტაბის უფროსის მოადგილე, გენერალი ალექსანდრ სტუდენიკინი.

აფეთქების შედეგად სერიოზულად დაზიანდა საცხოვრებელი სახლის კედელი, ხოლო გენშტაბის უფროსის მოადგილემ, რომელსაც პირველადი სამედიცინო დახმარება შემთხვევის ადგილზევე აღმოუჩინეს, ფეხისა და სახის არეში საშუალო ხარისხის დაზიანებები მიიღო. გენერალი სტუდენიკინი გადაყვანილია ჰოსპიტალში. შემთხვევის ადგილზე რამდენიმე წუთში მივიდნენ საქართველოს სამართალდამცველი უწყების პირველი პირები, რომლებმაც შემთხვევის ადგილი რუს სამხედრო ექსპერტებთან ერთად დაათვალიერეს. ქართველმა სამართალდამცველებმა შენობის კედელთან აღმოაჩინეს ხელნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელიც საათის მექანიზმში იყო დამონტაჟებული. მომხდარ აფეთქებასთან დაკავშირებით არსებულ ვერსიებზე ქართველი სამართალდამცველები, ჯერჯერობით, არ საუბრობენ, თუმცა, გავრცელებული ვერსიით, აფეთქება პროვოკაციის მიზნით მოხდა.

24 საათი

ᲝᲤᲘᲪᲘᲠᲝᲖᲘ

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება № 380

2004 წლის 3 აპრილი ქ. თბილისი

დ. ინგოროყვას საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს დავით ინგოროყვა საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილედ.

ზურაბ ჟვანია

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება № 391

2004 წლის 5 აპრილი ქ. თბილისი

ვ. თოფურიას საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის პირველ მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს ვახტანგ თოფურია საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის პირველ მოადგილედ.

ზურაბ ჟვანია

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება № 392

2004 წლის 5 აპრილი ქ. თბილისი

ი. ნოვრუზოვის საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს ისაკ ნოვრუზოვი საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილედ.

ზურაბ ჟვანია

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება № 393

2004 წლის 5 აპრილი ქ. თბილისი

დ. გვათუას საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს დავით გვათუა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილედ.

ზურაბ ჟვანია

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება № 394

2004 წლის 5 აპრილი ქ. თბილისი

ლ. მეტრეველის საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს ლელა მეტრეველი საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილედ.

ზურაბ ჟვანია

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება № 395

2004 წლის 5 აპრილი ქ. თბილისი

გ. მურადიანის საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების მინისტრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს გენრიხ მურადიანი საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების მინისტრის მოადგილედ.

ზურაბ ჟვანია

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება № 396

2004 წლის 5 აპრილი ქ. თბილისი

თ. მიმინოშვილის საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების მინისტრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს თემურ მიმინოშვილი საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების მინისტრის მოადგილედ.

ზურაბ ჟვანია

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება № 397

2004 წლის 5 აპრილი ქ. თბილისი

ი. მაჭარაშვილის საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს ირაკლი მაჭარაშვილი საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილედ.

ზურაბ ჟვანია

საქართველოს ეროვნული ბანკის განცხადება

1. საქართველოს ეროვნული ბანკი, 2004 წლის ბიუჯეტის სახსრებით გათვალისწინებული ბეჭდვით პოლიგრაფიულ მომსახურებაზე, აცხადებს ღია ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მომსახურება განხორციელდება 2004 წლის განმავლობაში, ს.ე.ბ.-ის მოთხოვნების შესაბამისად კონკრეტული სამუშაოს სიდიდისა და ამ სამუშაოების ვადების გათვალისწინებით. შესაძლებელია ტენდერში გამოვლენილი იქნას რამოდენიმე გამარჯვებული. მომსახურება ტექნიკური სპეციფიკაციის მიხედვით, თავის დანიშნულებით და გამოყენებით უნდა აკმაყოფილებდეს სეკ(CPA)002-99 შესაბამის მოქმედ სტანდარტს D-DE-22. კერძოდ:

ლოტის N	N	საქონლის დასახელება L	რაოდენობა	მიწოდების ადგილი
1	1.1	„მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი"	ტირაჟი: კვარტალში ერთხელ250ც.X250ც. ქართულ-ინგლისური,80-90 გვერდი, A4-ის ფორმატი.	საქ. ეროვნული ბანკი ქ. თბილისი ლეონიძის ქ. 3/5
	1.2	საქ. ეროვნული ბანკის ინფორმაციული მომსახურება	ტირაჟი: წელიწადში ორჯერ 300ც., ქართულ ენაზე, 30-40 გვერდი, A4 ფორმატი.	
	1.3	ჟურნალი „ბანკი"	ტირაჟი: ნახევრად კოორდინაციული ნომერი 350ც., 100-120 გვერდი, A4 ფორმატი.	
	1.4	საქ. ეროვნული ბანკის 2003 წლის წლიური ანგარიში.	ტირაჟი: 500ც.-500ც. ქართულ-ინგლისური, 100-120გვერდი, A4 ფორმატი.	
	1.5	საგარეუფო 2004 წლის მეორე ნახევარში დამზადდეს ფარის მოფიფიცირებული ბანკნოტების აღრიცხვის სარეკლამო პლაკატები	საგარეუფო ტირაჟი: 1000ც.-30000ც. A3 ფორმატი	
2	2.1	ბლანკები (ბრძანებები, განკარგულებები, დადგენილებები,ოქმები და სხვა)	ტირაჟი: სებ-ის მოთხოვნების და მიხედვით. A4 ფორმატი.	
	2.2	ბრძანების რეზოლუციის ბლანკები	ტირაჟი: სებ-ის მოთხოვნის და მიხედვით, ფორმატი 13X16სმ.	
	2.3	Nსაღდ ფულთან მუშაობის კვალიფიკაციის მოწმობა	ტირაჟი: 50ც. ფორმატი: A5 (A4ბოკვეცილი).	
	2.4	საკასო კვანძის (კვანძგარეთა სალარის) პასპორტი	ტირაჟი: 100ც. ფორმატი:A4 (A3 მოკეცილი).	
	2.5	პასპორტი ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მრიგადგილის შესახებ	ტირაჟი: 100ც. ფორმატი:A4(A3 მოკეცილი).	
3	3.1	საფულე ჩეკის წიგნაკი	ტირაჟი: 15000ც. 25 ფურცლიანი, ფორმატი: 14X11,5სმ, გამოყენებული დამცავი მექანიზმის რაოდენობა 8.	
	3.2	მიდა საბანკო გასაცემის ორდერი	ტირაჟი: 30000ც.ოთ3. 2ფურცლიანი, ფორმატი: 15X10,5სმ, გამოყენებული დამცავი მექანიზმის რაოდენობა 7.	
	3.3	მიდა საბანკო შემოსავლის ორდერი	ტირაჟი:30000 ც.ოთ3. 2ფურცლიანი, ფორმატი 15,0X10,5სმ, გამოყენებული დამცავი მექანიზმის რაოდენობა 7.	

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, განცხადების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღისა სებ-ის კანცელარიაში 17.00-სთ-მდე სათანადო რეგისტრაციის გავლით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5, სატენდერო კომისიის სამდივნო ტელ/ფაქსი:98-21-34. ტელ. 44-23-88, 44-22-11 შიდა ტელ. 2-11; 3-88

4. დაინტერესებულ პირთა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებს და ინფორმაციებს რომ
ა)წარდგინების წერილი წარმოდგენილი საბუთების ჩამონათვალისა და გვერდების აღნიშვნით:
ბ) მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან);
გ) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);
დ) მის მიმართ არ მიმდინარეობს იძულებით სააღსრულებო წარმოება(ცნობა სააღსრულებო ბიუროდან);
ე) ტენდერის დაწყების მომენტისთვის მისი ხელმძღვანელის (ფიზიკური პირის) მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის(ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან);
ვ) ფიზიკური პირისთვის; ცნობა, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ ააქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (ცნობა ჯანმრთელობის დაცვის სპეციალიზირებული დაწესებულებიდან);
ზ) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან).
თ) ბოლო სამი წლის ბალანსი აუდიტის დასკვნასთან ერთად;
ი) დადგენილების ასლი სასამართლოში რეგისტრაციის შესახებ;
კ) მინდობილობა ხელისმომწერ უფლებამოსილ პირზე;
ლ) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მომსახურეობის შესახებ;
მ) ნებართვა სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული პოლიგრაფიულ მომსახურეობაზე.(გამოიყენება II და III ლოტებში);
ნ) რეკვიზიტები(მისამართი, ტელეფონი,ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
III ლოტში მონაწილე კომპანიას უნდა გააჩნდეს ISO 9001:2000 სერთიფიკატი;
(უცხო ქვეყნის წარმომადგენლებმა ზემოაღნიშნული დოკუმენტაციები უნდა წარმოადგინონ-- --ქვეყნის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებიდან, რომლებიც გასცემენ აღნიშნულ ცნობებს).

5. იურიდიული ან ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო მონაცემებს თუ იგი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ყველა ცნობასა და ინფორმავციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. ტენდერი განხილული იქნება სამ ლოტად, სახეობების, პოლიგრაფიული ბეჭდვის სირთულის და მათი კლასიფიკაციის მიხედვით.

7. ტენდერის პროცედურებში საქართველოსა და უცხო ქვეყნის პრეტენდენტების მონაწილეობის შემთხვევაში საქართველოს პრეტენდენტისადმი გამოყენებული იქნება პრეფერენციული შეღავათი 15%-ის ოდენობით იმ შემთხვევაში როდესაც საქართველოში რეგისტრირებული მეწარმე წარმოადგენს დოკუმენტს საქონლის ადგილობრივი წარმოშობის შესახებ.

8. სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ ს.ე.ბ.-ის სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტად აღიარებული პირები აღიარებიდან და შეტყობინებიდან 3 დღის განმავლობაში, რომლებიც გადაიხდიან სატენდერო მოსაკრებელს 500 ლარის ოდენობით, საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ N000904742 "შესყიდვებთან დაკავშირებით მიღებული სატენდერო მოსაკრებლის" სპეციალურ ანგარიშზე, ბანკის კოდი 220101107. სახაზინო კოდი 4040.

9. საკვალიფიკაციო მონაცემებს განიხილავს სატენდერო კომისია საკვალიფიკაციო მონაცემთა წარდგენის ბოლო დღიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში, რის შედეგადაც დადგინდება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტთა სია, რომელიც 5 დღის ვადაში ეცნობებათ პრეტენდენტებს.

10. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიის სამდივნოს საქ. ეროვნული ბანკი ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5, ოთახიN124,125 ტელ./ფაქსი:98-21-34. ტელ. 44-23-88, 44-22-11 შიდა ტელ. 2-11; 3-88

ტენდერის პირობების შესახებ ინფორმაცია ასევე განთავსებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ინტერნეტ გვერდზე (www.nbg.gov.ge).

საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისია.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

ვარდების რევოლუცია ევროპული ღირებულებების დაცვა იყო

პირველი გვერდიდან

მან რამდენჯერმე ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს და ევროპას საერთო ღირებულებები აერთიანებთ. **“ჩემი გამოსვლის მიზანია, საქართველო წარმოვაჩინო. მინდა გითხრათ, რომ საქართველოს შეუძლია, ბევრი რამ ისწავლოს ევროპისგან. საქართველო ევროპის ნაწილია. ნოემბერში ქართველმა ხალხმა ისტორიული არჩევანი გააკეთა. ვარდების რევოლუცია, პირველ რიგში, სწორედ ევროპული ღირებულებების დაცვა იყო. საქართველო ამაყობს თავისი არჩევანით,”** – განაცხადა მან.

საქართველოს მთავრობის მთავარ ამოცანად პრეზიდენტმა კორუფციასთან ბრძოლა დაასახელა. **“კორუფციასთან ბრძოლა მხოლოდ ცალკეული ადამიანების დაპატიმრებით არ შემოიფარგლება, ჩვენ კორუფციულ სისტემას ვანგრევთ,”** – აღნიშნა მან. ევროპარლამენტში გამოსვლისას პრეზიდენტი საგანგებოდ შეჩერდა რუსეთის საკითხზე. იგი მოხარულია, რომ რუსეთი საქართველოდან სამხედრო ბაზების გაყვანის მზადყოფნას გამოთქვამს. **“ჩვენ რუსეთთან ახალი ურთიერთობა დავიწყეთ და ამ ურთიერთობას ძალიან დიდი პოტენციალი აქვს,”** – დასძინა მან.

“საქართველო მზად არის, აიღოს ის დიდი პასუხისმგებლობა, რაც ევროპაში ინტეგრაციისთვისაა საჭირო. ჩვენ მზად ვართ, ევროპისკენ გადავდგათ ნაბიჯები, მაგრამ ასევე მოველით, რომ ევროპაც წამოვა ჩვენსკენ. საქართველოს აქვს პოტენციალი, რომ თავისი წვლილი შეიტანოს ევროპის კიდევ მეტად განვითარებაში,” – განაცხადა პრეზიდენტმა.

მიხეილ სააკაშვილის თქმით, საქართველოს შეუძლია, ევროპას ახალი რეგიონული ბაზარი შესთავაზოს. ასევე, საქართველო მზადაა, საკუთარი წვლილი შეიტანოს ტრეფიკინგთან და ტერორიზმთან ბრძოლაშიც.

საჯარო გამოსვლის დასასრულს, საქართველოს პრეზიდენტმა იხუმრა, რომ კარგი იქნება, თუ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას მარტო მისი შვილები კი არა, თავადაც ახალგაზრდა და ენერგიული მოესწრება.

საქართველოს პრეზიდენტის ბრიუსელში ვიზიტისას მეორე შეხვედრა ევროკომისიის პრეზიდენტთან რომანო პროდისთან შედგა. საუბრის ძირითადი თემა კვლავ საქართველოს ევროპაში ინტეგრაცია გახლდათ. პროდისთან შეხვედრისას პრეზიდენტმა სურვილი გამოთქვა, რომ ევროპული გაფართოების ინიციატივაში საქართველოც მოიაზრებოდეს. ევროკომისიის პრეზიდენტმა ყურადღება გაამახვილა აჭარაში ადამიანის უფლებების შელახვის ფაქტებზე და იმედი გამოთქვა, რომ აღნიშნული საკითხი მალე მოგვარდება. შეხვედრა ერთობლივი პრესკონფერენციით დასრულდა, რომელსაც ქართველი და უცხოელი ჟურნალისტები ესწრებოდნენ.

ევროკომისარმა საგარეო ურთიერთობების საკითხებში ქრისტოფერ პატენმა გუშინ, საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრისას, მიულოცა მას წარმატებით ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები. ბატონი პატენის თქმით, საქართველოში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესი და რეფორმები რეგიონულ მნიშვნელობას იძენს. **“საქართველო მთელი რეგიონისთვის მაგალითი უნდა გახდეს,”** – აღნიშნა მან.

მიხეილ სააკაშვილისა და რომანო პროდის შეხვედრა.

საკმაოდ კეთილგანწყობილად ჩაიარა პრეზიდენტისა და ევროკავშირის საბჭოს გენერალური მდივნის ჰავიერ სოლანას შეხვედრამაც. ბატონმა სოლანამაც მიულოცა პრეზიდენტს წარმატებული არჩევნები და აჭარის საკითხით დაინტერესდა. აჭარაზე საუბრისას პრეზიდენტმა სააკაშვილმა ხაზი გაუსვა რუსეთის ნეიტრალურ პოზიციას. **“რუსეთის პრეზიდენტმა ჩემთან საუბარში დაადასტურა ცენტრის მოთხოვნების სამართლიანობა რეგიონის მიმართ,”** – აღნიშნა მან. ბატონი სოლანასა და საქართველოს პრეზიდენტის შეხვედრაც ერთობლივი ბრიფინგით დასრულდა.

ბრიუსელში ორდღიანი ვიზიტის პირველი დღე საქართველოს პრეზიდენტმა ეგმონტის სასახლეში დაასრულა. მიხეილ სააკაშვილი სიტყვით გამოვიდა ბელგიის საერთაშორისო ურთიერთობათა სამეფო ინსტიტუტის ინიციატივით გამართულ კონფერენციაზე, რომელსაც სამასამდე დელეგატი დაესწრო. შეხვედრის დასაწყისში ორგანიზატორებმა საქართველოს პრეზიდენტის დაწვრილებითი ბიოგრაფია წარმოადგინეს. ბატონმა სააკაშვილმა აღნიშნა, რომ დღეს ევროკავშირის წევრებად იქცნენ ისეთი ქვეყნები, რომლებიც ძალიან ცოტა ხნის წინ კანდიდატებადაც კი არ მოიაზრებოდნენ. **“საქართველოსაც აქვს ეს პერსპექტივა. ჩვენმა ქვეყანამ ისეთი მანკიერი სინდრომები დაძლია, როგორიცაა კლანური მმართველობა, ჩრდილოვანი ეკონომიკა. საქართველო ერთ-ერთი წარმატებული დემოკრატიის მქონე ქვეყანაა დსთ-ში, ამიტომ ჩვენ ძალიან დიდი შანსი გვაქვს, ევროპის სრულუფლებიანი წევრი გავხდეთ,”** – აღნიშნა პრეზიდენტმა.

კულუარები

პარლამენტში თანამდებობების გადანაწილება დასრულდა

პირველი გვერდიდან

აჭარას ჯერ არ დაუსახელებია თავისი ვიცე-სპიკერი. აფხაზეთიდან ვიცე-სპიკერად გახდომის დიდ სურვილს ამჟღავნებს ვახტანგ ყოლბაია, მას მხარს უჭერს ხელისუფლებაც, თუმცა, არ არის გამორიცხული, საკუთარ ფრაქციაში შეექმნას პრობლემები. უმრავლესობიდან ვიცე-სპიკერის თანამდებობას დაიკავებს "დემოკრატი" მიხეილ მაჭავარიანი.

გადაწყდა, რომ პარლამენტში შეიქმნას ხუთი ფრაქცია და, აქედან გამომდინარე, ხუთი პარლამენტარის ამბიცია დაკმაყოფილდება. "ნაციონალ-დემოკრატების" ფრაქციის თავმჯდომარე მაია ნადირაძე გახდება. ხელისუფლება მისი სიით გასული დეპუტატებისგან კიდევ ერთ ფრაქციას შექმნის და მას სათავეში ბესო ჯუღელი ჩაუდგება. დანარჩენი მაჟორიტარები გადანაწილდებიან ნიკო ლეკიშვილისა და მერაბ სამადაშვილის ფრაქციებში. "მემარჯვენე მრეწველები" მეექვსე ფრაქციას შექმნიან და მას დავით გამყრელიძე უხელმძღვანელებს.

როგორც ამბობენ, დიდი ვნებათაღელვა და ნერვიულობა გამოიწვია კომიტეტების გადანაწილებამ, აქ ჯერაც მიმდინარეობს კულუარული კამათი. უეჭველად გადაწყვეტილია, რომ აგრარულ კომიტეტს “ნაციონალი” გია ხეციაშვილი უხელმძღვანელებს, საფინანსო-ბიუჯეტოს – “ნაციონალი” რომან გოცირიძე, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს – “ნაციონალი” ზვიად ძიძიგური, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს – “ნაციონალი” გიორგი არველაძე, ჯანმრთელობის დაცვის კომიტეტს – “ნაციონალი” ლადო ჭიპაშვილი, “ნაციონალებივე” გაუძღვებიან განათლების კომიტეტს, რომლის თავმჯდომარეც გახდება ან ლევან ბერძენიშვილი, ან ნოდარ გრიგალაშვილი. "დემოკრატებს" ერგოთ მხოლოდ ორი კომიტეტი - ადამიანის უფლებათა და საპროცედურო, რომელსაც შესაბამისად ელენე თევდორაძე და ხათუნა გოგორიშვილი უხელმძღვანელებენ. ნინო ბურჯანაძის სიით გასულებს სამი კომიტეტი შეხვდათ - იურიდიული ლევან ბეჟაშვილს, დარგობრივი ეკონომიკის ლადო პაპავას და ევროპასთან ინტეგრაციის, რომლის თავმჯდომარის ვინაობაც ჯერ უცნობია, მაგრამ უეჭველად ნინო ბურჯანაძის კანდიდატურა იქნება. როგორც ამბობენ, განიხილებოდა კიდევ ერთი ვარიანტი, რომ საგარეო კომიტეტს სათავეში ჩადგომოდა კოტე გაბაშვილი, ხოლო გიორგი არველაძე - იურიდიულ კომიტეტს, რაც ჯერ კიდევ არ არის მოხსნილი დღის წესრიგიდან. რეგიონული პოლიტიკის და გარემოს დაცვის კომიტეტებს დაჟინებით ითხოვენ მაჟორიტარები და ალბათ მიიღებენ კიდეც, ერთს მისცემენ ნიკო ლეკიშვილის ფრაქციას, მეორეს - მერაბ სამადაშვილის ფრაქციას.

ასე რომ, ხუთი საპარლამენტო ფრაქციიდან ოთხს ერგო კომიტეტები, მეხუთე - "მემარჯვენე-მრეწველები" ამ საკითხში თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. რჩება კიდევ ერთი თანამდებობა, რომელზეც ჯერ საუბარი არ არის, მაგრამ "უმრავლესობის" თავმჯდომარის ადგილი თავისთავად ვაკანტურია. ფორმალური თვალსაზრისით, ეს თანამდებობა ყველაზე პრესტიჟული და გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ვიცე-სპიკერის ან ფრაქციის თავმჯდომარის, თუმცა, შექმნილ ვითარებაში იგი მხოლოდ ბუტაფორია იქნება და შეიძლება "ნაციონალ-დემოკრატებს" დასჭირდეთ რომელიმე დეპუტატისთვის, რომელსაც ამბიციებს დაუკმაყოფილებს განსხვავებული ზომის ოთახი და საკუთარი აპარატი. ამის მსურველი ჯერ თითქოს არ ჩანს. როგორც საქმეში ჩახედული პირები ამბობენ, "ნაციონალ-დემოკრატებს" ბევრი ლიდერი რჩებათ თანამდებობის გარეშე და ამიტომ სერიოზულად განიხილება კომიტეტების გაყოფის საკითხი, რასაც რეგლამენტში ცვლილებების შეტანა სჭირდება. როცა წინა პარლამენტი ახალ რეგლამენტს იღებდა, მაშინ დეპუტატები დამაჯერებლად ასაბუთებდნენ კომიტეტების შემცირების აუცილებლობას. ასე რომ, კომიტეტების გამრავლების საკითხი თეთრი ძაფით ნაკერი და თითიდან გამოწოვილი იქნება.

დაბოლოს, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო. როგორც ცნობილია, 18 აპრილს განმეორებითი არჩევნები ტარდება ხულოსა და ქობულეთის რაიონებში. "აღორძინებას", ფაქტობრივად, ბარიერის გადალახვის შანსი აღარ აქვს, რასაც ვერ ვიტყვით "ლეიბორისტებზე", რომელთაც 17-18 ათასი ხმა სჭირდებათ. არ არის გამორიცხული, რომ ასლან აბაშიძემ ხელისუფლების ჯინაზე თავისი ხმები დაუთმოს შალვა ნათელაშვილს, რომელიც ასეთ შემთხვევაში შეძლებს 15 დეპუტატის გაყვანას. ეს მნიშვნელოვნად თუ არა, იმდენად კი შეცვლის პარლამენტში პოლიტიკურ სპექტრს, რომ, არ არის გამორიცხული, თავიდან მოუწიოთ თანამდებობების გადანაწილება.

UNOMIG МООННГ
UNITED NATION OBSERVER MISSION IN GEORGIA
МИССИЯ ООН ПО НАБЛЮДЕНИЮ В ГРУЗИИ

განცხადება გაკანონის თაობაზე
გაკანონის ნომერი GEO-2004-02

რანგი	თანამდებობა	სამუშაოს შეცვლილობა
GSL-5	ყველა ინტერესი	ორმაგი

მოვალეობა და პასუხისმგებლობა:
პრესმდივნის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ, კონკრეტული უნდა შეასრულოს შემდეგი მოვალეობები:
- მოამზადოს ყოველდღიური პრესის ინფორმაცია პრესის სხვადასხვა წყაროებიდან, ინტერნეტის, სამოქმედო სააგენტოების და ქართული ტელე-პროგრამების ჩათვლით და მუშავდება.
- მოამზადოს გაეროს დამკვირვებლების მისიის მანდატში და საქმიანობასთან უშუალოდ დაკავშირებული ქართული-ინგლისური ბიულეტენის მომდევნო ნომერზე.
- დაახარისხოს და მოამზადოს ყოველდღიური პრესა ნიუ-იორკის გაეროს შტაბ-ბინისა და სხვა ადრესატებთან გასაგზავნად.
- ყოველდღიურად მოამზადოს და განათავსოს ქართული მედიის შესახებ ინფორმაცია გაეროს დამკვირვებლების მისიის ვებ-გვერდზე.
- მოამზადოს ანალიზის მიზნით დაინტერესებული პრესა-კონფერენციის, დასკვნის და უშიშროების რეგულარული კონტაქტები მისიების წარმომადგენლებთან.
- დაესწროს პოლიტიკურ და სამოქალაქო საკითხის ორგანიზებს, მისიის უფროსის სპეციალურ თანამშრომლებთან და პრესმდივნის მეგობრის წარმომადგენლებთან უზრუნველსაყოფად.
- შეასრულოს თავისი უშუალო ხელმძღვანელის მიერ დაკისრებული ნებისმიერი დავალება.

პროფესიონალიზმი და ცოდნა:
- პროფესიონალიზმი- მიმდინარე პოლიტიკური პრობლემების ცოდნა, პირადი უნარი გაერკვეს ხშირად დაძაბულ სიტუაციებში. პატივის უნარი ამგვარის შეზღუდული ვადების პირობებში.
- ორგანიზება და დაგეგმვა- პატივის უნარი დაგეგმოს და გამოიყენოს პრიორიტეტები.
- კომუნიკაციური უნარი- კომუნიკაციის სრულყოფილი უნარი (ზეპირი, წერილობითი და ინტერნეტის სწორად ინტერპრეტირების წერილობითი ხასიათი)
- თანამშრომლებთან მუშაობა- უნარი დაამყაროს კარგი სამუშაო ურთიერთობები მრავალ-ეთნიკურ გარემოცვაში.
- დამოუკიდებელი ხელი- პირადი უნარი გამოიყენოს ინიციატივა სამუშაოების და უნარი დაამყაროს ვებ-გვერდის შექმნაში.

კვალიფიკაცია:
განათლება- სავალდებულო საშუალო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ჟურნალისტიკის, კომუნიკაციების ან ეკონომიკის სფეროში უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.
გამოცდილება- სამუშაო გამოცდილება ჟურნალისტიკის ან საზოგადოებასთან ურთიერთობის დარგში ექვსის წლის განმავლობაში.
ენის ცოდნა- ინგლისური ენის ფლობის სანდო ცოდნა და წერილობითი ინგლისური, რუსული და ქართული ენის.
ხელფასი:
წლიური ხელფასი ამ თანამდებობაზე დაინიშნები შეადგენს (დაბეგვრილია ინდივიდის კვალიფიკაციის და გამოცდილების) $ 11, 864- $ 15, 431, რომელიც გაერთიანებული ერების სხვადასხვა ანაზღაურების შემდეგ შეადგენს $ 9,610-$12,499.
განაცხადი გამოგზავნილი იქნეს სალაროდან Personal History Form (რომელიც შესაძლებელია მოიძებნოს გაეროს ვებ-გვერდზე) 16 აპრილამდე 2004 წლის მისამართზე:
კადრების განყოფილების უფროსი
გაეროს დამკვირვებლების მისია კრწანისის ქ. №38, თბილისი ელ-ფოსტა: tarba@un.org

United Nations Observer Mission in Georgia
UNOMIG

External Vacancy Announcement
Vacancy number GEO-2004-02

Grade	Functional Title	Duty Station
GSL-5	**Media Analyst**	**Tbilisi**

Duties and Responsibilities:
Under the supervision of the Spokesperson, the incumbent will be responsible for the following:
- Provide daily press information from various sources, including the internet and news agencies as well as relevant news items from Georgian programmes.
- Provide ongoing analyses of Georgian/regional/international politics related to UNOMIG's mandate and activities.
- Select and collate daily press bulletins and dispatch to UN HQ in New York and other addresses.
- Prepare and update news form Georgian Media on the UNOMIG Website on a daily basis.
- Attend conferences as appropriate to provide analyses of events. Maintain regular contact with counterparts in the mass media.
- Assist Political/Civil Affairs Officers, Special Assistant and Spokesperson in liaising with the media.
- Perform any other related duties as may be assigned by the supervisor.

Competencies:
- **Professionalism** – Up-to-date knowledge of current affairs, topics and issues and ability to identify public affairs needs. Ability to work under pressure of frequent and tight deadlines.
- **Planning and organizing** – Ability to plan and manage conflicting priorities.
- **Communication** – Excellent communication (spoken, written, skills, including ability to produce a variety of written communication products and to articulate ideas in a clear concise manner.
- **Teamwork** – Good interpersonal skills and ability to establish and maintain effective working relations in a multi-cultural, multi-ethnic environment with sensitivity and respect for diversity.
- **Creativity** – Ability to assist in the design, creation and delivery of new and effective communication products and services.

Qualifications :
Education: Completion of high school required. Supplemental course work/training in public relations, journalism is a prerequisite. Documented evidence of knowledge in MS Office Software and web site development.
Experience: Three to five years of progressively responsible experience in journalism, communication or public information at the national level. International experience would be an asset.
Languages: Fluency and drafting skills in English, Russian and Georgian languages.

Remuneration:
Salary attached to this post will range between $11,864 and $15,431 gross per annum, which after United Nations staff assessment gives an approximate yearly net salary of $9,610 and $12,499 respectfully, depending on individual qualification and experience of the applicant.

Please send your curriculum vitae or Personal History form (available at UN website) by **16 April 2004** to the address below.

Attn: Chief Civilian Personnel Officer,
UNOMIG
38 Krtsanisi street, Tbilisi, Email: tarba@un.org

დიდი ნავთობსადენი საქართველოსთვის კვლავ პრიორიტეტია

თითქმის პირველივე პოსტრევოლუციურ კვირას საქართველოს ხელისუფლებამ უმასპინძლა "ბი-პი აზერბაიჯანის" ხელმძღვანელობას და ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში გაკეთდა კომენტარები იმასთან დაკავშირებით, რომ ამ პროექტის განხორციელება ვადების დაცვით მიმდინარეობს და მას არავითარი საფრთხე არ ემუქრება. თუმცა, მიუხედავად ხელისუფლების და თავად ინვესტორის განცხადებებისა, საქართველოში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ირგვლივ მაინც გაჩნდა კითხვის ნიშნები. გუშინდელი შეხვედრა კი, რომელიც სახელმწიფო კანცელარიაში გაიმართა, ამ ეჭვების გაქარწყლების მიმართულებით გადადგმული მორიგი ნაბიჯი გახლდათ.

თამარ ხორბალაძე

ეჭვები, რომელიც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ნათელ პერსპექტივასთან დაკავშირებით გაჩნდა, ნასაზრდოები გახლდათ მცირედი დეტალებით და, ხშირ შემთხვევაში, ამ დეტალების არასწორი ინტერპრეტაციით:

ქართულ საზოგადოებას მთელი ათწლეულის მანძილზე აჩვევდნენ აზრს იმის თაობაზე, რომ მილი, რომელიც დასავლეთს ნავთობით მოამარაგებდა, ქართული სახელმწიფოს წარმატების მთავარი იმედი გახლდათ. ამ ფონზე ახალი ხელისუფლების პირველი პირების - პრეზიდენტ სააკაშვილისა და პრემიერ-მინისტრ ჟვანიას განცხადებები იმის თაობაზე, რომ ნავთობსადენი პრიორიტეტულია, მაგრამ არ არის "გადარჩენის ერთადერთი შანსი", დაინტერესებული პირების მიერ იმთავითვე მოინათლა ქვეყნის პრიორიტეტების ცვლილების წინაპირობად.

ამას დაერთო საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციისთვის შენობის საგარეო საქმეთა სამინისტროს სასარგებლოდ ჩამორთმევა. ამასთან ერთად გაკეთდა განცხადებები კორპორაციის სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროსთვის შესაძლო დაქვემდებარების შესახებ და სახელისუფლებო კულუარებში გავრცელდა ინფორმაცია კორპორაციის ახალ შეფად დავით ონოფრიშვილის შესაძლო დანიშვნის შესახებ.

ქართულმა მხარემ კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი ინტერესი ნავთობსადენისადმი.

ეპიკ ბესელია. ფოტო

ამასთან ერთად, უკვე რამდენიმე თვეა განსაკუთრებულად გააქტიურებულნი არიან ნავთობსადენზე დასაქმებულთა პროფკავშირები და საერთაშორისო ეკოლოგიური არასამთავრობო ორგანიზაციები, რამაც ერთგვარი საფუძველი შეუქმნა ჭორებს ნავთობსადენით ახალი ფინანსური ჯგუფების დაინტერესებისა და პროექტის განხორციელების ბუნდოვანი პერსპექტივის შესახებ.

ასეთი საინფორმაციო კამპანიის ფონზე გაიმართა გუშინ აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის - "ბი-პი-აზერბაიჯანის" ხელმძღვანელობისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის შეხვედრა.

მნიშვნელოვანია, რომ გუშინდელ შეხვედრაზე ქართულმა მხარემ კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი დიდი ინტერესი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისადმი და პროექტში ჩართულ მხარეებს სრულ მხარდაჭერასა და თანადგომას დაჰპირდა.

გია ჭანტურიას თქმით, რომელიც კორპორაციის პრეზიდენტად (ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით რუსეთის რეგიონში არსებულ სამრეწველო საწარმოთა ჯაჭვზე, რომელიც ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას, ჭიათურის მანგანუმის მომპოვებელ კომპლექსსა და ტყიბულის ქვანახშირის წარმოებას აერთიანებდა, რეგიონის მოსახლეობის სოლიდური ნაწილის მატერიალური უზრუნველყოფა იყო დამოკიდებული. თითოეულ რაიონში ამ საწარმოთა მუშაობა იმდენად განსაზღვრავდა მოსახლეობის კეთილდღეობას, რომ მათი გაჩერების კვალობაზე მთელი რაიონების სრული გაღატაკება და კრიმინალიზაცია მოხდა.

თუ ცალკეულ "გამონათებებს" არ ჩავთვლით, სიტუაციის გამოსწორება მანამდე ვერ მოხერხდა, სანამ ამ სამრეწველო ჯაჭვის ერთ-ერთ მეპატრონეს - ზესტაფონის "ფეროს" რეალური და სერიოზული მეპატრონე არ გამოუჩნდა. საწარმოში "დეკომეტალ ინტერნეშნლ თრეიდინგის" შესვლის შემდეგ თავად "ფეროს" მუშაობამ აშკარად სტაბილური ელფერი შეიძინა, რამაც, პრაქტიკულად, მყისიერი ეფექტი გამოიღო: "დეკომეტალის" კუთვნილი ქვოტებით სარგებლობის შედეგად, საწარმომ მსოფლიოს ფეროშენადნობთა ბაზრის 6% დაისაკუთრა, რაც არა მარტო ამ კონკრეტული ტიპის პროდუქციისთვის, არამედ ნებისმიერი სახის ქართული საქონლისთვის არნახული მასშტაბია. ასეთმა გარღვევამ, ცხადია, ასახვა ჰპოვა საწარმოს შიგნით არსებულ ვითარებაზეც, რისი დასტურიც ის ფაქტი გახლავთ, რომ პროდუქციის წარმოება უკვე 3-ჯერ გაიზარდა და კიდევ მატულობს, მუშახელის ანაზღაურებამ კი ("ფეროში" ამ ეტაპზე 2600 კაცია დასაქმებული) მხოლოდ 6-თვიან პერიოდში 43%-ით იმატა.

ეს, თავისთავად, ასეთი მოკლევადიანი პერსპექტივისთვის საკმაოდ შთამბეჭდავი შედეგია. თუმცა, საწარმოს სრულსაფოვანი ამუშავების სრული ეფექტის შესაფასებლად აუცილებელია იმ ცვლილებების შეფასებაც, რაც "ფეროს" ამუშავებამ მასთან პარტნიორულ ურთიერთობებში მყოფ საწარმოებში გამოიწვია.

ეს, უპირველესად, "ჭიათურმანგანუმს" ეხება, რომელზეც ერთხანს თითქმის ყველამ ხელი კი ჩაიქნია. კომბინატის წინაადმდეგ არაერთხელ აღიძრა გაკოტრების საქმე, კრედიტორები მას ნაწილ-ნაწილ გლეჯდნენ და ქარხნის, პრაქტიკულად, ყველანაირ აქტივებს (ტექნიკას, ნედლეულს, პროდუქციას, უძრავ ქონებას...) ლამის კაპიკებად ისაკუთრებდნენ. და ეს გრძელდებოდა წლების მანძილზე, ვინაიდან "ჭიათურმანგანუმის" პროდუქციის ძირითადი მომხმარებელი - ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა სხვადასხვა მიზეზთა გამო ძალიან ხშირად იყო გაჩერებული, რაც ჭიათურის კომპლექსის ავტომატურ პარალიზებას და მასში საეჭვო მანიპულაციების აყვავებას იწვევდა.

გასული წლის ზაფხულიდან "ფეროს" სტაბილურად ამუშავებამ "ჭიათურმანგანუმის" კომპლექსიც სტაბილურად განვითარებად კალაპოტში მოაქცია. მეტიც: წლეულს "ჭიათურმანგანუმმა" ზამთრის პერიოდშიც კი იმუშავა, რაც კომუნისტების პერიოდშიც კი არ ხდებოდა. მიზეზი კი ის გახლავთ, რომ "დეკომეტალის" მიერ დროულად და ზოგჯერ წინსწრებითაც გადახდილმა თანხებმა შესაძლებელი გახადა საწარმოს მუდმივი ელექტროენერგიით უზრუნველყოფა, რამაც საწარმოს შიგნით არსებულ ვითარებაზეც, რისი დასტურიც ის ფაქტი გახლავთ, რომ პროდუქციის წარმოება უკვე 3-ჯერ გაიზარდა და კიდევ მატულობს, მუშახელის ანაზღაურებამ კი ("ფეროში" ამ ეტაპზე 2600 კაცია დასაქმებული) მხოლოდ 6-თვიან პერიოდში 43%-ით იმატა.

ეს, თავისთავად, ასეთი მოკლევადიანი პერსპექტივისთვის საკმაოდ შთამბეჭდავი შედეგია. თუმცა, საწარმოს სრულსაფოვანი ამუშავების სრული ეფექტის შესაფასებლად აუცილებელია იმ ცვლილებების შეფასებაც, რაც "ფეროს" ამუშავებამ მასთან პარტნიორულ ურთიერთობებში მყოფ საწარმოებში გამოიწვია.

ეს, უპირველესად, "ჭიათურმანგანუმს" ეხება, რომელზეც ერთხანს თითქმის ყველამ ხელიც კი ჩაიქნია. კომბინატის წინააღ

სომხეთი „ვარდების რევოლუციის“ მოლოდინში

ვირველი გვერდიდან

ორმა ლიდერმა თავიანთი გეგმების დაკონკრეტებისაგან თავი შეიკავა. მათ მხოლოდ ის განაცხადეს, რომ პარასკევს დიდი მიტინგის მოწყობას გეგმავენ, თუმცა, გადაიქცევა თუ არა ეს მიტინგი ხანგრძლივ, სადღეღამისო საპროტესტო აქციებში, არავინ იცის. ამის შესახებ “სამართლიანობის” ლიდერები განცხადებებს დიდი ხანია, აკეთებდნენ. ოპოზიციის ლიდერებს არც ის დაუკონკრეტებიათ, რას მოიმოქმედებენ იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება მთავარ მოედანსა და კოჩარიანის რეზიდენციისაკენ მისავალ გზას ბლოკირებას გაუკეთებს.

სომხეთში მასობრივი გამოსვლები ჯერ კიდევ შარშან მარტში საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დაიწყო. საერთაშორისო დამკვირვებლების შეფასებით, საპრეზიდენტო არჩევნები საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამებოდა. მაშინ დემირჭიანის მომხრეებმა რამდენიმე დიდი აქცია მოაწყვეს, მაგრამ თავად ოპოზიციის შიგნით დაქსაქსულობის გამო, აქციების გაგრძელება ვეღარ მოხერხდა. სტეფან დემირჭიანსა და არტაშეს გეღამიანს უკანასკნელი წლების განმავლობაში ძალზე დაძაბული ურთიერთობები ჰქონდათ. ახლა მათ, როგორც ჩანს, პიროვნული ამბიციების დაძლევა მოახერხეს და კოჩარიანის წინააღმდეგ გაერთიანდნენ.

2003 წელს სომხეთის ხელისუფლება რევოლუციას გადაურჩა.

ხელისუფლებას მომხდარი ცვლილებები არ გამოპარვია და გარკვეული ზომები უკვე მიიღო: უკანასკნელი კვირების განმავლობაში ოპოზიციის არაერთი წევრი დააკავეს, ხოლო ზოგიერთები - ცემეს. 28 მარტს სომხეთის სიდიდით მეორე ქალაქ გიუმრიში გამართული ოპოზიციის დიდ მიტინგზე ინციდენტი მოხდა, რის შემდეგაც პოლიცია ჩაერია, აქტივისტები ცემეს და დააკავეს. სტეფან დემირჭიანის თქმით, ხელისუფლებამ განზრახ მოაწყო პროვოკაცია და მიტინგი ჩაშალა.

კოჩარიანის ადმინისტრაციამ გასული თვეების განმავლობაში არაერთხელ მიანიშნა ოპოზიციას, რომ ყველა საშუალებას გამოიყენებს, რათა მასობრივი გამოსვლები ქვეყნის მასშტაბით არ დაუშვას.

პროკურორების თქმით, “სამართლიანობისა” და ეროვნული ერთიანობის პარტიის მიერ ჩატარებულ მიტინგებზე ხშირად ისმის მოწოდებები ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლის თაობაზე. მათი განცხადებით, სწორედ ამიტომ აღძრა პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმეები ოპოზიციის რამდენიმე წევრზე.

ოპოზიციის მტკიცებით, ხალხს პოლიციაში იბარებენ, ან ძალით მიჰყავთ და ემუქრებიან, რომ მიტინგებს არ დაესწრონ. “ინფორმაცია გვაქვს, რომ რეპრესიები დღეს და ხვალ გაგრძელდება,” - განაცხადა სარქის მურადხანიანმა, ეროვნული ერთიანობის პარტიის თავმჯდომარის მოადგილემ. დემირჭიანის თქმით კი, ხელისუფლება “სულს ღაფავს”.

სომხეთში არსებულ დაძაბულ ვითარებაზე ისიც მიუთითებს, რომ რამდენიმე დღის წინ ევროკავშირის ელჩები პრეზიდენტ რობერტ კოჩარიანს დახურულ კარს მიღმა შეხვდნენ და სომხეთში შექმნილი შიდა ვითარება განიხილეს, თუმცა, ჟურნალისტებთან დეტალებზე საუბარს ორივე მხარემ თავი აარიდა.

სომხურ პრესაში გაჩნდა ცნობა, რომ მთიანი ყარაბაღიდან, დაახლოებით, 300 მებრძოლი ჩამოიყვანეს, რომლებიც უშუალოდ თავდაცვის მინისტრს სერჟ სარგსიანს ემორჩილებიან და მზად არიან, ნებისმიერი დავალება შეასრულონ. კოჩარიანი და სარგსიანი წარმოშობით მთიანი ყარაბაღიდან არიან და როგორც სარწმუნო წყაროები იუწყებიან, ხელისუფლება კრიტიკულ წუთებში მხოლოდ ყარაბაღიდან ჩამოყვანილ ნაწილებს ენდობა ხოლმე.

სომხეთის კოალიციური მთავრობის ერთ-ერთმა წევრმა-პარტიამ - დაშნაკციუტუნმა განაცხადა, რომ ოპოზიციასა და მთავრობას შორის დაპირისპირება საშიშ ზღვარს უახლოვდება. დაშნაკციუტუნის ლიდერების აზრით, ორივე მხარე დათმობებზე უნდა წავიდეს: ოპოზიციამ ხელი უნდა აიღოს მიტინგების მოწყობაზე, სანაცვლოდ კი რამდენიმე სამთავრობო პოსტს მიიღებს. სახელისუფლებო პარტიის განცხადებით, ის მზად არის, საკუთარი კვოტიდან (სამი პორტფელი) ოპოზიციას ადგილი დაუთმოს.

ამ ფონზე ხელისუფლების გავლენის ქვეშ მყოფი მედია ოპოზიციას ღალატში ადანაშაულებს და ახსენებს, რომ ქვეყანაში არასტაბილურობის შექმნამ სომხეთს, შესაძლოა, ყარაბაღი დააკარგვინოს.

თუმცა, სომხეთის ოპოზიცია უკან დახევას აღარ აპირებს. გაყალბებული არჩევნების შემდეგ, ხელისუფლების ლეგიტიმურობა ქვეყნის შიგნით და მის გარეთ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას და ოპოზიციის ლიდერები იმედოვნებენ, რომ მმართველი რეჟიმის მშვიდობიანი გზით შეცვლას ბევრი მხარდამჭერი ეყოლება. განმეორდება თუ არა “ვარდების რევოლუცია” მეზობელ სომხეთში, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს.

თავდასხმა ინგუშეთის პრეზიდენტზე

გუშინ ინგუშეთის პრეზიდენტზე თავდასხმა განხორციელდა. თავად პრეზიდენტ მურატ ზიაზიკოვის გარდა, დაჭრილია კიდევ ექვსი ადამიანი.

სამშაბათს დილით, ინგუშეთში, ადგილობრივი დროით 9.45 საათზე ნაზრან-მაგასის ავტომაგისტრალზე აფეთქება მოხდა. ამ დროისათვის პრეზიდენტის კორტეჟი რესპუბლიკის დედაქალაქ მაგასისაკენ მიემართებოდა. ინგუშეთის ძალოვანი სტრუქტურების ცნობით, ვაზ-2107 მარკის “ჟიგული” პრეზიდენტის დაჯავშნულ "მერსედესს" გაუსწორდა და აფეთქდა. წინასწარი მონაცემებით, აფეთქებულ ავტომობილში ორი კამიკაძე-ტერორისტი იმყოფებოდა. აფეთქების ძალა იმდენად დიდი იყო, რომ შემთხვევის ადგილიდან 600 მეტრში მდებარე საცხოვრებელი შენობების უმეტესობა მნიშვნელოვნად დაზიანდა. სპეციალისტთა შეფასებით მანქანაში 100 კგ. ტროტილის ეკვივალენტი ასაფეთქებელი მასალა იყო ჩამონტაჟებული. თავდასხმას პრეზიდენტი მსუბუქი ჭრილობებით გადაურჩა. სხვადასხვა სიმძიმის დაზიანებები დაცვის ოთხმა წევრმა და ორმა ადგილობრივმა მცხოვრებმა მიიღეს, რომელთაგან ერთი 9 წლის ბიჭია.

რუსული საინფორმაციო საშუალებები იტყობინებიან, რომ ზიაზიკოვი სიცოცხლის შენარჩუნებას პირად მცველთა ვაჟკაცობასა და, განსაკუთრებით, დაჯავშნულ ”მერსედესს” უნდა უმადლოდეს. თავად თავდამსხმელების მანქანისაგან, ფაქტობრივად, აღარაფერი დარჩენილა. სწორედ ამის გამო, პროკურატურა აცხადებს, რომ, სავარაუდოდ, ტერორისტთა იდენტიფიცირება ვერ მოხდება.

ინგუშეთის პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე ტერორიზმის მუხლით აღძრა. მუშაობა რამდენიმე ვერსიაზე მიმდინარეობს. **“რამდენიმე ვერსია მუშავდება. თუმცა, უკვე ნათელია, რომ ეს ზოგიერთი ძალის მცდელობაა, ინგუშეთში დესტაბილიზაცია გამოიწვიონ. ეს ის ძალები არიან, ვისაც დღეისათვის ინგუშეთში მიმდინარე პოზიტიური ცვლილებები არ მოსწონთ,”** - აცხადებს რესპუბლიკის მეთაურის პრესმდივანი ისა მერჟოევი. გამოძიების ერთ-ერთი ვერსიით, პრეზიდენტზე თავდასხმის კვალს, შესაძლოა, ჩეჩნებამდე მივყავდეთ. თავად ზიაზიკოვმა ტერაქტის შემდეგ განაცხადა, რომ **“ამ ტერაქტით სიტუაციის აფეთქებას არამარტო ინგუშეთში, არამედ მთლიანად ჩრდილოეთ კავკასიაში ცდილობდნენ”**.

მურატ ზიაზიკოვი ინგუშეთის პრეზიდენტად 2002 წელს აირჩიეს. მან ამ თანამდებობაზე ინგუშეთის პირველი პრეზიდენტი რუსლან აუშევი შეცვალა. უშიშროების ფედერალური სამსახურის ყოფილ გენერალს საერთაშორისო დამკვირვებლები კრემლის “დანიშნულ” კაცად მიიჩნევენ. მან საკმაოდ გრძელი გზა განვლო რესპუბლიკის მეთაურობამდე. სხვადასხვა დროს მუშაობდა პარტიულ ორგანოებში და “კგბ”-ს სტრუქტურებში. ბოლოს, 1996 წლიდან 2002 წლამდე ასტრახანის ოლქის უშიშროების ფედერალური ბიუროს სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობა ეკავა.

მურატ ზიაზიკოვზე თავდასხმის გუშინდელი ფაქტი უკვე მეორეა მისი პრეზიდენტობის განმავლობაში. გასული წლის სექტემბერში პრეზიდენტის რეზიდენციიდან 200 მეტრში მდებარე უშიშროების ფედერალური სამსახურის ადგილობრივი განყოფილების შენობა აფეთქდა. მაშინ პრეზიდენტი არ დაშავებულა.

ინგუშეთის რესპუბლიკა რუსეთის ფედერაციის დამოუკიდებელი სუბიექტი 1994 წელს გახდა. იგი ჩეჩნეთ-ინგუშეთს ჩეჩნეთის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე გამოეყო. სწორედ ამის გამო გადაურჩა ომს და სერიოზულ ნგრევას. მიუხედავად ამისა, საბრძოლო მოქმედებები ინგუშეთის ტერიტორიაზე არცთუ იშვიათად მიმდინარეობდა. ფედერალურმა ძალებმა უკანასკნელი ბრძოლა რესპუბლიკის ტერიტორიაზე 2002 წელს ინგუშეთში შეჭრილი ჩეჩენი საველე მეთაურის რუსლან გელაევის რაზმთან გამართეს. ამასთანავე, ჩეჩნეთის მეორე კამპანიისას ინგუშეთში დიდი რაოდენობით ლტოლვილებმა მოიყარეს თავი. უკანასკნელ პერიოდში, ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების მიერ ინგუშეთის ხელმძღვანელობის კრიტიკის მიზეზი სწორედ ლტოლვილების თემა გახდა. ჩეჩნეთში ლტოლვილების დაბრუნების მიზნით, ინგუშეთმა რუსეთის მოთხოვნით მათზე ზეწოლა დაიწყო, თუმცა, თავად ზიაზიკოვი საერთაშორისო ორგანიზაციებთანაც და ჟურნალისტებთანაც ყოველთვის უარყოფდა ჩეჩენი ლტოლვილების დევნის ფაქტს.

პირველი იმპიჩმენტი ევროპის ისტორიაში

გუშინ ლიტვის სეიმმა პრეზიდენტ როლანდას პაკასასის იმპიჩმენტს დაუჭირა მხარი. 2003 წლის თებერვალში არჩეული პაკასასი ევროპის ისტორიაში იმპიჩმენტის წესით გადაყენებული პირველი პრეზიდენტია. შარშან, ოქტომბერში აგორებული სკანდალი, დღეს უკვე ნატო-ს სრულუფლებიანი წევრი ქვეყნის პრეზიდენტისთვის სავალალოდ დამთავრდა.

რამდენიმე დღით ადრე, ლიტვის საკონსტიტუციო სასამართლომ დადგენილება მიიღო, რომ პაკასამა ქვეყნის კონსტიტუცია სამგზის დაარღვია.

პირველი: საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პაკასასი დამნაშავეა რუსი იური ბორისოვისათვის ლიტვის მოქალაქეობის უკანონოდ მინიჭების გამო.

მეორე პუნქტის თანახმად, პაკასასმა ბორისოვი სპეცსამსახურების მიერ წარმოებული თვალთვალის შესახებ გააფრთხილა, რითიც სახელმწიფო საიდუმლო გასცა, დაარღვია კონსტიტუცია და დადებული ფიცი.

ბრალდების მესამე პუნქტით, პაკასასს ბრალი ედება თანამდებობრივი უფლებების გადამეტებაში. ბრალმდებლები ამტკიცებენ, რომ პაკასასი საკუთარი თანამდებობის მეშვეობით თავის ნათესავებს ლობირებდა.

ლიტვის კანონმდებლობით, პრეზიდენტის გადასაყენებლად პარლამენტის, სულ მცირე, 85 წევრს ბრალდების ერთი პუნქტისთვის მაინც უნდა დაეჭირა მხარი. გუშინ იმპიჩმენტისათვის საჭირო ხმები ბრალდების სამივე პუნქტის მიხედვით მოგროვდა. კანონის თანახმად, იმპიჩმენტის გამოცხადებისთანავე პრეზიდენტს უფლებამოსილება ავტომატურად შეუწყდა, თუმცა, პაკასასს უფლება აქვს, ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებზე, რომელიც ორ თვეში გაიმართება, კიდევ ერთხელ წამოაყენოს თავისი კანდიდატურა.

პრეზიდენტის მოვალეობას დროებით ლიტვის სეიმის სპიკერი არტურას პაულაუსკასი შეასრულებს.

როლანდას პაკასასი.

იმპიჩმენტის საქმის მოსმენისას პრეზიდენტი პაკასასი სეიმის წინაშე 25-წუთიანი სიტყვით გამოვიდა. მან კიდევ ერთხელ უარყო საკონსტიტუციო სასამართლოსა და პარლამენტის სპეციალური კომისიის მიერ წაყენებული ბრალდებები და აღნიშნა, რომ, მართალია, მან თავისი მმართველობის პერიოდში დაუშვა შეცდომები, მაგრამ დანაშაული არასოდეს ჩაუდენია. პაკასასის სიტყვებით, იგი ბრალმდებელთა სუბიექტურობისა და ორმაგი სტანდარტების გამოყენების მსხვერპლი გახდა. **“ნუთუ ჩემ მიერ დაშვებული რამდენიმე შეცდომა, რომელთაც მე გულწრფელად ვინანიებ, უნდა გახდეს ქვეყნის მეთაურის თანამდებობიდან გადაყენების მიზეზი?”** – რიტორიკულ კითხვას სვამს პაკასასი. **“ნუთუ თავად თქვენ, ჩემო ყოფილო კოლეგებო და თანამებრძოლებო, არასოდეს დაგიშვიათ შეცდომები?”** – ეკითხება პარლამენტარებს პრეზიდენტი. გამოსვლის დასასრულს პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ აღნიშნა: მიუხედავად იმისა, რომ არ ეთანხმება წაყენებულ ბრალდებებს, იგი პარლამენტართა ნებისმიერ გადაწყვეტილებას პატივისცემით მიიღებს.

პაკასასის ბიოგრაფიაში ეს უკვე მესამე შემთხვევაა, როდესაც მას დროზე ადრე უხდება სახელმწიფო თანამდებობის დატოვება. წინა ორ შემთხვევას მისი პრემიერ-მინისტრობის პერიოდში ჰქონდა ადგილი. ორივე შემთხვევაში მას მმართველ უმრავლესობასთან უთანხმოების გამო მოუხდა გადადგომა.

1 მაისს ლიტვის ევროკავშირში ოფიციალურად გაწევრიანებაა დაგეგმილი. როლანდას პაკასასს რამდენიმე კვირა დააკლდა, რომ ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოს პრეზიდენტი გამხდარიყო. თუმცა, მან რამდენიმე დღით ნატო-ს წევრი ქვეყნის მეთაურად ყოფნა მაინც მოასწრო.

მოკლედ

რუსი მეცნიერი ღალატში დაადანაშაულეს

რუსი მკვლევარი, რომელიც ერთ-ერთ დასავლურ ანალიტიკურ ცენტრში მუშაობდა, სახელმწიფოს ღალატში დაადანაშაულეს. ორი დღის წინ მოსკოვის სასამართლომ დაადასტურა, რომ რუსმა მეცნიერმა აშშ-ს ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს რუსული წყალქვეშა ნავებისა და სარაკეტო დანადგარების შესახებ ინფორმაცია მიჰყიდა.

იგორ სუტიუგინი, ამერიკისა და კანადის ინსტიტუტში მკვლევარად მუშაობდა. იგი იმ მეცნიერთა შორის აღმოჩნდა, რომელთა საქმიანობა ფედერალურმა სადაზვერვო სამსახურმა, უცხოელებთან ზედმეტად ახლო ურთიერთობების გამო, საეჭვოდ მიიჩნია.

საქმის განხილვა სასამართლოს დახურულ სხდომებზე მიმდინარეობდა. ნაფიცმა მსაჯულებმა მოსამართლეს მოუწოდეს, სუტიუგინის მიმართ სიბრალული არ გამოეჩინა.

სუტიუგინი რუსმა სამართალდამცველებმა 1999 წლის ოქტომბერში დააკავეს. რუსეთის უშიშროების სამსახურების მტკიცებით, რუსმა მეცნიერმა ერთ-ერთ ბრიტანულ კომპანიას ინფორმაცია მიჰყიდა, რომელსაც ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო შესანიღბავად იყენებდა.

ადვოკატის მტკიცებით, სუტიუგინმა მხოლოდ ღია ინფორმაცია გაავრცელა. “მოსამართლეზე სახელმწიფომ ზეწოლა განახორციელა. ჩვენ აუცილებლად გავასაჩივრებთ ამ გადაწყვეტილებას”, - განუცხადა მან ბრიტანულ “გარდიანს”.

სუტიუგინს, რომელიც ბრალდებას უარყოფს, 20 წლით პატიმრობა ემუქრება. იგი პირველად 2001 წელს გაასამართლეს, მაგრამ შემდეგ პროცესი დამატებითი გამოძიების დაწყების გამო შეჩერდა.

მთავრობის მოწინააღმდეგეთა თქმით, პუტინის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ფედერალური სადაზვერვო სამსახური ერთი-ორად გაძლიერდა, მაგრამ ამ უწყებას რუსეთის სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის თაობაზე პარანოია დაემართა და ყველგან ჯაშუშები ელანდება.

ირანი ატომურ სააგენტოსთან თანამშრომლობისთვის მზადაა

გუშინ, ირანის ატომური ენერგიის ასოციაციის ხელმძღვანელმა ღოლამ რეზა აღაზადემ გაერო-ს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს თავმჯდომარესთან მოჰამად ელბარადეისთან გამართული რამდენიმესაათიანი მოლაპარაკებების შემდეგ განაცხადა, რომ მზად არის, გაერო-ს ექსპერტები ირანში ინსპექტირებისათვის შემოუშვას.

გასულ თვეს აღაზადემ გაერო-ს ინსპექტორები ქვეყნიდან გააძევა. საერთაშორისო თანამეგობრობა, პირველ ყოვლისა - აშშ, შიშობს, რომ ირანს ბირთვული პროგრამები ატომური ბომბის შესაქმნელად სჭირდება და არა ენერგეტიკული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

პრეზიდენტმა ბუშმა ირანი ერაყთან და ჩრდილოეთ კორეასთან ერთად “ბოროტების ღერძის” სახელმწიფოთა შორის მოიხსენია. მას შემდეგ საერთაშორისო თანამეგობრობა მუდმივ ზეწოლას ახორციელებს თეირანზე, რათა ამ უკანასკნელმა საშუალება მისცეს გაერო-ს ინსპექტორებს ირანის ბირთვული პროგრამები შეისწავლონ და დარწმუნდნენ, რომ თეირანი ატომური იარაღის შექმნას არ გეგმავს.

ცვლილებათა

უსტაბაში
ირაკლი ბერიაშვილი

სათამაშო

არც ამ დილით მომხდარა რამე განსაკუთრებული. ქუჩა ჯერ ისევ დილის ძილში იყო, ბროლიამ რომ ამოიარა. დინჯად, საქმიანად მოძუნძულებდა. ჯერ ჩემი სახლის წინ გადაჭრილი ლეღვის კუნძს მიაფსა, მერე მეზობლების ვაზის ძირები მონიშნა, მობრუნდა და ახლა ქუჩის მეორე მხარეს ჩამოუყვა სახლებს. საქმე რომ მოათავა, უკანა თათებზე ჩაცუცქდა, თავი ასწია და ტერიტორია მოათვალიერა.

განსაკუთრებული მართლა არაფერი მომხდარა და არც იმაშია რამე განსაკუთრებული, რომ უბანში ყველა ძაღლი ცნობს ბროლიას უფლებებს. ვერც ერთ, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ცნობილ ჯიშს ვერ ვამსგავსებ, შეიძლება ითქვას, უჯიშოც კია, მაგრამ თავიდანვე ეგრე აეწყო საქმე და ახლა პრეტენზიები, ალბათ, დაგვიანებულია, თუმცა...

ახლახან ერთ-ერთ ტელეინტერვიუში პრეზიდენტყოფილმა, სიტყვამ მოიტანა და, ილია ჭავჭავაძიდან მოყოლებული, ჩემი ჩათვლით, აჭარას ვეფერებოდითო. თითქმის ოთხმოცი წლის კაცს შეიძლება გამორჩა კიდეც მხედველობიდან, რომ მას შემდეგ სრული ასი წელიწადი, მთელი საუკუნე გავიდა, მაგრამ ეგეთი ტენდენცია რომ მართლაც იყო, პარლამენტის ბოლო ორმა თავმჯდომარემაც საქმით დაამტკიცა. არც ამათ გახსენებიათ, რომ, მართალია, აზროვნებასაც ახასიათებს ინერცია, მაგრამ დაუსრულებელი არაფერია, თვით ინერციაც კი. იაპონიაში სამ წლამდე ბავშვს ყველაფრის უფლებას აძლევენ, მხოლოდ ეფერებიან. ჩვენთან ეს პროცესი უფრო დიდხანს გრძელდება, ხანდახან ორი, სამი ათეული წელიწადიც კი, მაგრამ, გვინდა თუ არ გვინდა, მაინც იზრდებიან ადამიანები, გვინდა თუ არ გვინდა, საქმეში, იურისტების ენით რომ ვთქვათ, ახალი გარემოებები ერთვება და ამ ინერციასაც, ბოლოს და ბოლოს, ეცლება საფუძველი.

თითქოს საკმარისი არ იყო, ქალბატონი ნინო ბურჯანაძე პრეზიდიუმიდან რომ მოგვიწოდებდა, აჭარის თემას ფრთხილად უნდა მივუდგეთ... აჭარა ფაქიზი თემააო. ახლა პრემიერ-მინისტრიც გაუყვა უკვე გატკეპნილ გზას: არავინ არ აპირებს ავტონომიის გაუქმებას, რა თქმა უნდა, აჭარას შეუნარჩუნდება ავტონომიის სტატუსი... სანამ ჩვენ ვიქნებით ხელისუფლებაშიო...

ახლა, სანამ უშუალოდ ამ უაზრო ინერციაზე ვიტყოდე რამეს, მინდა ვკითხო პარლამენტის თავმჯდომარეს და განსაკუთრებით პრემიერ-მინისტრს:

ბატონო ზურაბ, რა ღვთით ნაბოძები უფლებით იძლევით ამგვარ დაპირებებს? ავტონომიის სტატუსის მიცემასა თუ ჩამორთმევას ან ვინ გავალებთ, ან ვინ გეკითხებათ, ეს ხომ თვითონ აჭარლების გადასაწყვეტია. და მეორეც: არ ვიცი, მგონი უკვე მეხუთედ ვკითხულობ, იქნებ ერთხელ, თქვენ თუ არა სხვამ მაინც გამცეს პასუხი – მაინც რა ნიშნით ეკუთვნის აჭარას ავტონომია. ოღონდ, თუ ღმერთი გწამთ, ყარსის ზღაპარი არ მომიყვეთ. ჩვენც გვაქვს წაკითხული...

რაც შეეხება სხვა დანარჩენს. თვითონ ცნება ავტონომია თავისთავად გულისხმობს რაღაც განსხვავებას. ეთნიკურს, რელიგიურს, ერთიმეორისგან საკმაოდ დაშორებულ ტრადიციებსა და ცხოვრების წესებს, ენას... თუ არ არის განსხვავება, ბუნებრივია, ავტონომიაც უაზრობაა. ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნებიდან ერთადერთი, ისიც მხოლოდ ნაწილობრივი, რელიგიური ნიშნით განსხვავება შეიძლება დაასახელოთ. მაგრამ ეს განსხვავება თვითონ აჭარაშივეა. და თუ მაინცდამაინც მიაწვებით ამ პრობლემას, მაშინ საქართველოს ნებისმიერ კუთხეში სულ იოლად გიპოვით კომპაქტურად დასახლებულ ათეისტებს. რას ურჩევთ, აჯანყდნენ თუ კონსტიტუციური გზით გაუფორმებთ ავტონომიას?

ბატონო ზურაბ, ამ ბოლო დროს რამდენჯერმე გაიმეორეთ, რომ პატივს სცემთ აჭარის ავტონომიას. პატივისცემის უნარი საერთოდ კარგი თვისებაა. მეც, თქვენი არ იყოს, სიამოვნებით ვცემ პატივს აფხაზეთის ავტონომიას, აჭარის თითიდან გამოწოვილ ავტონომიას კი, თქვენგან განსხვავებით, პატივს ვერ ვცემ. იმიტომ რომ, თქვენი ეგ “პატივისცემა”, თუ კარგად დაფიქრდება კაცი, შეურაცხყოფაა აჭარისაც და დანარჩენი საქართველოსიც; იმიტომ რომ, ავტონომია და, მით უმეტეს, მისი პატივისცემა იმთავითვე გამორიცხავს “ჩვენი” და “იმათი” ერთნაირი წესებით თანაცხოვრების შესაძლებლობას. იქნებ ამიხსნათ, მაინც რატომ არ შეგვიძლია ერთმანეთის გვერდით და ერთნაირი წესებით ცხოვრება მე და ცეცხლაძეებს, მე და დიასამიძეებს, მე და, თუნდაც, გოგიტიძეებსა და აბაშიძეებს? და თუ მაინც არ შეგვიძლია, ამას ერთადერთი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს – საზოგადოების განვითარების დონე. მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს დონე ზოგისთვის იქ არის მაღალი, ზოგისთვისაც – აქ. და, საერთოდ, თუ ჩამორჩენასა და ამგვარ რაღაცებზეა საუბარი, იქ თუ აბაშიძეს უჭერს მხარს ხალხის რაღაც ნაწილი, აქ ოცდაათი წელიწადი მშვენივრად ვეგუებოდით შევარდნაძეს, ახლახან არ მოვიცილეთ? კი ბატონო, ჩოლოქზე თუთიყუშებივით იმეორებენ, ერთიანი საქართველო გვინდა, მშვიდობა გვინდა და ბაბუ გვინდაო, მაგრამ არც ისე დიდი ხნის წინათ თბილისშიც გვყავდა ჩვენი ბაბუ და, სხვათა შორის, ახლაც ბევრი მისტირის იმ დროს. რას იტყვით, ვითომ ძალიან ჩამოგვრჩა აჭარა? სიმართლე ის არის, რომ ყველანი ერთად ვიყავით და ერთად ვართ ავად. გახსოვთ, ოთხმოციანი წლების ბოლოს ჩვენი მისამართით ერთი რუსი მწერლის ნათქვამი, ეს ერი ავად არისო? ამ ამბავში უხერხული მხოლოდ ის იყო, რომ იმ კაცს, ჩემი შენ გითხარიო გამოუვიდა, თორემ ტყუილი არაფერი უთქვამს.

ამ ყველაფრის შემდეგ კიდევ ერთხელ, ახლა უკვე მეექვსედ ვკითხულობ, მაინც რომელი მხარე საჭიროებს განსაკუთრებულ ფაქიზ მიდგომას – დანარჩენი საქართველოა გონებრივად ჩამორჩენილი და ფეხს ვერ აუბამს აჭარს თუ პირიქით – იქ ცხოვრობენ გონებაშეზღუდულები და მათ სჭირდებათ სასათბურე პირობები!

როგორ ფიქრობთ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, ეს არ არის შეურაცხყოფა? ბარემ თქვით, რომ ვერ მორევიხართ ერთ კაცსა და იმის ბანდას და იმიტომ მღერით ძველ სიმღერას. სიმღერას ავტონომიასა და, შესაბამისად, განსხვავებაზე, რომელიც თურმე აჭარლებსა და დანარჩენ ქართველებს შორის არსებობს. ეტყობა, მაინც ხაჭაპურს გულისხმობთ – კვერცხიანსა და უკვერცხოს. იქნებ თქვენ იმერული უფრო მოგწონთ და აჭარულს ვერ ეგუებით, მაგრამ სანამ პრემიერ-მინისტრი ხართ, უმორჩილესად გთხოვთ, გასტრონომიულ გემოვნებას პოლიტიკურზე ნუ გაავრცელებთ.

ბატონო ზურაბ და ქალბატონო ნინო, ბოლო რამდენიმე წლის დაკვირვებიდან ერთი დასკვნა გამოვიტანე: დიპლომატიის თქვენეული განმარტება სწორი არ უნდა იყოს. უშედეგოა მისი პრაქტიკული გამოყენებაც. რა თქმა უნდა, ნებისმიერი მოლაპარაკებისას ორივე მხარემ ზუსტად იცის, რისი დათმობა შეუძლია დასახული მიზნის მისაღწევად. ეს ორჯერ ორივით არის. დიპლომატია კი სწორედ ამის შემდეგ იწყება. და ის, უწინარეს ყოვლისა, საიდუმლოებებით მანიპულირების ხელოვნებას გულისხმობს. არ არსებობს იმაზე დიდი კოზირი, როცა იცი მეტოქის საიდუმლო, რომელიც, მისი აზრით, შენთვის უცნობია.

დღეისთვის ექსპოზიცია ასეთია: აბაშიძის ნებისმიერი საიდუმლო აღარავისთვის აღარ არის საიდუმლო და ეს თვითონაც მშვენივრად იცის. თქვენ, ფაქტობრივად, უკოზიროდ დარჩით. მიუხედავად ამისა, თქვენ კვლავ განაგრძობთ აბსოლუტურად უპერსპექტივო თამაშს, რაც ბუნებრივად ბადებს ეჭვს, რომ სწორედ ასლანმა იცის რაღაც ისეთი, რაც ჩვენ არ ვიცით. თუ ეს ასე არ არის, მაშინ მთელი მისი მანიპულაციები ბლეფია და მეტი არაფერი.

და მაინც. ჩემი ამ დიპლომატიური მკითხაობის მიუხედავად, მგონია, რომ ასლან აბაშიძეს უფრო საყოველთაოდ ცნობილი კომპლექსი სტანჯავს. დარწმუნებული ვარ, ღმერთს ამ კაცისთვის სულ რაღაც თხუთმეტი სანტიმეტრი რომ წაემატებინა, ეგრე აღარ გაფშიკავდა ფეხებს. ეს რაც შეეხება მის საქციელს, ძალა კი, რომელიც უამრავი გამოცლილი საყრდენისა და მოჭრილი თავების მიუხედავად, ცენტრალურ ხელისუფლებას კარგა ხანია, ადგილზე “აბუქსავებს”, სულაც არ არის გველეშაპის კუნთებში. ჰკითხეთ ზღაპრების მოყვარულ ნებისმიერ ბიჭს და მაშინვე გიჩვენებთ ხეზე შემოსკუპებულ გულყვითელა ჩიტუნას, რომელსაც ნისკარტით უჭირავს ნახევარი სიგარეტისოდენა ქაღალდის გრაგნილი წარწერით “ავტონომია”. ან დაიჭერთ ამ ჩიტს და თავს წააწყვეტთ, ან არადა ეს ქვეყანა ერთთავად მიწაზე იქნება გართხმული და დროდადრო მხოლოდ იმიტომ წამოწევს ხოლმე თავს, რომ კიდევ ერთხელ მოხვდეს და ისევ გაშხლართულმა განაგრძოს ყოფა.

რა თქმა უნდა, სწორად იქცევა პრეზიდენტი, როცა ფსონს აჭარლებზე ჩამოდის. ეს სწორია თუნდაც იმიტომ, რომ ქვეყანამ, კუთხემ თუ ადამიანმა თვითონვე უნდა გაითავისუფლო თავი, თვითონ უნდა იგრძნო გამარჯვებისა და თავისუფლების გემო, თორემ აჭარასაც იგივე დაემართება, რაც დანარჩენ საქართველოს დაემართა უბრძოლველად, ლამის ხონჩით მორთმეული თავისუფლების მერე. მაშინ ინტელექტუალური ძალების სულ მცირე დაძაბვის შემთხვევაშიც კი ხალხი თავის ბედს არავითარ შემთხვევაში აღარ ანდობდა შევარდნაძეს.

მაგრამ მე პრეზიდენტი არა ვარ და არც დიპლომატიური რევერანსები მჭირდება. სხვათა შორის, არც უშიშროების საბჭოს მდივანი ვარ და არც რუსის კარზე მივლენილი ელჩი, არ ვიცი, ყასიდად თუ გულით ვიძახო, “გასაღები მოსკოვშია”-მეთქი. ძალიანაც კარგად ვიცი – რუსეთმა ას ორმოცდათვრამეტჯერ რომ თქვას, საქართველოს საშინაო საქმეებში არ ჩავერევიო, ას ორმოცდათვრამეტჯერვე ჩაერევა. აჭარის პრობლემის გაჯანჯლება სხვა პრობლემებსაც გააჯანჯლებს. ამიტომ პრესის დონეზე მაინც სრულიად მიუკიბ-მოუკიბავად უნდა ითქვას: ავტონომიებით უხვად გაჯერებული საქართველო ვერასდროს ვერ იქცევა ნამდვილ ქვეყნად. პირველი და მთავარი წინააღმდეგობა კი არის აჭარის ავტონომია და კაცი, რომელიც ამ სათამაშოთი ერთობა.

...ისევ აცივდა. ბროლიას კი არც ამ დილით დაეზარა, საქმიანად შემოევლო მთელი ტერიტორია. ეგრეა, პატარ-პატარა უბნებს სულ ქუჩის უჯიშო ძაღლები აკონტროლებენ. თუმცა, მხოლოდ იმ დრომდე, სანამ ნამდვილი კავკასიური ნაგაზი არ გამოჩნდება.

ისტორია მეორდება

განმეორდება თუ არა ჭავრიშვილის სასწაული?!

ზაზა ფაჩუაშვილი

თვალის მიკროქირურგიის ჭავრიშვილის კლინიკაში კიდევ ერთი სასწაულის მოლოდინი დაიწყო. გუშინ კერატოკომპლექსის გადანერგვის უნიკალური ოპერაცია ტყიბულელ რობერტ ქარქაშაძეს გაუკეთეს. ეს რიგით მეორე შემთხვევაა (პირველი – სამი თვის წინათ წარმატებით დასრულდა). ახლა მთავარია, ორგანიზმმა მიიღოს უცხო სხეული.

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

გიორგი ჭავრიშვილი ძველ და ახალ პაციენტთან ერთად.

31 წლის რობერტ ქარქაშაძეს 7 წლის წინათ დინამიტი აუფეთქდა და მხედველობა დაკარგა. აი, რას ჰყვება ამ შემთხვევის შესახებ მისი რძალი მარინა ცირეკიძე:

"დაზარალებული ქუთაისში გავაქანეთ და ოპერაციის დროს მარჯვენა თვალი ისე ამოუღეს, ჩვენთვის არაფერი უკითხავთ. ექიმებმა გვითხრეს, - მარცხენა სილამაზისთვის დავუტოვეთ, თორემ აღარაფერში გამოადგებაო. ამის შემდეგ გვინდოდა მოსკოვში, ფიოდოროვის კლინიკაში წასვლა, მაგრამ გზა-კვალი არ ვიცოდით. მაშინ გვირჩიეს, რომ "ოფთალმიჯში" მოვსულიყავით. ასე მოვხვდით გიორგი ჯავრიშვილთან, რომელმაც გაგვაოცა თავისი გულისხმიერებით. მაშინვე გადარეკა მოსკოვში, მოილაპარაკა და გვითხრა, - თუ წასვლას დააპირებთ, შემატყობიეთ, მოსკოვში დაგხვდებით, ჩემთან გაცხოვრებთო... მოკლედ, ჩვენთვის გაჩენილა ეს ექიმი.

მერე ისე მოხდა, რომ მოსკოვში წასვლა აღარ დაგვჭირდა. გიორგი ექიმმა გადასანერგი თვალის რქოვანა თავად ჩამოიტანა და ოპერაციების გაკეთება დაიწყო. მაშინვე მოვედით. აქ მოსკოველი პროფესორებიც დაგვხვდნენ, გაგვსინჯეს და გვითხრეს, რომ ჩვენ ავადმყოფს მარტო რქოვანას გადანერგვა არ ეყოფოდა. ისევ გიორგი ექიმმა დაგვამშვიდა, - ნუ გეშინიათ, მედიცინა წინ მიდის და მალე ამის ოპერაციებიც გაკეთდებაო. მას შემდეგ 7 წელი გავიდა და, მართლაც, გავიგეთ, რომ გიორგი ექიმს ასეთი ოპერაციების გაკეთება წარმატებით დაუწყია. ჩვენც ძალიან დიდი იმედი გვაქვს".

იმედის მომცემი ყველაზე უფრო მეტად ძველი პაციენტი გახლდათ, რომელიც ბოლნისიდან ახლის გასამხნევებლად ჩამოვიდა. "24 საათის" მკითხველს, ალბათ, კარგად ემახსოვრება 48 წლის რევაზ ლაზარიშვილი, რომელმაც მხედველობა ორთქლით დამწვრობის შედეგად 23 წლის წინათ დაკარგა. მას ოპერაცია გასული წლის 25 დეკემბერს გაუკეთეს. მაშინ გიორგი ჯავრიშვილმა საუკეთესო შედეგი მიიღო. პაციენტმა მეორე დილასვე დაინახა საათი(!). დღეს იგი ნარდსაც თამაშობს და ბავშვებს გაკვეთილების მომზადებაშიც ეხმარება. ეს, თითქმის, ფანტასტიკაა და ამაში ახლავე დარწმუნდებით.

კერატოკომპლექსის (ანუ რქოვანის კომპლექსის) გადანერგვის დროს რქოვანის გადანერგვა და მისი პროტეზირება ერთდროულად ხდება. ასეთი ოპერაციები მსოფლიოში მხოლოდ ფიოდოროვის კლინიკაში კეთდებოდა (იქვე მზადდება გადასანერგი კერატოკომპლექსი). 27 ოპერაციიდან წარმატებით 22 დასრულდა. აქედან 12 გიორგი ჯავრიშვილმა გააკეთა. უნდა ითქვას, რომ ახალი მეთოდის შემუშავებაში იგი უშუალოდ მონაწილეობდა და სწორედ ეს წარმოადგენს მისი სადოქტორო დისერტაციის მნიშვნელოვან ნაწილსაც.

28-ე ოპერაცია უკვე თბილისში გაკეთდა. საერთოდ, წარმატებად მიიჩნევა მხედველობის 20-30 პროცენტით აღდგენა, ლაზარიშვილს კი კითხვა მეორე დღესვე შეეძლო და ეს მაშინ, როცა საბოლოო შედეგი მხოლოდ ერთი წლის შემდეგ დაფიქსირდება - ანუ მხედველობა კიდევ უფრო გაუმჯობესდება.

გუშინ 29-ე ოპერაციის მომსწრე გავხდით. ამ ორ შემთხვევას შორის ბევრი საერთოა და იმედი გვაქვს, რომ წარმატებაც საერთო იქნება. თავად გიორგი ჯავრიშვილი ამბობს, რომ მედიცინაში გარანტია არ არსებობს. არსებობს იმედი, ღმერთის შეწევნა და ექიმის ოქროს ხელები. რევაზ ლაზარიშვილი გვარწმუნებს, რომ გიორგი ჯავრიშვილი სწორედ ასეთი ექიმია.

ქართული ბიოპროდუქცია მსოფლიო გამოფენაზე

გერმანიის ქალაქ ნიუნბერგის ერთ-ერთ უმსხვილეს საგამოფენო კომპლექსში ყოველწლიურად ტარდება ბიოლოგიური (ორგანული, ეკოლოგიური) პროდუქციის მსოფლიო გამოფენა "ბიოფახი" (Biofach), რომელიც მსოფლიოს მსგავს ღონისძიებებს შორის ყველაზე პრესტიჟულად ითვლება. ამიტომ, ბიოლოგიური პროდუქციის წარმოებისა და მომსახურების სფეროში დაკავებული კომპანიები, ფირმები, ასოციაციები თავს ვალდებულად თვლიან, მონაწილეობა მიიღონ ამ გამოფენაში.

ლამაზად გაფორმებული და შთამბეჭდავი სანახაობა, ჩვეულებისამებრ, ოთხი დღის განმავლობაში გრძელდება და მას უამრავი დამთვალიერებელი ესწრება. აქვე იდება ხელშეკრულებები, ტარდება სხვადასხვა კონკურსი და პრეზენტაცია, კონფერენციები და სემინარები.

მსოფლიოს ბიოლოგიური პროდუქციის ბაზრისა და მომიჯნავე სექტორებისთვის დამახასიათებელი ყველა ტენდენცია და პროცესი "ბიოფახის" გამოფენაზე თვალსაჩინოდ ჩანს და უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში ამ პროდუქციის მსოფლიო ბაზარი მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის: თუ ადრე ბიოლოგიური პროდუქცია მხოლოდ ელიტურ მომხმარებელზე იყო გათვლილი, დღეს უკვე გაჩნდა ტენდენცია, რომ ასეთი პროდუქცია რიგითი მომხმარებლისათვისაც ხელმისაწვდომი გახდეს. გაიზარდა კონკურენციაც – თავდაპირველად ბიოლოგიური პროდუქციის ძირითად მომწოდებლებად განვითარებული ქვეყნები ითვლებოდნენ და ბაზარსაც აკონტროლებდნენ, დღეს კი აფრიკის, ლათინური ამერიკისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები სერიოზულ განაცხადს აკეთებენ ბიობაზარზე და წარმატებებსაც აღწევენ. ამასთან, მნიშვნელოვნად ამაღლდა ბიოპროდუქციის ხარისხი და გამკაცრდა სტანდარტის მოთხოვნებიც.

ბიოლოგიური პროდუქციის საერთაშორისო ბაზრის განვითარების პროცესში მოხდა მისი სექტორებად დაყოფა: დღეისათვის ბიობაზარი მოიცავს, პრაქტიკულად, საქონლის მთელ სპექტრს - საკვებ პროდუქტებთან ერთად ბიობაზარზე შეხვდებით სარეცხ საშუალებებს, კოსმეტიკას (რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს), ტანსაცმელს და სხვ.

წელს, თებერვლის მიწურულს ნიუნბერგის საგამოფენო დარბაზებში დამთვალიერებელთა განსაკუთრებულ ყურადღებას ერთ-ერთი სტენდი იპყრობდა: ასეთ პრესტიჟულ გამოფენაზე პირველად გამოჩნდა პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყანა – საქართველო, რომელსაც ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია "ელკანა" წარმოადგენდა.

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია "ელკანა" არის ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც 1993 წლიდან ბიოლოგიური სოფლის მეურნეობის პროპაგანდას ეწევა და დღეისათვის აერთიანებს 300-მდე ბიოფერმერს საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. სწორედ ამ ბიოფერმერების პროდუქციით წარდგა "ელკანა" მსოფლიო გამოფენაზე. ამ ღირსშესანიშნავ ღონისძიებაში მონაწილეობა იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ბიოლოგიური სოფლის მეურნეობის სფეროში, თითქმის, ათწლიანი მოღვაწეობის შემდეგ ბიოპროდუქციის ქართველმა მწარმოებლებმა პირველად მოახერხეს ბაზარზე ოფიციალური განაცხადის გაკეთება.

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია "ელკანა" გამოფენაზე წარმოადგინა ღვინო, თაფლი, სანელებლები, ჩირი და თხილი. პროდუქციამ დაინტერესება გამოიწვია. დამთვალიერებელთა ნაწილი, განსაკუთრებით სპეციალისტები, უკვე კარგად იცნობენ საქართველოში წარმოებული პროდუქციის ღირსებებს, ნაწილმა კი პირველად გაიგო საქართველოსა და იმის შესახებ, რომ ჩვენთან ბიოლოგიური პროდუქცია იწარმოება.

ბიოპროდუქციის მსოფლიო გამოფენაში მონაწილეობამ ნათელი გახადა, რომ, სერიოზული კონკურენციის მიუხედავად, ქართულ ბიოპროდუქციას ბაზარზე ღირსეული ადგილის დაკავება შეუძლია, ხოლო საერთაშორისო ბაზარზე გასასვლელად ბიოპროდუქციის სექტორის არჩევა ყველაზე პერსპექტიული და საიმედო გზაა. საქართველო ვერ გააკვირვებს მსოფლიოს პროდუქციის მოცულობით, მაგრამ მას ხარისხიანი პროდუქციის წარმოების დიდი პოტენციალი აქვს. პირველ ეტაპზე, შესაძლოა, მოთხოვნა იყოს ეროვნულ პროდუქტებზე, რომელსაც მსოფლიო არ იცნობს (ხურმის ჩირი, ჩურჩხელა), ისტორიული ტრადიციების მქონე პროდუქტებზე (ღვინო, თაფლი), აგრეთვე - ცოცხალ ხილსა და ბოსტნეულზე. ამ პროცესის დაწყება სავსებით რეალურია, მაგრამ ამას ხელს უშლის საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატის არქონა, ძვირადღირებული შესაფუთი მასალის ხელმიუწვდომლობა და სუსტი ლოგისტიკა.

მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ბიოპროდუქციის საერთაშორისო ბაზარზე გასვლის პირველი ცდა წარმატებით განხორციელდა. თავდადებული შრომითა და მიზანმიმართული საქმიანობით შესაძლებელია არსებული ნაკლოვანებების გამოსწორება, მიღწეული წარმატების განმტკიცება და ბიოპროდუქციის ბაზარზე ღირსეული ადგილის დაკავებაც.

24 საათი

საფეხურები

გამოუვალ მდგომარეობაში - მომავლის იმედით

თინათინ ასათიანი

არასამთავრობო ორგანიზაცია “საფეხურების” პროექტი – “მარგინალური ჯგუფების ინტეგრაცია საზოგადოებაში”, აგრძელებს “ნამდვილი ამბის” სერიის გამოქვეყნებას. ისტორიებს ქმნიან ადამიანები, ჩვენი საზოგადოების წევრები. ისინი საუბრობენ თავიანთ პრობლემებზე. პროექტის საშუალებით, შესაძლებელია, მოვუსმინოთ და დავეხმაროთ მათ.

გიორგი ნაფიშვილი 45 წლისაა. მისი დიაგნოზია კუნთების პროგრესული დისტროფია. მისმა მშობლებმა ამის შესახებ მაშინ შეიტყეს, როცა გიორგი წელიწადნახევრის იყო.

დაავადება, რომელიც ბატონ გიორგის აქვს, შეიძლება ითქვას, კრებით სახელს ატარებს, რადგან მას სხვადასხვა ტიპი აქვს (ბეკერის დისტროფია, დიუშენის, მიოტონია და ა. შ.). აქედან გამომდინარე, მკურნალობის მიმართულება უნდა განისაზღვროს. არსებობს პროგრესული დისტროფიის ტიპი - დიუშენის დისტროფია, რომლის შემთხვევაშიც, სიცოცხლის ხანგრძლივობა ძალიან მოკლეა; არსებობს შემთხვევები, როცა დაავადებულს დიდხანს სიცოცხლე უწერია, მაგრამ საქართველოში ამის შესახებ ვერავინ იგებს, რადგან დიაგნოსტირების სწორი მეთოდი არ არსებობს. **"მე ვიტყოდი, ნევროპათოლოგები საქართველოში ჯერ კიდევ ქვის ხანაში არიან!(). დღეს იგი ნარდსაც თამაშობს და ბავშვებს გაკვეთილების მომზადებაშიც ეხმარება. ეს, თითქმის, ფანტასტიკაა და ამაში ახლავე დარწმუნდებით.**

კერატოკომპლექსის (ანუ რქოვანის კომპლექსის) გადანერგვის დროს რქოვანის გადანერგვა და მისი პროტეზირება ერთდროულად ხდება. ასეთი ოპერაციები მსოფლიოში მხოლოდ ფიოდოროვის კლინიკაში კეთდებოდა (იქვე მზადდება გადასანერგი კერატოკომპლექსი). 27 ოპერაციიდან წარმატებით 22 დასრულდა. აქედან 12 გიორგი ჯავრიშვილმა გააკეთა. უნდა ითქვას, რომ ახალი მეთოდის შემუშავებაში იგი უშუალოდ მონაწილეობდა და სწორედ ეს წარმოადგენს მისი სადოქტორო დისერტაციის მნიშვნელოვან ნაწილსაც.

28-ე ოპერაცია უკვე თბილისში გაკეთდა. საერთოდ, წარმატებად მიიჩნევა მხედველობის 20-30 პროცენტით აღდგენა, ლაზარიშვილს კი კითხვა მეორე დღესვე შეეძლო და ეს მაშინ, როცა საბოლოო შედეგი მხოლოდ ერთი წლის შემდეგ დაფიქსირდება - ანუ მხედველობა კიდევ უფრო გაუმჯობესდება.

გუშინ 29-ე ოპერაციის მომსწრე გავხდით. ამ ორ შემთხვევას შორის ბევრი საერთოა და იმედი გვაქვს, რომ წარმატებაც საერთო იქნება. თავად გიორგი ჯავრიშვილი ამბობს, რომ მედიცინაში გარანტია არ არსებობს. არსებობს იმედი, ღმერთის შეწევნა და ექიმის ოქროს ხელები. რევაზ ლაზარიშვილი გვარწმუნებს, რომ გიორგი ჯავრიშვილი სწორედ ასეთი ექიმია.

გიორგი ნაფიშვილის მდგომარეობა დროთა განმავლობაში უფრო და უფრო მძიმდება. იგი სოციალურად არ არის უზრუნველყოფილი, თავის რჩენა კი ჯანღონით სავსე ადამიანივით უხდება. ბატონი გიორგი განათლებით ისტორიკოსია; 1995 წლამდე ჯავახიშვილის სახელობის ინსტიტუტში მსახურობდა, მაგრამ მოგვიანებით შემცირებაში მოყვა და სამსახურიდან გაათავისუფლეს. ბატონი გიორგი იძულებული შეიქნა, ოჯახის ფინანსურად უზრუნველსაყოფად სხვა გზა ეძებნა. შეგროვილი ფულით, ძმისა და მეგობრის დახმარებით, მან კომპიუტერი შეიძინა, კარგად შეისწავლა და ახლა სახლში მოსწავლეებს კომპიუტერულ პროგრამირებაში ამეცადინებს. გარდა ამისა, ვებ-გვერდების დამზადებისა და ბიზნეს-გეგმების შედგენის შეკვეთებს იღებს. მიუხედავად იმისა, რომ მისი შემოსავალი არასტაბილურია, ის ინვალიდის ეტლზეა მიჯაჭვული, და კომუნიკაციის პრობლემაც აქვს, გიორგი ნაფიშვილი ოჯახის რჩენას მაინც ახერხებს.

ბატონი გიორგი ცოლს გაშორებულია და მოხუც დედასთან ერთად ცხოვრობს. დროგამოშვებით, არდადეგებზე მასთან ნანიკოც არის. იგი, მამის მსგავსად, შრომისმოყვარე და აქტიური ადამიანია - კომპიუტერსაც კარგად ფლობს და სკოლაშიც კარგად სწავლობს. ყველაფერი ეს მხოლოდ მისი და მისი ოჯახის დამსახურებაა - საზოგადოება და სახელმწიფო მათ იგნორირებას უკეთებს. საქართველოში შესაფერისი გზებიც კი არ არსებობს იმისთვის, რომ უნარშეზღუდულმა ადამიანებმა ინვალიდის ეტლით სარგებლობა შეძლონ.

ან. ისინი დიაგნოზს ჩაქუჩის დარტყმის საშუალებით სვამენ, ამ მეთოდით კი მხოლოდ იმის დადგენა შეიძლება, რომ კუნთი მოდუნებულია, ხოლო ზუსტი დიაგნოზის დასმა შეუძლებელია," - ამბობს გიორგი ნაფიშვილი, რომელსაც შვილიც კუნთების პროგრესული დისტროფიით ჰყავს დაავადებული. ნანიკო 13 წლისაა. ის სკოლაში ჯერ კიდევ დამოუკიდებლად დადის, მაგრამ არც მისი დიაგნოზია ცნობილი.

მიუხედავად იმისა, რომ მისი მდგომარეობა გაცილებით მძიმეა, ვიდრე ნანიკოსი, ბატონი გიორგი მაინც ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოსწორებაზე ფიქრობს. მისი თქმით, დიაგნოზის დასმის ერთადერთი შანსია ქალიშვილის ან მისი სისხლის საზღვარგარეთ გაგზავნა და, დნმ-ის საფუძველზე გაკეთებული ანალიზის მიხედვით, გერმანიაში ან პეტერბურგში გამოკვლევა. ეს კი, დაახლოებით, 200 დოლარი ღირს.

მართალია, საქართველოში ამ დაავადებით შეპყრობილ ადამიანებზე არავინ ზრუნავს, მაგრამ საზღვარგარეთ მისი კვლევა საკმაოდ პროგრესულად მიმდინარეობს. ამერიკის კუნთების დისტროფიის ასოციაციის (იგი მხოლოდ შემოწირულობებით არსებობს) წლიური ბიუჯეტი, ბატონი გიორგის თქმით, 50 მილიონ დოლარს შეადგენს. როგორც ჩანს, ამერიკელი საზოგადოება კარგადაა ინფორმირებული იმ ტრაგედიის შესახებ, რასაც პროგრესული დისტროფიით დაავადებული ადამიანები განიცდიან.

ბატონი გიორგი ნაფიშვილის მდგომარეობა დროთა განმავლობაში უფრო და უფრო მძიმდება. იგი სოციალურად არ არის უზრუნველყოფილი, თავის რჩენა კი ჯანღონით სავსე ადამიანივით უხდება. ბატონი გიორგი განათლებით ისტორიკოსია; 1995 წლამდე ჯავახიშვილის სახელობის ინსტიტუტში მსახურობდა, მაგრამ მოგვიანებით შემცირებაში მოყვა და სამსახურიდან გაათავისუფლეს. ბატონი გიორგი იძულებული შეიქნა, ოჯახის ფინანსურად უზრუნველსაყოფად სხვა გზა ეძებნა. შეგროვილი ფულით, ძმისა და მეგობრის დახმარებით, მან კომპიუტერი შეიძინა, კარგად შეისწავლა და ახლა სახლში მოსწავლეებს კომპიუტერულ პროგრამირებაში ამეცადინებს. გარდა ამისა, ვებ-გვერდების დამზადებისა და ბიზნეს-გეგმების შედგენის შეკვეთებს იღებს. მიუხედავად იმისა, რომ მისი შემოსავალი არასტაბილურია, ის ინვალიდის ეტლზეა მიჯაჭვული, და კომუნიკაციის პრობლემაც აქვს, გიორგი ნაფიშვილი ოჯახის რჩენას მაინც ახერხებს.

ბატონი გიორგი ცოლს გაშორებულია და მოხუც დედასთან ერთად ცხოვრობს. დროგამოშვებით, არდადეგებზე მასთან ნანიკოც არის. იგი, მამის მსგავსად, შრომისმოყვარე და აქტიური ადამიანია - კომპიუტერსაც კარგად ფლობს და სკოლაშიც კარგად სწავლობს. ყველაფერი ეს მხოლოდ მისი და მისი ოჯახის დამსახურებაა - საზოგადოება და სახელმწიფო მათ იგნორირებას უკეთებს. საქართველოში შესაფერისი გზებიც კი არ არსებობს იმისთვის, რომ უნარშეზღუდულმა ადამიანებმა ინვალიდის ეტლით სარგებლობა შეძლონ.

განვლილი მძიმე ცხოვრების მიუხედავად, გიორგი ნაფიშვილი მარტო საკუთარი შვილის ჯანმრთელობაზე არ ფიქრობს. მსოფლიოში პროგრესული დისტროფიით ბევრი ადამიანია დაავადებული და საზღვარგარეთ ამ პრობლემის სხვადასხვა გზით გადაჭრას ცდილობენ. საქართველოსთვის ეს ვერაფერი შეღავათია. ბატონი გიორგი თვლის, რომ აუცილებელია, რომელიმე კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე, ჩამოყალიბდეს და დაფინანსდეს დნმ-ის საფუძველზე დიასგნოსტირების ლაბორატორია, რაც არა მხოლოდ მეცნიერების გარკვეულ დარგს გან

არასამთავრობო ორგანიზაციები ქუთაისის მერის წინააღმდეგ „ხავერდოვან რევოლუციას" გეგმავენ

ქუთაისის მერის ნუგზარ ფალიანის კორუფციული საქმიანობის შესახებ გავრცელებული ახალი დეტალები, რომელსაც მერის გადადგომის მოთხოვნა ახლავს, დღითი დღე მწვავე ხასიათს იძენს. "24 საათი" ქუთაისის მერიის ეკონომიკური ხასიათის სამართალდარღვევების შესახებ გუშინწინ იუწყებოდა. ფალიანის წინააღმდეგ გამოთქმული ბრალდებები გუშინ კიდევ უფრო დამძიმდა. რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ ქუთაისის მერი "კანონიერ ქურდთან" - ტარიელ ონიანთან საეჭვო ურთიერთობაში და ქალაქის ბიუჯეტიდან საკუთარ ფირმებისთვის მილიონ ნახევარი ლარის გაცემაში დაადანაშაულა.

ბექა სისაური
ქუთაისი

ეს არ არის სრული ჩამონათვალი იმ ბრალდებებისა, რომელსაც ადგილობრივი არასამთავრობო სექტორი ქუთაისის მერს უყენებს. არასამთავრობო ორგანიზაციამ "დემოკრატიის ხელშეწყობის ცენტრი" ქუთაისის პროკურატურას უკვე მიაწოდა ინფორმაცია ფალიანის კუთვნილი ფირმების მოღვაწეობის შესახებ. აღმოჩნდა, რომ ქუთაისის მერის კერძო ფირმებს ბიუჯეტის გარანტიით აღებული აქვთ მილიონ ხუთასი ათას ლარამდე სესხი, რომელიც დღემდე არ არის დაფარული. ქუთაისის ბიუჯეტს კი სესხის გადაუხდელობის გამო პროცენტის სახით 200 ათასი ლარი უკვე ჩამოეჭრა.

"ამჟამად სამართალდამცველები ფალიანთან აწარმოებენ მოლაპარაკებას, რომ მან ბიუჯეტის კუთვნილი თანხები დაფაროს, მაგრამ იგი საქართველოს პრეზიდენტის სახელით სარგებლობს და აცხადებს, რომ ეს პრობლემა საკაშვილთან აქვს მოგვარებული. "ვარდების რევოლუცია" იმისთვის მოხდა, რომ ასეთი პირების მიმართ ბრძოლა დაწყებულიყო," -აცხადებს "დემოკრატიის ხელშეწყობის ცენტრის" დირექტორი გიგა შუშანია.

"ქუთაისის ანტიკორუფციულმა საბჭომ" ქუთაისის მერიის მაღალჩინოსნების სამართალდარღვევათა შესახებ არსებული მასალები ჯერ კიდევ გასულ წელს გადასცა სამართალდამცველებს. **"როგორც მარწმუნებენ, რამდენიმე საკითხზე აღიძრება სისხლის სამართლის საქმე. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მიერ გადაცემული მასალები სერიოზულ ფაქტებს შეიცავს, მათი გამოძიება რატომღაც ჭიანურდება. მოვითხოვთ, რომ გამოძიება უახლეს ხანში შედეგით დასრულდეს,"** - აცხადებს შუშანია.

არასამთავრობო ორგანიზაცია ფალიანის კუთვნილ ფირმას გადასახადების დამალვაშიც ადანაშაულებს; კერძოდ, ქუთაისის მერის კუთვნილ ფირმას - "გზა კომბინატ გრუზს" ბიუჯეტის 100 ათასი ლარის ოდენობის დავალიანება გააჩნია. უფრო მეტიც, მერის სარეზერვო ფონდიდან ყოველ დღესასწაულზე ფალიანი საკუთარ თავს, სხვა თანამშრომლებთან ერთად, ასი ლარის ოდენობით ასაჩუქრებდა. **"მე ხელთ მაქვს 2003 წლის 21 ივლისით დათარიღებული განკარგულება, რომლის მიხედვითაც, ფალიანმა სარეზერვო ფონდიდან გამოყო ხუთი ათას ლარზე მეტი, რათა 2 ნოემბრის არჩევნებისთვის ამომრჩეველთა სიები დაეზუსტებინათ. აღნიშნული თანხა 103 პირზე გადანაწილდა. ამავე დროს ქუთაისის მერი იყო "სახელისუფლებო ბლოკის" შტაბის უფროსი. საყოველთაოდაა ცნობილი, ქუთაისში არჩევნების გაყალბების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ამომრჩეველთა გაყალბებული სიები იყო. რადგანაც გაყალბებული სიები ფალიანს შეუდგენია, გამოდის, რომ სწორედ იგი ხელმძღვანელობდა არჩევნების გაყალბებას. ჩვენ ამ განკარგულებას პროკურატურას გადავცემთ, რათა ფალიანის მიმართ არჩევნების გაყალბების მუხლით აღიძრას სისხლის სამართლის საქმე,"** - აცხადებს გიგა შუშანია.

ტარიელ ონიანი და ნუგზარ ფალიანი - კადრი ფირიდან, რომლის განადგურებაც ფალიანს უნდოდა.

მისივე ინფორმაციით, ყოველი 21 ლარიდან, რომელიც, ბიუჯეტის მიხედვით, თითოეულ ქუთაისელზე უნდა დაიხარჯოს, 10 ლარი ბანკებში ვალების მომსახურებაზე იხარჯება, 7 ლარი კი მერიისა და სხვა სამსახურების შენახვას ხმარდება და მხოლოდ 4 ლარი რჩება მოსახლეობის სოციალური საკითხების მოგვარებისთვის.

არასამთავრობოები ფალიანს კრიმინალებთან კავშირშიც ადანაშაულებენ. **"ფალიანი დაკავშირებულია კრიმინალებთან. იგი თავადაც არ უარყოფს ტარიელ ონიანთან კავშირს. ფალიანი იყო ერთ-ერთი ჩინოსანი, რომელიც თბილისში დახვდა ტარიელ ონიანს და ქუთაისში ჩამოაცილა. იგი, ბონდი შალიკიანთან ერთად, პარიზში ტარიელ ონიანის შვილის ნათლობაზეც იმყოფებოდა.**

გარდა ამის, ფალიანის სამსახურებრივი "მერსედესი" (ნომრით UGU-440) 2002 წელს იარაღის არსენალის გადატანისას დააკავეს (საქმის გამოძიება პროკურატურაში ჯერ კიდევ არ არის დასრულებული), იარაღი ადამიანის გამტაცებელთა სერიოზულ ჯგუფს ეკუთვნოდა (ამ ჯგუფს ამირან ნაცვლიშვილისა და გიორგი სარდანაძის გატაცება ედება ბრალად). მძღოლი, რომელიც მაშინ იჯდა საჭესთან და იარაღი გადაჰქონდა, დღესაც ფალიანს ემსახურება. ეს ფაქტი სერიოზულ ეჭვს იწვევს, რომ ქუთაისის მერი ამ დანაშაულის შესახებ ინფორმაციას ფლობდა," - აცხადებს "ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრის" დირექტორი გივი ჯიბლაძე. სხვათა შორის, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს მოეპოვებათ ვიდეოფირი, რომელზეც ფალიანისა და ტარიელ ონიანის ქეიფია გადაღებული. მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისის მერს ფირის განადგურების სურვილი გააჩნდა, მიზანს მაინც ვერ მიაღწია.

გივი ჯიბლაძის ინფორმაციით, გენერალური პროკურატურა იკვლევს საგზაო ფონდის მიერ დახარჯული 63 მილიონის ბედსაც. სწორედ ფალიანის ერთერთ ფირმას აქვს მოგებული 24-მილიონიანი ტენდერი, რომლითაც იმერეთისა და გურიის ცენტრალური მაგისტრალები უნდა შეკეთებულიყო.

არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივით, გუშინვე შეიქმნა საპროტესტო კომიტეტი, რომელიც ქუთაისის მერის წინააღმდეგ უახლოეს მომავალში გამართულ აქციებს გაუწევს კოორდინირებას.

„ბლინჩიკა" მანქანების გატაცების ისტორიებს ჰყვება

შიდა ქართლის ყოფილი გუბერნატორისა და ამჟამინდელი გენერალური პროკურორის ირაკლი ოქრუაშვილის ინიციატივით, რამდენიმე თვის წინათ, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, ქართული მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე "საახალწლო ფეიერვერკი" გამართა, რამაც კონტრაბანდული ტვირთის ამ ტერიტორიიდან შემოდინება მნიშვნელოვნად შეამცირა. ირაკლი ოქრუაშვილის მოთხოვნით, მაშინ უშიშროების სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმმა კონტრაბანდისტთა სავალი გზები ტროტილით ააფეთქა.

ხათუნა ჭანგირაშვილი

ავტომანქანების მფლობელებს მაშინ იმედი მიეცათ, რომ გამტაცებლები მოპარულ ავტომანქანებს ცხინვალის ტერიტორიაზე ვეღარ გადაიყვანდნენ და, შესაბამისად, დაკარგული ავტომანქანის პოვნაც გაადვილდებოდა. უკვე კარგა ხანია, ვრცელდება ინფორმაციები იმის შესახებ, რომ ავტომანქანის გამტაცებლებს ცხინვალში მანქანები ვეღარ გადაჰყავთ და თითქმის ყველა შემოვლითი გზა ჩახერგილ-აფეთქებულია, თუმცა ფაქტები საპირისპიროზე მეტყველებს; მით უმეტეს, რომ შიდა ქართლის გუბერნატორს 52-ვე შემოვლითი გზის აფეთქება არ დასცალდა. მან მხოლოდ 7 გზა ააფეთქა-ჩახერგა, შემდეგ კი გენერალური პროკურორის პოსტზე გადმოიყვანეს.

რამდენიმე დღის წინათ სამართალდამცველებმა მეტროს სადგურ "დიდუბის" ტერიტორიაზე დააკავეს თბილისში მოქმედი ავტოტრანსპორტის გამტაცებელთა ერთ-ერთი ორგანიზებულ-დანაშაულებრივი ჯგუფის ლიდერი და აქტიური წევრი, ჩადენილი მძიმე დანაშაულებისთვის მრავალჯერ ნასამართლევი ზურაბ ოქრუაშვილი, მეტსახელად - "ბლინჩიკა". როგორც გაირკვა, ავტომანქანების გატაცებით დასაქმებულმა "ბლინჩიკამ" ბოლო დღეების განმავლობაში ოთხჯერ მოახერხა თბილისიდან გატაცებული ძვირადღირებული ავტომანქანების ცხინვალში გადაყვანა და გაყიდვა.

გამოძიების მასალებით, "ბლინჩიკა", რამდენიმე შეიარაღებულ პირთან ერთად, 19 მარტს, აეროპორტის გზაზე თავს დაესხა ბადრი ციგრიაშვილს. თავდამსხმელებმა ძალადობითა და მუქარით ციგრიაშვილს წაართვეს ავტომანქანა "გრანდ-ჩეროკი", რომელიც მეორე დღეს ცხინვალში "ბლინჩიკამ" გადაიყვანა და 8 ათას 500 აშშ დოლარად მიჰყიდა ვინმე "ედიკას". მანამდე "ბლინჩიკამ" და მისი ჯგუფის წევრებმა მეტროს სადგურ "დიდუბის" ტერიტორიაზე ნუგზარ პეტრიაშვილი დააყაჩაღეს. მფლობელს გასტაცეს ავტომანქანა "ფორდ-ტრანზიტი". გატაცებული ავტომანქანა ე. წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე გადაიყვანეს და 3 ათას დოლარად ვინმე "ალანას" სასწრაფოდ მიჰყიდეს.

ზურაბ ოქრუაშვილმა და მისი ჯგუფის წევრებმა, რომელთა მოქმედების ხელწერაც უცვლელია, ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე ერთ-ერთი ავტოფარეხიდან ე. წ. "ატმეჩკების" საშუალებით მოპარული ძვირადღირებული ავტომანქანის გადაყვანაც მოახერხეს ცხინვალის ტერიტორიაზე და 1500 დოლარად უპრობლემოდ გაყიდეს. ვაჟა-ფშაველაზე მცხოვრები ლევან მეგენეიშვილის ძვირადღირებული მანქანაც, რომელიც მან ავტოფარეხიდან დაკარგა, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე აღმოჩნდა. "ბლინჩიკამ" მოპარული მანქანა ამჯერადაც ვინმე "ალანს" 1500 დოლარად მიჰყიდა.

როგორც სამართალდამცველები ირწმუნებიან, დაპატიმრებული ზურაბ ოქრუაშვილი დანაშაულს აღიარებს და დეტალურად ჰყვება თითოეული ავტომანქანის გატაცების ისტორიას. სამართალდამცველთა თქმითვე, "ბლინჩიკას" ჯგუფის მიერ გატაცებულ ავტომანქანებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მიაგნეს.

გამოძიების მასალებით, "ბლინჩიკამ" და მასთან ერთად მყოფმა შეიარაღებულმა ჯგუფის წევრებმა თბილისში, იპოდრომის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ერთ-ერთი ავტოსადგომის დარაჯს ცემისა და მუქრის შემდეგ გასტაცეს სხვადასხვა მარკის ავტომანქანები. სამართალდამცველებმა იპოდრომის ტერიტორიაზე მდებარე ავტოფარეხიდან ერთდროულად გატაცებული რამდენიმე ავტომანქანა მცხეთის რაიონის სოფელ ძეგვში იპოვეს. ჩვენი ინფორმაციით, ნაპოვნი მანქანები მფლობლებს უკვე დაუბრუნდა. სხვათა შორის, იმავე იპოდრომის ტერიტორიაზე მცხოვრები "ლტოლვილების ჯგუფი", რომელშიც ცნობილი "უგონშიკები" არიან თავმოყრილნი, საკმაოდ აქტიურად მუშაობს დოლიძის ქუჩის, ბახტრიონისა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე. სულ ცოტა ხნის წინათ მათ მიერ გატაცებული "ბმვ"-ს მარკის მანქანა, რომელსაც პოლიციის ციმციმა ედგა და რომელსაც ჯგუფის ლიდერი მართავდა, ქუთაისში სპეცოპერაციისას დააკავეს. მანქანა გასაყიდად აფხაზეთში გადაჰყავდათ. სხვათა შორის, ბოლო პერიოდში თბილიდან მანქანების გატაცებაზე საკმაოდ აქტიურად მუშაობენ ლტოლვილთა ჯგუფები. პოლიციელთა განცხადებით, **"მანქანების "უგონებით" ლტოლვილებმა ლოტკინელებს გაასწრეს, თუ ადრე ვამბობდით, რომ ლოტკინელები "ატმეჩკებით" იბადებიანო, ახლა ლტოლვილებს ვერავინ შეედრება ამ საქმეში."** თანაც, "უგონშიკი ლტოლვილების" მიერ გატაცებული მანქანა ძნელად მისაგნებია, რადგან მათ ახალი არხი გახსნეს – მოპარული მანქანა აფხაზეთში გადაჰყავთ, საიდანაც ახალ მფლობელებს, თურმე, ერაყსა და სირიაში მიჰყავთ გასაყიდად. თუ ცხინვალში გადაყვანილი მანქანის მოძებნა იქაური კრიმინალების ჩარევით შესაძლებელია, აფხაზეთში გადაყვანილს პატრონი ვეღარ დაიბრუნებს. როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, ადრე მანქანის "ვაზვრატზე" პარტიზანული დაჯგუფების "ტყის ძმების" ლიდერი დავით შენგელია მუშაობდა, ახლა სიტუაცია შეიცვალა და ისიც ვეღარ აკონტროლებს. მოკლედ, მანქანაგატაცებულ მძღოლს პოლიციელები წინასწარ აფრთხილებენ: თუ ლტოლვილებმა გაიტაცეს და აფხაზეთში მოასწრეს გადაყვანა, მანქანა დაკარგულია.

ბოგდან ხმელნიცკის ქუჩაზე მდებარე სააქციო საზოგადოება "ისანი პლუს"-ის ავტოსადგომთან ორი თვის წინ მომხდარი ყაჩაღობაც "ბლინჩიკას" სახელს უკავშირდება. მაშინ თავდამსხმელები დარაჯებს ჯერ ფიზიკურად გაუსწორდნენ, შემდეგ "სკოტჩით" გაკოჭეს და ავტოსადგომიდან სამი ძვირადღირებული მანქანა უპრობლემოდ წაიყვანეს. სამართალდამცველების მტკიცებით, სამივე ავტომანქანა თბილისშივე იპოვეს და მფლობელებსაც დაუბრუნეს.

ერთი სიტყვით, უკვე დაპატიმრებული ზურაბ ოქრუაშვილის - "ბლინჩიკას" საქმეში ერთი და იმავე შინაარსის უამრავი ეპიზოდია გაერთიანებული. სამართალდამცველები ახლა მისი დანაშაულებრივი კავშირების დადგენასა და ჯგუფის წევრების დაკავებაზე მუშაობენ.

მანქანის გამტაცებელთა მიერ ათვისებულ ორ არხს – ცხინვალისა და სომხეთის "გზებს", რომლებიც გატაცებული მანქანების "შავ ბაზრად" იყო ცნობილი, აფხაზეთის ტრასაც დაემატა და უფრო მეტად განვითარდა კიდეც. "ხავერდოვანი რევოლუციის" შემდეგ ცხინვალსა და სომხეთში მანქანების გადაყვანის ფაქტები საგრძნობლად შემცირდა; სამაგიეროდ, "აუღებელია" აფხაზეთის გზა, სადაც ახლა გატაცებულ მანქანათა უმეტესი ნაწილი გადადის.

"2004 წლის იანვარ-თებერვალში თბილისში მომხდარი ყოველი მესამე დანაშაულის ჩამდენი ე.წ. გასტროლიორია. ორ თვეში გახსნილ დანაშაულთა 26 პროცენტი სწორედ ამ კატეგორიის მოქალაქეებზე მოდის," - ასეთია თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის ლევან მაისურაძის სტატისტიკური შეტყობინება. პოლიციელთა განცხადებით, თბილისელები დანაშაულს თითქმის აღარ სჩადიან, **"თბილისელებს, ძირითადად, ნარკომანიისთვის ვიჭერთ,"** – აცხადებენ სამართალდამცველები.

ლევან მაისურაძის მიერ წარმოდგენილი სტატისტიკის მიხედვით, წლეულს ჩადენილ დანაშაულთა რაოდენობა რვა პროცენტით გადააჭარბა შარშანდელს, რაც იმის დამადასტურებელია, რომ კრიმინოგენული მდგომარეობა საგანგაშოა.

თბილისის პოლიციის შეფი ყურადღებას ამახვილებს ავტომანქანების გატაცების ფაქტებზე. მისი თქმით, გატაცებული ავტომანქანები, ძირითადად, საქართველოს საზღვრებს გარეთ გადის და ტექნიკური საშუალებების არარსებობის გამო სამართალდამცველებს მსგავსი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა ყველაზე მეტად უჭირთ.

პროექტის სამედიცინო მრჩეველი

"BP"-ის ნავთობსადენის პროექტების განხორციელების მიზნით და "BP"-ის მენეჯმენტის ზედამხედველობის ქვეშ, შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიას "IღA" სურვილი აქვს დაიქირავოს შესაფერისი კვალიფიკაციის მქონე პირი პროექტის სამედიცინო მრჩევლის თანამდებობაზე.

პროექტის სამედიცინო მრჩეველი იქნება "BP"-ის ნავთობსადენის მშენებლობის პროექტში მონაწილე მესამე მხარე კონტრაქტორი, რომელიც "BP"-ის მენეჯმენტის ზედამხედველობის ქვეშ იმუშავებს.

სამუშაოს დახასიათება:

გაუწიოს დახმარება პროექტის მენეჯმენტსა და პროექტის ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მენეჯერს კაპიტალური ფასეულობების პროცესისა (CVP) და პროექტის ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი Mმოთხოვნების შესაბამისად მიერ ჯანმრთელობის უზრუნველყოფის სფეროში დასახული მიზნების მიღწევაში.

პროექტის სამედიცინო მრჩევლის მთავარი ფუნქციაა დაეხმაროს საპროექტო გუნდს შემდეგი მიზნების მიღწევაში:

- აზერბაიჯან-საქართველოს ყველა უბანზე ჯანმრთელობის სათანადოდ დაცვის (Getting Health Right) ამოცანების გათვალისწინებით პროექტის სამედიცინო სტრატეგიის, პროექტის ჯანდაცვითი პროცედურისა და პროექტის ჯანდაცვითი პროგრამის განხორციელებისთვის ხელშეწყობა;
- პროექტის ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს მენეჯმენტთან მუშაობა კონტრაქტორების მიერ შემოთავაზებული სამედიცინო მენეჯმენტისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სამედიცინო გეგმის კრიტიკულად შესაფასებლად, ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას პროექტის მაღალი ეფექტურობა და ხარისხი ყველა იმ საკითხში, რომელიც ჯანმრთელობისა და სამედიცინო მენეჯმენტს შეეხება.

მოვალეობები:

ზოგადი მოვალეობები შედგება, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი საქმიანობებით:

- საპროექტო-სამედიცინო მზადყოფნის აუდიტის გრაფიკის შემუშავება და საგანგებო სამედიცინო რეაგირებისა და სანიტარიის საკითხებში კონტრაქტორის ბანაკსა და სხვა უბნებზე აუდიტების წარმოება კომპანიის მიერ შემუშავებული მოთხოვნების შესაბამისად. ამ დროს ის იმუშავებს კონტრაქტორებთან როგორც კომპანიის აგენტი ჯანმრთელობისა და სამედიცინო საკითხებში მომზადებულობის უზრუნველსაყოფად.
- პროექტის მენეჯმენტის წარმომადგენლობა ქვეყნის სამედიცინო და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სხვადასხვა სახელისუფლო ორგანოებთან და პროექტის მენეჯმენტის ინფორმირება ყველა იმ ცვლილებაზე, რაც შეიძლება მოხდეს ჯანდაცვის საკითხების მარეგულირებელ ეროვნულ კანონმდებლობაში (კანონები, ბრძანებულებები და ა.შ.).
- აზერბაიჯან-საქართველოში არსებული სამედიცინო მომსახურების პუნქტების ეფექტურობის, ხელმისაწვდომობისა და ხარისხის შეფასება. პროექტის მენეჯმენტისთვის რჩევების მიცემა რომელიმე ამ საშუალებასთან დაკავშირებით რაიმე ფორმალური მოქმედებების განხორციელების საჭიროების შესახებ და მათი განხორციელება პროექტის სახელით.
- ადგილობრივ სამედიცინო მომსახურების პუნქტებში განხორციელებული საპროექტო მომსახურების შემთხვევების შემოწმება პროექტის ფარგლებში დადგენილი მოვლის სათანადო სტანდარტების შენარჩუნების უზრუნველსაყოფად და პროექტის მენეჯმენტსა და ადგილობრივ სამედიცინო მომსახურების პუნქტებს შორის მაკავშირებელი პირის როლის შესრულება.
- პროექტის მომსახურე პირის, ისევე როგორც კონტრაქტორის (თუ ეს სათანადო პროექტის მენეჯმენტმა ითხოვა) სამედიცინო ევაკუაციის შემთხვევების შემოწმება და იმის უზრუნველყოფა, რომ რეაგირების დონე შეეფერება პროექტისაგან მოსალოდნელ ხარისხსა და ეფექტურობას.

გამოცდილება და განათლება:

მოთხოვნილია შემდეგი უნარ-ჩვევები და კვალიფიკაციები:

- სამედიცინო ხარისხი.
- ტრამვების, საგანგებო სიტუაციების მედიცინის, ზოგადი თერაპიისა და/ან საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებზე კლინიკასა თუ საავადმყოფოში მუშაობის მინიმუმ 5-წლიანი გამოცდილება.
- ავარიული სიტუაციებისა და საგანგებო შემთხვევების მედიცინის, პირველადი სამედიცინო დახმარების, ტრამვის გამო სასიცოცხლო დახმარებისა (ATLS) და კარდიალური სასიცოცხლო დახმარების (ACLS) კარგი და თანამედროვე ცოდნა.
- კარგი კომუნიკაციური, ორგანიზაციული, სწავლება-პრეზენტაციისა და კომპიუტერთან მუშაობის უნარი.
- აზერბაიჯანსა და საქართველოში პროექტის უბნებისთვის სპეციფიური დაავადებების ცოდნა და მათთან მუშაობის გამოცდილება;
- უნდა გააჩნდეს აზერბაიჯანსა და საქართველოში არსებული ჯანდაცვის კანონმდებლობის/სტანდარტებისა თუ მოთხოვნების ცოდნა ან მისი ეფექტურად შესწავლა; მზად უნდა იყოს და უნდა შეეძლოს ჯანდაცვის სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირებთან, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებთან და საავადმყოფოების მენეჯმენტთან მუშაობა.
- უნაკლოდ უნდა ფლობდეს წართულსა და ინგლისურს.
- უნდა ჰქონდეს კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება (MS Windows).
- დასავლეთის მედიცინასთან პრაქტიკული ხელშეხება (ტრეინინგის კურსები, მუშაობის გამოცდილება, და ა.შ.), პროფესიული ჯანდაცვისა და ჰიგიენის ზოგადი ცოდნა, სამედიცინო ევაკუაციის (ჰაერით, გზებით და ა.შ.) უნარ-ჩვევები და აგრეთვე პროექტის ტერიტორიის მიმდებარე უბნებზე არსებული სამედიცინო დახმარების პუნქტების ცოდნა უპირატესობად იქნება მიჩნეული.

კანდიდატი მზად უნდა იყოს, რომ საჭიროებისდა მიხედვით იმუშაოს დაშორებულ უბნებზე, თანაც გრძელი პერიოდით და ხელმისაწვდომი იყოს 24 საათის განმავლობაში.

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების შეტანის ბოლო ვადაა 2004 წლის 15 აპრილი, 6:00 სთ.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

კადრების განყოფილება
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"
"ბი-პი ჯორჯია"
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38

ბავშვებმა ახალშობილის გაყინული ცხედარი იპოვეს

ხათუნა ჭანგირაშვილი

როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, თემქის დასახლებაში მდებარე მე-5 სამშობიაროს სარდაფში, გუშინწინ, მამრობითი სქესის ახალშობილის გვამი აღმოაჩინეს. საფენებში გახვეული გაყინული ახალშობილის ცხედარს სამშობიარო სახლის ეზოში მოთამაშე 12-13 წლის ბავშვებმა, რომლებიც ერთმანეთს სარდაფში ემალებოდნენ, იქვე მდგარ საოჯახო მაცივარში შემთხვევით მიაგნეს და შეშინებულებმა სამშობიარო სახლის გარე დაცვის თანამშრომლებს შეატყობინეს. ადგილზე სასწრაფოდ მივიდნენ გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის თანამშრომლები. საქმეს ამავე რაიონის პროკურატურა იძიებს. როგორ მოხვდა ახალშობილი მაცივარში და ვინ გაყინა? გამოძიება, ჯერჯერობით, კონკრეტულს ვერაფერს ამბობს. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის პროკურორმა ლენა კაპანაძემ ჩვენთან საუბარში განაცხადა, ახალშობილს ხელზე ეკეთა ეგრეთ წოდებული "ბირკა", რომელზეც დაბადების თარიღია დაფიქსირებული. როგორც გაირკვა, გუშინწინ სარდაფში ნაპოვნი ბავშვი 19 თებერვალს დაიბადა. გამოდის, რომ ახალშობილის ცხედარი სარდაფში მდგომ მაცივარში თვეზე მეტი იყო. ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ პროკურატურის მიერ სამშობიარო სახლიდან ამოღებული მშობიარობის ისტორიის მიხედვით, ჩვილი 19 თებერვალს, დაბადებისთანავე გარდაცვლილა.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, არსებობს ჩვილის გარდაცვალების მოწმობაც და ხელშეკრულებაც, რომელიც გარდაცვლილის საავადმყოფოში დატოვებისთვის იყო გაფორმებული, ანუ მშობელმა გარდაცვლილი შვილის დაკრძალვაზე უარი თქვა და ის საავადმყოფოს დაუტოვა. სამშობიარო სახლის თანამშრომლებს ჩვილი სამშობიარო სახლისთვის განკუთვნილ სპეციალურ სამარხში უნდა გადაესვენებინათ.

მეხუთე სამშობიარო სახლის თანამშრომლები, ჩვენი ინფორმაციით, უკვე დაკითხულები არიან, თუმცა მათმა ჩვენებებმა გამოძიებას ვერაფერი შეუძინა.

"ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, გარდაცვლილი ჩვილის დედა ჩოხატაურელია. გამოძიებისთვის, ალბათ, მისი ჩვენება მნიშვნელოვანი იქნება. გაყინული ჩვილის გვამზე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა უკვე დაინიშნა. ექსპერტიზა დაადგენს ბავშვის გარდაცვალების მიზეზს. ექსპერტიზის დასრულებამდე მომხდარის შესახებ რაიმე გამოკვეთილ ვერსიაზე საუბარი ნაადრევი იქნება, თუმცა გარკვეული ვერსიები გაგვაჩნია, რომელთა გამჟღავნება ამ ეტაპზე არ შეიძლება", - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას გლდანი-ნაძალადევის რაიონის პროკურორმა ლენა კაპანაძემ.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მეხუთე სამშობიარო სახლის სარდაფი არ იკეტება და ამ ადგილას ბავშვები ხშირად თამაშობენ.

"თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

აფხაზურ კლუბში



ლევან ხერხეულიძის ფოტო

თემურ მჟავია: მე თქვენს პოზიციასაც ღირსეულად წარვადგენ!

გასულ ოთხშაბათს "აფხაზურმა კლუბმა" აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ახალ თავმჯდომარეს, თეიმურაზ მჟავიას უმანსპინძლა; თუმცა, ბატონ თემურს "კლუბის" სტუმრად ნამდვილად ვერ მივიჩნევთ. დისკუსიებში იგი ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდა. შეხვედრაზე მრავალი კითხვა დაისვა, მაგრამ ძირითადი მაინც არჩევნების საკითხი იყო. მჟავიას განცხადებით, მას აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარება პოლიტიკურად გაუმართლებლად მიაჩნია. დარბაზის უკმაყოფილების შემდეგ მჟავიამ კიდევ ერთი განცხადება გააკეთა. მისი თქმით, იგი პატივს სცემს ოპოზიციურ აზრს და თუ ოპონენტებს ამის საშუალება არ მიეცემათ, მზადაა, მათი მოსაზრება მთავრობის წინაშეც ღირსეულად წარმოადგინოს.

დღეს "აფხაზური კლუბი" უმასპინძლებს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს ეთერ ასტემიროვას.

24 საათი

ცხოვრებისეული ისტორიები

აფხაზი შვილობილი ათი წელია არ მინახავს

მე თამარ კაკაბაძე ვარ, სოხუმიდან. მეათე წელია, "დროებით" ვცხოვრობ წყნეთში.

1972 წელს მუშაობა დავიწყე სოხუმის მუსიკალურ ტექნიკუმში. იქ, მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული, ძირითადად, არასოხუმელი სხვადასხვა ეროვნების ბავშვები იყვნენ. ქართველი, აფხაზი, რუსი ბავშვები მეგობრულად ცხოვრობდნენ და სწავლობდნენ. საერთოდ, ტექნიკუმში ძალიან კარგი პედაგოგიური კოლექტივი მუშაობდა აფხაზი დირექტორის ხელმძღვანელობით.

მე ტექნიკუმის ბუფეტში ვმუშაობდი. ბავშვებთან ყოველდღიური ურთიერთობა მქონდა და ბევრ მათგანს კარგადაც ვიცნობდი. ერთხელ შევნიშნე, რომ ერთი თექვსმეტი წლის, დამამთავრებელი კლასის მოსწავლე ბიჭი, ეროვნებით აფხაზი, რამდენიმე დღის განმავლობაში ძალიან მოწყენილი იყო. ამხანაგებს არ ეკონტაქტებოდა, ყველასგან განცალკევებული, მოწყენილი დადიოდა. მე მის შესახებ მხოლოდ ის ვიცოდი, რომ იგი გუდაუთიდან იყო, მამით ობოლი, მარტო დედა ჰყავდა და ეკონომიკურად ძალიან უჭირდათ.

ბიჭს დავუძახე, გამოველაპარაკე. ვკითხე, თუ რატომ იყო ასე მოწყენილი. მან გულახდილად მიპასუხა, რომ ტექნიკუმს წელს ვამთავრებ და კაპიკი ფული არა მაქვს, არ მაცვია, არ მახურავს, დედაჩემს არანაირი საშუალება არა აქვს და არ ვიცი, რა ვქნაო.

ამის მოსმენით ძალიან შევწუხდი და ბიჭი ვანუგეშე: ნუ გეშინია, საჭმელს მე უფასოდ გაჭმევ და რაღაცას მოგიხერხებ-მეთქი.

მართლაც დავიწყე მასზე ზრუნვა. ვუყიდე ერთი ხელი ტანსაცმელი: შარვალი, "საროჩკა", ფეხსაცმელები – მას ხომ ტექნიკუმის გამოსაშვები საღამოსთვის არაფერი ჰქონდა. თითქოს ისიც ცდილობდა, ყურადღებით ყოფილიყო ჩემდამი: ჩემს ლექსებზე რამდენიმე სიმღერა დაწერა. ამიტომ მე მას "კომპოზიტორი" შევარქვი. დრო გადიოდა და იმდენად დავუახლოვდი ჩემს "კომპოზიტორს", რომ, ვინაიდან საკუთარი შვილი არ მყავდა, მისი შვილად აყვანა გადავწყვიტე. ჩემს მშობლებსაც მოველაპარაკე – წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, პირიქით, ისიც კი მითხრეს: კი, ბატონო, რახან შვილი არა გყავს, აიყვანე. მოგვემატება, ხომ არ მოგვაკლდებაო?!

ბავშვი მონათლულიც არ იყო. ასე მითხრა, ეკლესიაში ვერ შევდივარ, მოუნათლავი ვარ და ჯვარი არა მაქვს. ამიტომ შენ მომნათლეო. ასეც მოვიქეცი..

შემდეგ ჩემმა "კომპოზიტორმა" დაამთავრა ტექნიკუმი, წაიყვანეს ჯარში. ჩეხოსლოვაკიაში მსახურობდა და იქიდან წერილებს ხშირად მწერდა. სამხედროდან დაბრუნების შემდეგ, დაბრუნდა გუდაუთაში, მოიყვანა მეგრელი ქალი ცოლად. რა თქმა უნდა, ქორწილს უჩემოდ არ ჩაუვლია. სარძლოს სანახავად მეც წამიყვანეს გუდაუთაში. ვნახე მისი საცოლე, კარგი გოგო იყო, ძალიან მომეწონა, მარტო თმები ჰქონდა ერთი გოგოს ფასი! ჩემს პატივსაცემად დიდებული სუფრა გაიშალა, მეზობლებიც დაპატიჟეს.

რამდენიმე დღის შემდეგ ახალდაქორწინებულები ჩემთან, სოხუმში წამოვიყვანე. ჩემს სახლს ერთი ოთახი მივაშენეთ და ასე ვცხოვრობდით ერთად, ტკბილად და ბედნიერად. მისი ორი შვილი იქ, ჩემს ხელში გაიზარდა...

უკვე ათ წელზე მეტია, აქ, წყნეთში ვცხოვრობ. მიუხედავად ყველაფრისა, ისევ ვწერ ლექსებს, მაგრამ ჩემი "კომპოზიტორი" აფხაზეთშია და ათი წელია არ მინახავს. ის კი ვიცი, რომ მას ახლა უკვე ხუთი შვილი ჰყავს...

რუბრიკას უძღვება ლელა მარგიანი, რადიოპროექტი – "ცხოვრებისეული ისტორიები" ხორციელდება ბრიტანული საერთაშორისო ორგანიზაციის "შერიგების რესურსების" მიერ. ჩანაწერები მოგვაწოდა რადიოპროგრამა "პოსტფაქტუმმა".

რადიო "მწვანე ტალღა"

ამიერიდან ყოველ ორშაბათს 11.00-დან 12.00 საათამდე პროექტი "თქვენი აფხაზეთი" რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში წარმოგიდგენთ დიალოგს, პირდაპირ ჩართვებს, კითხვა-პასუხს.

FM 107,4

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

უცნობი ტკივილი

ლელა მარგიანი

შარშან, ზაფხულში კულტურულ ურთიერთობათა ცენტრის "კავკასიური სახლის" ოთხი თანამშრომელი ერთი კვირის განმავლობაში აფხაზეთში იმყოფებოდა. ანა აბრამიშვილი, თამარ უჯუხუ, თეა გალდავა და მიხეილ ბეროშვილი აფხაზეთის სოფლებში არაპროფესიონალური კამერით ხელში დადიოდნენ და რიგით ადამიანებს ხვდებოდნენ. "კავკასიური სახლის" თანამშრომლებს სურდათ ენახათ, როგორ ცხოვრობენ რიგითი აფხაზები ათი წლის შემდეგ, რა სურვილები და იმედები აქვთ მათ. თორმეტსაათიანი მასალა საბოლოოდ, ერთსაათიანმა დოკუმენტურმა ფილმმა ჩაიტია, რომლის პრემიერა "კაკასიურ სახლში" გასულ კვირას შედგა.

ზაზა შარაშენიძის ფოტო

ანა აბრამიშვილი "24 საათის" რედაქციაში.

ფილმი იწყება აფხაზეთის ნაცნობი თუ უცნობი კადრებით – სოხუმის თეთრი სანაპირო, ზღვაში რკინის ბოძებზე შემოსკუპებული რესტორანი "ამრა", ჭანბას სახელობის თეატრის ცნობილი შენობა, ილორის საკათედრო ტაძარი, გაპარტახებული, სარეველამოდებული ეზოები, გადამწვარი და უპატრონობით ჩამონგრეული, ერთ დროს თვალისჩინივით მოვლილი ორსართულიანი სახლები, ტყვარჩელის ნახევრადცარიელი ბაზარი, აფხაზეთის სანაპირო და ზღვა. ყველაფერი ეს იყო ერთ დროს ძალიან ახლობელი, ამჯერად კი - ასე შორეული და ჟრუანტელის მომგვრელი, ტკივილიანი.

ტკივილი აფხაზეთში გადაღებულ ამ ფილმშიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე იგრძნობა. მძიმე მოსასმენია ომში უგზოუკვლოდ დაკარგული აფხაზი ბიჭების დედების ნაამბობი – თუ როგორ "ერგო" ოთხ გაუბედურებელ დედას დაღუპული შვილების ნეშტების ნაცვლად მხოლოდ ერთი თავის ქალა. მძიმე სანახავი იყო სოფლებში ტამიშსა და ლიხნში გადაღებული ახალგაზრდა ბიჭების საფლავები. ფილმი მცდელობაა აფხაზურ საზოგადოებაში არსებული ტკივილის, მოლოდინების და იმედების დაფიქსირებისა.

"კავკასიური სახლის" დირექტორის მოადგილე ანა აბრამიშვილი:

"მე, დაახლოებით, ვიცოდი, იქ რა სიტუაცია იქნებოდა. ქართული მხარისთვის უცნობია მათი ტკივილი, მათთვის – ჩვენი. ჩვენი ჩასვლის მიზანი იყო, ყველაფერი რეალურად აგვეხსნა, რადგან მიგვაჩნია, რომ რაც უნდა მძიმე დაავადება იყოს, თუ სწორი დიაგნოზი არ დავსვით, ისე წარმატებული მკურნალობა შეუძლებელია. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, როგორ ცხოვრობს იქ ხალხი. ერთადერთი შეკითხვით მივდიოდით მათთან – "როგორ ხართ?!" და ისინიც, რიგითი აფხაზები გულახდილად, გახსნილად გვიყვებოდნენ თავიანთ ტკივილზე, იმედებზე და მოლოდინებზე."

ქალბატონ ანას მიაჩნია, რომ მსგავსი სტუმრობა აფხაზეთში - ვიდეოკამერით, ყოველგვარი შეზღუდვებისა და წინასწარ დაგეგმილი შეხვედრების გარეშე, რამდენიმე წლის წინათ შეუძლებელი იყო.

"დრო ყველაფრის მკურნალიაო, ნათქვამია. ალბათ, ჭრილობებს იქაც იშუშებენ, მაგრამ ეს პროცესი იქ უფრო ძნელად და მტკივნეულად მიმდინარეობს. ამის მიზეზი კი ისაა, რომ აფხაზები, ჩვენთან შედარებით, გაცილებით მცირერიცხოვანნი არიან. აფხაზეთის ტრაგედია თითოეულმა ოჯახმა ან საკუთარ თავზე განიცადა, ან – ახლობლებზე. ამიტომ მათ მეტი დრო სჭირდებათ ტკივილის მოსაშუშებლად. თანაც, იქ ჩაკეტილი საზოგადოებაა, დახურულ სივრცეში ცხოვრობენ, მოსახლეობის არანაირი ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია არ მომხდარა. ამას ემატებოდა თბილისში, ძველი მთავრობის მხრიდან ორმაგი სტანდარტის არსებობა. ერთ მხარეს იყო შევარდნაძის სამშვიდობო გადაწყვეტილებები და მეორე მხარეს ნადარეიშვილის მუდმივი მუქარა," – ამბობს ქალბატონი ანა და საკითხისადმი ფაქიზი დამოკიდებულებისაკენ მოგვიწოდებს.

საქმე ისაა, რომ ენგურსგამოღმა საქართველოს შესახებ აფხაზეთში, ძირითადად, ნეგატიური ინფორმაცია ვრცელდება. ხდება აგრესიული განცხადებების ფართო ფიშირება, რაშიც თავისი წვლილი რუსეთის საინფორმაციო საშუალებებსაც შეაქვთ.

"აქ ნათქვამ ყოველ არაკორექტულ განცხადებას თუ სიტყვას სოხუმში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ამიტომ ჩვენ სწორი გზა უნდა გამოვნახოთ აფხაზებთან ურთიერთობაში. საუბარი უნდა იყოს ძალიან გულწრფელი. ორივე საზოგადოებამ უნდა მოახერხოს ერთმანეთთან დაახლოება, მესამე მხარის ჩარევის გარეშე," – გვითხრა ქალბატონმა ანამ.

მას, რა თქმა უნდა, მზა რეცეპტი არა აქვს, მაგრამ შერიგების პერსპექტივის არსებობაში ეჭვი არ ეპარება.

"მთავარია, ისეთი დოკუმენტი შემუშავდეს, ორივე მხარის ინტერესებს რომ გაითვალისწინებს. უნდა არსებობდეს გამიჯნული მოვალეობები და პასუხისმგებლობები. თუ ყველაფერი იურიდიულად გამართული იქნება, არავითარი პრობლემა აღარ იარსებებს. ქართველს კი აფხაზზე ერთგული მეგობარი არ ეყოლება. ჩვენ კავკასიელები ვართ და უნდა ვიცოდეთ, რომ სხვა მენტალიტეტი გვაქვს. იძულებით ვერაფერს გავხდებით," – აცხადებს აფხაზური მენტალიტეტის კარგად მცოდნე ქალბატონი.

ამ რწმენას ფილმის ერთ-ერთი მონაწილის, ფილოლოგ ვოვა აგრბას სიტყვებიც ადასტურებს: "ჩვენი წინაპრები ერთად აშენებდნენ სახელმწიფოს. არც ის სიტყვები უთქვამს ქართველ კაცს ტყუილად – "რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია". "კავკასიური სახლის " თანამშრომლები კვლავაც გააგრძელებენ ჩატეხილი ხიდის აღდგენას. ქალბატონ ანას თქმით, მათ სურთ, კითხვა – "როგორ ხართ?!" – ამჯერად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მყოფ დევნილებს დაუსვან და მათი ტკივილი და იმედები ფართო საზოგადოებას გააცნონ.

თვალსაზრისი

აფხაზეთის დაბრუნება მხოლოდ აფხაზებსა და ქართველებს ხელეწიფებათ

აფხაზთა და ქართველთა ცალცალკე, დამოუკიდებლად ცხოვრება შეუძლებელია, რადგანაც ჩვენი ერთობა არ არის ერთი ან ორი საუკუნის და ხელოვნურად წარმოშობილი. ქართველებიც და აფხაზებიც ამ კუთხის მკვიდრი მოსახლეობაა.

აფხაზეთის დამოუკიდებლობა იმ წარმოდგენით, რასაც ვაილიდერები "უხატავენ" აფხაზებს, თავის მოტყუებაა და სხვა არაფერი, რადგანაც აფხაზები დამოუკიდებელნი მხოლოდ საქართველოში და ქართველებთან შეიძლება იყვნენ, ისევე, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობა მხოლოდ აფხაზ ერთან ერთად არის შესაძლებელი. განგება ყველა "პოლიტიკოსს" მიუჩენს ადგილს ნაგავსაყრელზე, ხოლო ხალხი მუდამ ერთად იქნება და აფხაზთა და ქართველთა მომავალი მხოლოდ მათზეა დამოკიდებული.

ამის საწინააღმდეგოდ გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი ჩვენი წინაპრების სახელთა და მათი საფლავების შეურაცხყოფაა, დინების საწინააღმდეგოდ მოძრაობაა, რასაც მხოლოდ გარკვეულ ეტაპზე შეუძლია წარმატების მოტანა და არა საბოლოოდ.

დროებით (11 წლის) დაშორიშორებას რომ სისხლისღვრა არ მოჰყვა, ეს აშკარად აფხაზთა და ქართველთა სიბრძნეზე მიუთითებს და ღვთის ნებაზე, რომელმაც ჩვენი ცოდვების მონანიებისათვის და სერიოზული განსჯისათვის დრო მოგვცა. დროა, სერიოზულად გადავდგათ ნაბიჯები თანაცხოვრებისაკენ და ამ მიზნის მისაღწევად მხოლოდ გარეშე ძალების იმედზე ნუ ვიქნებით.

ჩვენი დაპირისპირება მესამე ძალის მიერ რომ არის ინსპირირებული, კარგად ვიცით, და ისიც კარგად უნდა გავიგოთ, რომ ჩვენი ერთობით იგი უკან დაიხევს, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამარჯვებული არც აფხაზი და არც ქართველი არ იქნება, რადგანაც ეს ძალა, პირველ რიგში, მხოლოდ თავის თავზე და მხოლოდ ამის გამო იფიქრებს ჩვენზე.

ისიც რეალობაა, რომ საქართველოს დაშლას არც ერთი ქვეყანა არასდროს არ შეეგუება და ამის არავითარი შანსი არ არსებობს. ამაში დასარწმუნებლად უკანასკნელი მოვლენებიც საკმარისია და აშშ-სა და რუსეთის ლიდერთა განცხადებებიც მიუთითებს. საქართველოსათვის მსოფლიო პოლიტიკის წარმმართველი ქვეყნების მიერ განსაკუთრებული მისიაა მინიჭებული და ამ მისიის შესრულება მხოლოდ აფხაზებთან ერთად არის შესაძლებელი.

აფხაზეთში იარაღის გამოყენება ქართველთა და აფხაზთა შეცდომა იყო. ქვეყნის მმართველი ის პირები, ვისაც ამაში "წვლილი" მიუძღვის, დღეს ისტორიას ჩაბარდნენ, მათ შორის – ნაწილობრივ, აფხაზების მხრიდანაც. შეცდომა იყო აფხაზეთში ჯარის შეყვანა და ამის აღიარება არაერთხელ მომხდარა, მაგრამ ანალოგიური, თუ უფრო დიდი არა, შეცდომა იქნება ამ მოტივით ქართველებისა და აფხაზების ერთად ცხოვრების გამორიცხვის ქადაგება და აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობიდან გამოსვლაზე ფიქრიც კი. ასეთი იდეის დამკვიდრება, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ, ადრე თუ გვიან, მხოლოდ სისხლისღვრასთან მიგვიყვანს (არა იმიტომ, რომ ქართველები უფრო პრივილეგირებულნი არიან და აფხაზებზე მეტი უფლება გააჩნიათ. ასეთი აზრიც კი არ არსებობს. უბრალოდ, აფხაზების მსგავსად, წინაპართა მიწიდან და მშობლიური სახლებიდან აყრას, წინაპართა საფლავების მიტოვებას ქართველებიც ვერ შეეგუებიან). ეს კი ქართველთა და აფხაზთა განადგურების მეტს არაფერს მოიტანს. მიუხედავად იმისა, თუ ჩვენგან ვის მიუძღვის მეტი ბრალი მომხდარში (ქართველებიც და აფხაზებიც მხოლოდ თავიანთ ოჯახებს, წინაპართა მიწას იცავდნენ), დაუყოვნებლივ უნდა გადავდგათ რეალური ნაბიჯები ქართველთა და აფხაზთა გაერთიანებლად ერთიან საქართველოში. ფაქტია, რომ იყო თვითნებობის გამომხატველი დანაშაულებრივი ქმედებები როგორც ქართველთა, ასევე აფხაზთა მხრიდანაც. ჩვენს შორის პროვოცირებული ომის დროს წარმოქმნილი მტრობის მეტად დასაძაბავად იყო მესამე ძალის პროვოკაციული მოქმედებებიც, ერთ-ერთი - 1992 წლის 24 ივნისს სოხუმის ცენტრის დაბომბვის სახით (ვერავინ დამაჯერებს, რომ ეს აფხაზთა გადაწყვეტილება იყო), და სხვა.

ამ ფაქტებს შეფასება აუცილებლად უნდა მიეცეს, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს მხოლოდ ენგურს იქით დარჩენილი მოსახლეობის მიერ. ძირითადი დამნაშავე კი მხოლოდ ხელისუფლება იყო და არა ხალხი. სწორედ მათი უვიცობით მოხდა ხალხის პატრიოტული გრძნობების არადანიშნულებისამებრ გამოყენება და, შედეგად, ძმათა სისხლისმღვრელი ომის პროვოცირება მივიღეთ.

დარწმუნებული ვარ, რომ ერთადერთი გარემოება, რის გამოც აფხაზები აქამდე თავს იკავებენ და ქართველთა აფხაზეთში დაბრუნებას არ თანხმდებიან, მხოლოდ ქართველთა მხრიდან მათზე შურისძიების შიშია. უნდა დაიჯეროთ, რომ ენგურს აქეთ აფხაზთა მიმართ შურისძიების გრძნობა არ არსებობს და ეს რეალობაა. იმავდროულად, ეს საღი აზრის გამარჯვებაზე მიუთითებს. სკოლებში ბავშვებს არ უნერგავენ აფხაზთა სიძულვილს ან აფხაზეთში ძალის გამოყენებით დაბრუნების იდეას, პირიქით. ომით დაბრუნების იდეას მებრძოლებიც ერიდებიან, რადგანაც კვლავ გააჩნიათ რწმენა იმისა, რომ ორივე მხარეს ეყოფა გონიერება, შეცდომები მოინანიოს. ნურავის დაუჯერებთ, ვინც საწინააღმდეგოს დამტკიცებას შეეცდება. აფხაზეთში უნდა დაბრუნდეს ყველა ქართველი და აფხაზი, ვინც დღეს იქიდან დევნილია.

ნუ დაიჯერებთ იმას, რომ ქვეყნის ახალი ხელმძღვანელობა, აფხაზეთის საკითხის მოგვარებისას, ძალის გამოყენებაზე იფიქრებს. დაიჯერეთ, რომ ეს თაობა მხოლოდ აფხაზთა და ქართველთა გაერთიანებაზე გააკეთებს აქცენტს და ამ მიმართებით, ალბათ, თამამ და არაპოპულარულ ნაბიჯებსაც გადადგამს აფხაზთა ინტერესების გასათვალისწინებლად (მე პირადად მიმაჩნია, რომ აფხაზეთის ფაქტობრივ ხელისუფლებასთან ოფიციალური მოლაპარაკებებიც გაიმართება). შეიძლება, ამით გარკვეულ ეტაპზე მათ ქართველთა რისხვაც დაიმსახურონ. ნურც აფხაზებს შეაშინებთ ის გარემოება, რომ ეს მთელი საქართველოს ინტერესების გათვალისწინების ეგიდით მოხდება. საბოლოოდ გამარჯვებულნი აფხაზები და ქართველები იქნებიან. ეს მსოფლიო თანამეგობრობის მოთხოვნაც არის. თუმცა, რაც მთავარია, პირველ რიგში, ქართველი და აფხაზი ხალხის მოთხოვნაა.

აფხაზებს და ქართველებს რომ ერთად უნდათ ცხოვრება, ეს ფაქტია და თავს ნუ მოვიტყუებთ იმ მცდარი მოსაზრებით, თითქოს ეს ასე არ არის. გამარჯვებული ჩვენს დაპირისპირებაში არავინ რომ არ არის და ვერც ვერასდროს იქნება, ესეც, ალბათ ყველამ გაიგო.

რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება ჩვენი დაშორიშორება, მეტად გავახარებთ ეშმაკს და ამით კი მხოლოდ გავზრდით დაპირისპირების რისკს, აქედან გამომდინარე, ჩვენთვის სავალალო შედეგებით.

ალბათ, პირველი ნაბიჯები მიტოვებული საფლავების მონახულებისათვის ხელსაყრელი პირობების რეალური და სასწრაფო შექმნა უნდა იყოს, რაც წინაპართა სახელების შელახვის გამო, ორივე მხარის მიერ მონანიებისაკენ გადადგმული სერიოზული ნაბიჯი იქნება და ნდობის აღდგენას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს. ამ ეტაპზე, ალბათ, ორივე მხარისათვის სანდო ქვეყნის ან ქვეყნების ჯარების გამოყენება დაგვჭირდება რაიმე პროვოკაციის თავიდან ასაცილებლად და ამაში, იმედია, საქართველოს ახალ ხელმძღვანელობას სერიოზული მხარდაჭერა ექნება.

შეიძლება ძალიან ბევრს არ მოეწონოს, მაგრამ სწორედ აფხაზეთის (ენგურს იქით და აქეთ მცხოვრებმა) მოსახლეობამ უნდა თქვას უარი ორივე მხარეს არსებულ, აფხაზეთის ადმინისტრაციათა ხელმძღვანელების მიერ წარმოებულ საქმიანობაზე, მათ შორის - ყველაზე მაღალჩინოსანზეც, რადგანაც, რბილად რომ ვთქვათ, მათ ვერ შეძლეს რეალური შედეგების მიღწევა აფხაზთა და ქართველთა გაერთიანების საქმეში (მიზეზებს ამ ეტაპზე არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და ეს სულაც არ ნიშნავთ მათ "ჩამოწერას").

უნდა გადავდგათ რეალური ნაბიჯები აფხაზეთის მართვისათვის ქართულ-აფხაზური ადმინისტრაციების შესაქმნელად, რაც აფხაზეთის მოსახლეობის (ორივე მხარის) წარმომადგენლებით დაკომპლექტდება, ამავე პრინციპით შეექმნათ პოლიცია და სხვა სტრუქტურები, მათ შორის შესაძლებელია ერთად მომზადდეს სამხედრო ბატალიონები, თუნდაც "კომანდოს" ტიპის, რაც ასევე სერიოზული გარანტია იქნება ნდობის აღსადგენად.

თავისუფლად შეიძლება მოიძებნოს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ კონტროლირებადი ისეთი გარანტიები, რაც რეალურად უზრუნველყოფს აფხაზური სახელმწიფო წარმონაქმნის და აფხაზთა რეალურ დამოუკიდებლობას საქართველოში. თუ რატომ არ შეიძლება ასეთი ფუნქცია მხოლოდ რუსეთს დაეკისროს, ეს ორივე მხარეს კარგად გვესმის და რუსეთიც კი აღიარებს ამ ფაქტს. მან ფაქტობრივად ამოწურა ამ კონფლიქტში ის შესაძლებლობები, რაც გააჩნდა და ფაქტობრივად გაყინა იგი. ყინული კი მუდმივი არ არის და მისი გალღობის შემდეგ მოქმედების აფხაზთა და ქართველთათვის სასურველი გეგმა რუსეთს ამ ეტაპზე დამოუკიდებლად აშკარად არ გააჩნია, თანაც უახლოეს მომავალში რუსეთს სამხედრო ბაზების გაყვანაც მოუწევს საქართველოდან, მათ შორის აფხაზეთიდან, ამას ისინი თავადაც აღიარებენ.

უნდა გავიგოთ, რომ დადგა ჟამი აფხაზთა და ქართველთა შერიგებისა და რეალური გაერთიანებისა, აფხაზეთში დაბრუნებისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების გზით. გვეყოს სითამამე და ავმაღლდეთ ამბიციებზე, რათა მომავალმა თაობამ წყევლით არ მოგვიხსენიოს.

ქართველებმა და აფხაზებმა ერთად უნდა დავიბრუნოთ აფხაზეთი და, შესაბამისად, მთელი საქართველო. ეს ჩვენი მონანიება იქნება და ჩვენი ერების აყვავების საწინდარი გახდება. სხვა გზა არ არსებობს. გარწმუნებთ, რომ სწორედ ასეთია მრავალი აფხაზისა და ქართველის აზრი.

ნუგზარ სალია, *იურისტი*

P.S. ამ წერილის გამოქვეყნების შემთხვევაში, შესაძლოა, ის აფხაზებმაც წაიკითხონ და გამოგვეხმაურონ.

თანამედროვე ანიმაცია ბავშვების გარეშე B2
ხარისხი, რომელსაც ქართული პრესა უნდა ესწრაფვოდეს B3
ქართული რაგბის ორი დღე B5

ნომრის სტუმარი

კანონი პირმშოა თავისუფლების

მართლმადიდებლობა და ადამიანის უფლებები

დმანისის ეპისკოპოსი ზენონი (იარაჯული)

მას შემდეგ, რაც საქართველო ევროპის საბჭოს სრულუფლებიანი წევრი გახდა და თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების - "ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის" სფეროში ვალდებულებები გაიზიარა, ამ გარემოებამ საზოგადოებაში ერთგვაროვანი დამოკიდებულება ვერ ჰპოვა.

ამ თემის გარშემო გამართულმა არაერთმა დისკუსიამ ცხადყო, რომ ჩვენს საზოგადოებაში, ძირითადად, ორი უკიდურესი პოზიცია არსებობს. ზემოხსენებულ ნორმებთან გარკვეული კატეგორიის კრიტიკული დამოკიდებულება განპირობებულია მათში თითქოს არსებულ წინააღმდეგობასთან იმ პრინციპების მიმართ, რომლებიც მართლმადიდებელი ქრისტიანული მოძღვრების მიერ იქნა დაფუძნებული. მათ შორის, ისეთისა, როგორიცაა პიროვნების პასუხისმგებლობა, მისი მოვალეობები და ვალდებულებები.

საზოგადოების გარკვეული ნაწილი საპირისპირო აზრს გამოთქვამს და მიიჩნევს, რომ პირიქით, მართლმადიდებელი ქრისტიანული მოძღვრებისთვის მოჭარბებული კონსერვატიზმია დამახასიათებელი, რაც თანამედროვე ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს ეწინააღმდეგება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჭეშმარიტება ორ უკიდურესობას შორის არის, ასე მკვეთრად განსხვავებული პოზიციების შემთხვევაში, დღევანდელობა მნიშვნელოვან დატვირთვას იძენს, რათა ერთსულოვნების მოსაპოვებლად ზომიერებას ვუერთგულოთ.

პირველად კაცობრიობის ისტორიაში, ბიბლიაში მოცემული სამართლის პირველწყაროს შემოქმედი ღმერთის სწავლებამ თითოეული ადამიანის, როგორც "ღვთის ხატისა და მსგავსების", თანაბარი ღირსების შესახებ გვამცნო. ის, რომ სწორედ ღირსება სახელდვა ღმერთმა ადამიანის "ღვთის ხატად" მყოფობაში, კატეგორიულად მკაფიოდაა გადმოცემული მოსე წინასწარმეტყველისადმი ბოძებულ უნივერსალური ცხოვრების წესში, რომელიც "ათი მცნების" სახელწოდებითაა ცნობილი. აღვნიშნავ, რომ "ათი მცნება" მორალურ, საღვთისმსახურო პრინციპებთან ერთად მოიცავს სოციალურ-სამართლებრივ ასპექტებს და სამართლიანად შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი საფუძვლად უდევს ჰუმანურ, ზოგადსაკაცობრიო საყოველთაო პრინციპთა ნორმებს, რომელიც თანამედროვე ევროპულ და დასავლურ კანონმდებლობაშია თავმოყრილი. ამდენად, საყოველთაო კანონს რელიგიური ეთიკიდან და ცხოვრებისეული გამოცდილებიდან რამდენიმე კონკრეტული იდეა აქვს ნაბოძები, რამაც ცივილიზებული ცხოვრების პოსტულატების სახე მიიღო და სამართლებრივ უფლებებად აქცია.

წმინდა წერილმა, რომელზეც მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესია აღმოცენდა, გვამცნო რა იესო ქრისტეს მოწოდება - ყველა ადამიანის თანასწორობისა და ურთიერთსიყვარულის შესახებ, "ღვთის ხატებისა და მსგავსების" ძველი აღთქმისეული კონკრეტიკა მოგვცა. მას შემდეგ, რაც პირველქმნილმა ადამიანმა თავისუფალი ნების არჩევანით, უარი თქვა შემოქმედთან მუდმივი კავშირის უწყვეტელობაზე, რომლითაც ის სიკვდილს დაუქვემდებარებელ სიცოცხლეს ინარჩუნებდა, ღმერთმა თავი რელიგიური კანონის მეშვეობით შეგვახსენა, როგორც სამართლის პირველწყაროს, რომელიც, როგორც შემოქმედი გონი, სამყაროსთან მუდმივ მიმართებაშია.

ღმერთისგან, როგორც "მყოფისგან", შეხსენება თავისთავად მოიცავს ერთი მხრივ მის თავისუფლებას და მეორე მხრივ - სიყვარულს. ეს ის თვისებებია, რომელთაც გოლგოთას მაცხოვარი ჯვარზე არა იძულებით, არამედ ნებით მიიყვანა და ხელით ქმნილ სამსჭვალზე ძლიერად მიმსჭვალა.

ქრისტიანულ მსოფლმხედველობაზე დაყრდნობით, სამართლებრივი რეჟიმის დანიშნულების აღსაქმელად, თვალსაჩინო ფორმულას წარმოადგენს მართლმადიდებელი ქრისტიანული მოძღვრების წიაღში აღმოცენებული პრინციპი - "კანონი პირმშოა თავისუფლებისა". ქრისტიანული გაგებით, კანონი წარმოადგენს ზოგადსაკაცობრიო გზამკვლევს, ჭეშმარიტების ყველაზე ღრმა კრიტერიუმს და ცხოვრების სწორად წარმართვის საშუალებას, რომლის მიზანია, დაიცვას პიროვნება, მისთვის ღვთისაგან თანდაყოლილი ღირსება - რაიმეს იძულებისაგან; თუმცაღა, სრულიად გამიჯნულია თავისუფალ არსებაში თვითნებობად ქცეული მანკიერებისაგან. აქ თავისუფლება არ გულისხმობს მხოლოდ არჩევანის უფლებას, იგი არის თვით არჩევანი, მეორე ადამიანის თავისუფლების პატივისცემა და გაფრთხილება, რაც ჰუმანური ურთიერთობების საფუძველია. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ქრისტიანისთვის ჭეშმარიტი, ანუ სრულყოფილი თავისუფლება მხოლოდ ქრისტესთან თანაზიარებაშია შესაძლებელი. ამის შესახებ წმინდა წერილი ბრძანებს: "შეიცანი ჭეშმარიტება და ის გაგათავისუფლებს თქვენ".



მეუფე ზენონი სტუმრად "24 საათის" რედაქციაში.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ქრისტიანული აღმსარებლობისთვის ადამიანის და მოქალაქის უფლება არა მხოლოდ სახელმწიფოსა და საზოგადოების წევრის, არამედ, ადამიანის, როგორც მთლიანი და სულიერად თავისუფალი არსების უფლებაა. იესო ქრისტეს მიერ ადამიანის უფლებაც და მოვალეობაც თანაბარ მდგომარეობაშია პატივდებული. ადამიანის მოვალეობითი და ვალდებულებითი შეგნება საკუთარი "მეს" არტახებისაგან გათავისუფლების პირობაა, რაც თავისუფლების უფრო ღრმა გაგებას წარმოადგენს. ამ მდგომარეობას "სხვად ყოფნის" ნიჭს ვუწოდებთ. ჩვენ ყოფიერების ორ პლანს განვეკუთვნებით - სულიერს და ბუნებრივ-სოციალურს, თავისუფლების და აუცილებლობისას.

დავასრულებ მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ შემუშავებული პრინციპით: 1986 წელს ჟენევაში გამართულ სრულიად მართლმადიდებელთა მესამე კონფერენციაზე, მართლმადიდებელმა სამყარომ, საკუთარი თვალსაზრისი ადამიანის უფლებათა შესახებ ასე ჩამოაყალიბა: "მართლმადიდებელი ქრისტიანები, ვინაიდან ყოველდღე ვიაზრებთ შთამოსვლას ღმრთისას, ვიბრძვით ყოველგვარი ფანატიზმისა და სიძულვილის წინააღმდეგ ადამიანებსა და ხალხებს შორის, იქიდან გამომდინარე, რომ ვქადაგებთ განკაცებას ღმრთისას და განღმრთობას ადამიანისას, ვიცავთ უფლებებს ნებისმიერი ადამიანისა და ნებისმიერი ხალხისა. ხოლო რაკი ქრისტეს მაცხოვნებელ ქმედებათა შემწეობით ვცხოვრობთ ღმრთის მიერ ნაბოძები თავისუფლებით, შეგვწევს ძალა და გვაქვს უფლება, კიდევ უფრო აღვამაღლოთ საყოველთაო ღირსება ნებისმიერი ადამიანისა და ხალხების."

თებერვლიდან "24 საათი" ინგლისურად.
English newspaper 24 Hours, coming out from February
გამოწერით.
on subscription basis
e-mail: public@24hours.ge
Tel: 20 24 24 Fax:20 24 25

აფიშა

კონცერტი

დიდი საკონცერტო დარბაზი
“იუმორინა 2004”
დას: 19:00 სთ.

თეატრები

თეატრალური სარდაფი
პრემიერა
ლალი როსება
"პრემიერა"
რეჟისორი: დიმიტრი ღვთისიაშვილი
დას: 20:00 სთ.

თეატრალური სარდაფი ვაკეში
ავქსენტი ცაგარელი
"ხანუმა"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

თავისუფალი თეატრი
დათო ტურაშვილი, ბასა ჯანიკაშვილი, ლაშა ბუღაძე
"სამი ნოველა"
რეჟისორი: ლელა ჭინჭარაული
დასაწყისი 19.00 საათზე

ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი
გაბრიელ გარსია მარკესი
"სიყვარულის სულთათანა"
სოფიკო ჭიაურელი თემურ ჩხეიძის სპექტაკლში
დას: 18:00 სთ.

გამოფენა

ბაიას გალერეა
მერაბ აბრამიშვილის ნამუშევრების
პერსონალური გამოფენა

TMS
მაიკ ვუდკოკის ფოტონამუშევართა გამოფენა

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი
"პერესტროიკიდან" გადატრიალებამდე

"ჰობი"
თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა

სურათების ეროვნული გალერეა
ჯემალ გვიმრაძის მემორიალური გამოფენა

დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge

“ლიტერატურული კაფე”
აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანსიებზე:

წიგნის გამყიდველ-კონსულტანტი, წიგნის მაღაზიის მოლარე, კაფეს ადმინისტრატორი, მცხობელი, მიმტანი.

განცხადებები მიიღება 13 აპრილის ჩათვლით შემდეგ მისამართებზე: გამსახურდიას N31, “წიგნის სახლი” (ტელ: 31 30 97); “ლიტერატურული კაფე”, კოსტავას N48 (ტელ: 92 16 49).

განცხადებებზე მიუთითეთ თქვენი კოორდინატი.

ხუთი ნათურა, რომელიც მსოფლიოს ანათებს

საერთაშორისო კონკურსი საუკეთესო ინოვაციების ავტორებისთვის

არსებობს ასეთი გამოთქმა: “გამოვიარე გზა დახეული ჯინსებიდან ოქროს “როლექსამდე”... თითქმის, ასი წელიწადია, “როლექსთან” ასოცირდება ხარისხი და სიზუსტე; როგორც ცნობილია, თავად ალ კაპონეც კი უპირატესობას სწორედ ამ ფირმის მაჯის საათებს ანიჭებდა. კარგა ხანია, თანამედროვე ადამიანი თავს “როლექსის” ძვირადღირებული საათით იწონებს. იმის გარდა, რომ “როლექსი” განუწყვეტლივ აუმჯობესებს თავის მოდელებს, ეს ფირმა 1976 წლიდან აწყობს კონკურსს, რომელიც უკვე საკმაოდ პრესტიჟულადაც იქცა და საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების ცენტრშია. წლევანდელი კონკურსი, “როლექსის ჯილდო ინიციატივებისათვის”,განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება ჩვენთვის, რამდენადაც ცნობილი პალეოანთროპოლოგი დავით ლორთქიფანიძე პირველი ქართველი მეცნიერია, რომელიც ამ კონკურსზე ინოვაციისთვის წარადგინეს. საბოლოო შედეგები 26 სექტემბერს, პარიზში დაგეგმილ დაჯილდოების ცერემონიალზე გაირკვევა.

ბესო გელაშვილის ფოტო

“როლექსის” კონკურსის ქართველი მონაწილე

ვერა ნეფარიძე

“წარმოვადგენთ ხუთ იდეას, რომელიც ანათებს მსოფლიოს. იქნებით თუ არა ერთ-ერთი მათგანი?”, - ასეთია სარეკლამო ტექსტი, რომელიც მსურველებს “როლექსის” კონკურსში მონაწილეობისთვის ეპატიჟება. “როლექსის ჯილდოზე” განაცხადის შეტანა ფირმის ოფიციალური ვებ-საიტიდან შეიძლება. მთავარია, პროექტებად ჩამოყალიბებული იდეები ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის იყოს. თუკი კონკურსის წინა წლების გამარჯვებულთა სიასა და მონაცემებს გადავხედავთ, უფრო იოლი იქნება წარმოდგენა, თუ რა ტიპის მეცნიერ-გამომგონებლებს ანიჭებენ ამ კონკურსზე უპირატესობას. ამერიკელმა ჯილბერტ ეი კლარკმა ეს ჯილდო ტელესკოპების დისტანციური მართვის სისტემის შექმნისთვის მიიღო; ბელგიელმა მარტინ ფეტვაის-ვინოტომა მაიას ტომის კედლის მხატვრობის სრული კატალოგი შექმნა; 1993 წელს “როლექსის ჯილდოს” მფლობელი მავრიტანელი ნენსი ემ აბეიდერაჰმანი აქლემის რძისგან ყველის პირველი ამომყვანია; ინდონეზიელი სარიო ვარდჰოიო პრავიროატმოჯო კი, - პირველი ბუნებისდაცვითი საგანმანათლებლო ცენტრის შემქნელი ინდონეზიაში.

“როლექსის” კონკურსზე მონაწილეობა მეტად პრესტიჟულია. მაგრამ, პრესტიჟთან ერთად მას პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. საუკეთესო ხუთეულში მოხვედრა ცალკეულ ნომინანტს ავტომატურად “როლექსის” სარეკლამო სახედ აქცევს; ეს კი მეცნიერებს, ინჟინრებს, მედიკოსებს თუ გამომგონებლებს (ყველას, ვინც კონკურსის ნომინაციების არეალში ხვდება) მეტ შანსს აძლევს ბიზნესმენებთან ურთიერთობისთვის. ეს, თავის მხრივ, მათივე პროექტების ფინანსური უზრუნველყოფის საწინდარია. ამას გარდა, კონკურსში მონაწილეობა საუკეთესო საშუალებაა მეცნიერ-გამომგონებელთა ინოვაციების რეალიზებისთვის - ლაურეატები მათი პროექტების განსახორციელებლად 100 ათასი ამერიკული დოლარის ოდენობის თანხას (თანხასთან ერთად კი – სამახსოვრო “როლექსის” მაჯის საათს) იღებენ.

რიგით მეთერთმეტე “როლექსის კონკურსზე” 117 ქვეყნიდან 1703-მა ადამიანმა გამოთქვა მონაწილეობის სურვილი. 26 სექტემბერს მათ შორის საუკეთესოთა 25-ეულიდან ხუთ საუკეთესოს შეარჩევენ. საერთაშორისო ჟიური საკმაოდ წარმომადგენლობითია. ჟიურის Rolex S.A-ის აღმასრულებელი დირექტორი პატრიკ ჰეინიგერი ხელმძღვანელობს. ჟიურის დანარჩენი წევრები კი პოპულარულ სამეცნიერო წრეებში ავტორიტეტული პიროვნებები (მაგ: ფრანგი პალეოანთროპოლოგი და პრეისტორიკოსი; აშშ-ში WWF-ის ფონდის პრეზიდენტი; ბუენოს აირესის უნივერსიტეტის პრეზიდენტი; იაპონელი ასტრონავტი; ბრიტანელი ფილანტროპი და ა.შ) არიან. სწორედ ეს ადამიანები გადაწყვეტენ, არის თუ არა ქართველი მეცნიერის პროექტი - “მომავლის მუზეუმი,” ხუთიდან ერთ-ერთი ნათურა, რომელიც მსოფლიოს ანათებს.

თანამედროვე ანიმაცია ბავშვების გარეშე

ნანა კობაიძე

რედაქციაში სტუმრები გვეწვივნენ. სამხატვრო აკადემიის ანიმაციური ფილმის მხატვრის სახელოსნოს სტუდენტები, რომლებმაც ორიოდე დღის წინათ გამოფენა მოაწყვეს. თეა ქებაძე, ქეთი გოგუა და მარი თაბაგარი - ასე წარმომიდგნენ. ვიდრე საუბარს დავიწყებდით, ყური მოვკარი, ერთმანეთში ბჭობდნენ, - რაზე უნდა ვისაუბრო, ალბათ, იმაზე, რომ გამოფენამ კარგად ჩაიარა და ყველა კმაყოფილი დარჩაო. თუმცა, დიალოგმა სულ სხვა თემები წამოატივტივა. აღმოჩნდა, რომ არათუ კმაყოფილი დარჩა ვინმე, განსაკუთრებით თავად სტუდენტები, არამედ ამ ფაკულტეტზე შექმნილი ვითარება საკმაოდ რთულია.

სამხატვრო აკადემიაში ფაკულტეტი, რომელსაც მულტიპლიკაციური ფილმის მხატვრული გადაწყვეტა ეწოდება და მხატვარი მამია მალაზონია ხელმძღვანელობს, 5 წელია, არსებობს. აქ წელიწადში ორ სტუდენტს ამზადებენ; სწავლობენ კომპოზიციას, ფერწერას და ანიმაციას. დღემდე ერქვათ ანიმატორები, მაგრამ დღეს სპეციალიზაცია შეიცვალეს და ანიმაციის მხატვრული გადაწყვეტა ევალებათ, ანუ - ტიპაჟებისა და ეგრეთ წოდებული უკანა ფონის შექმნა. ამ ყველაფერს კი ანიმატორი ამოძრავებს. ამ ტიპის ინფორმაცია მკითხველისთვის ნაკლებად საინტერესოა, ამ საქმეში მთავარია შედეგი - მულტიპლიკაციური ფილმი, რომელიც, წესით, ბავშვებისთვის არის განკუთვნილი. თუმცა, ვეჭვობ, ვინმემ გაიხსენოს ბოლო წლებში შექმნილი ერთი მულტიპლიკაციური სურათი.

ჩემი თაობა "ჩხიკვთა ქორწილზე", "წუნა და წრუწუნაზე" და მსგავს ქართულ მულტფილმებზე გაიზარდა. ჩემი შვილი 4 წლისაა და სიამოვნებით უყურებს "ტომი და ჯერის". არ გეგონოთ, კონკრეტულად ამ მულტფილმის საწინააღმდეგო მქონდეს რამე - ქართულ ტელეარხებზე გასულ უამრავ საეჭვო ღირებულების მულტიპლიკაციურ ფილმს ნამდვილად სჯობს, მაგრამ მინდა, რომ ისიც ნახოს - ძველი. ძველს აღარ უშვებენ, ახალი კი არ იქმნება; არც ფინანსებია, არც დაინტერესება. სამაგიეროდ, უზარმაზარი მოთხოვნილებაა პოლიტიკურ მულტფილმებზე. პარადოქსია, მაგრამ თანამედროვე ანიმაცია ბავშვებთან არანაირ კავშირში აღარ მოიაზრება. არადა, კომერციული თვალსაზრისით, ეს საკმაოდ მომგებიანი სფეროა, ოღონდ, როდესაც ამ საქმეს პროფესიონალები კიდებენ ხელს. დღეს კი იმ კრიტერიუმებით, მეთოდებითა და დამოკიდებულებით, რითაც სამხატვრო აკადემიაში ამ სპეციალობის სტუდენტებს ეკიდებიან, შორს ვერ წავალთ. ჩვენი სტუმრების თქმით, აკადემიაში ანიმატორებს სერიოზულად არავინ უყურებს. ისინი, ფერმწერებისგან განსხვავებით, ასე ვთქვათ, არაელიტური ნაწილია და მათ შესაძლებლობებში ყველას ეჭვი ეპარება. კიდევ უფრო ცუდი – მათ აღმზრდელებს შემუშავებული აქვთ გარკვეული კრიტერიუმი, რომლის თანახმადაც, რაც უფრო "ჩახუჭუჭებულია" (სტუდენტების შეხედულებით - უგემოვნო) ნამუშევარი, მით -უკეთესი. გამოფენა, რომლის შესახებაც უკვე მოგახსენეთ, სწორედ ამ ჩარჩოებში ჯდება. ეს სტუდენტების საკურსო ნამუშევრებია და, მათი აზრით, ისეთია, მათ პედაგოგებს რომ მოსწონთ – ლამაზი ფერებით, მხიარული და დაშტამპული. გოგონები იმაზეც იყვნენ გულდაწყვეტილები, რომ გამოფენამ უხმაუროდ ჩაიარა და არავინ დააინტერესა, – იმის მიუხედავად, რომ უამრავი მოსაწვევი დავარიგეთ. განსაკუთრებით გვინდა, გია ბუღაძემ ნახოს გამოფენა, შეგვხვდეს და ეგებ რამე შეიცვალოს ჩვენ მიმართ დამოკიდებულებაშიო.

ვიმედოვნებთ, ბატონი გია ამ გამოფენას აუცილებლად ნახავს, ანიმატორების პრობლემებსაც მოაგვარებს და ქართველ ბავშვებსაც, ბოლოს და ბოლოს, კარგი ქართული მულტფილმები ეღირსებათ.

დიალოგის კულტურა “პრემიერაში”

ნანა ბასილაშვილი

თეატრალური სარდაფის მაყურებელი მრავალჯერ დასწრებია სარდაფულ პრემიერას. გუშინ წარმატებული სპექტაკლების რიცხვს კიდევ ერთი წარმოდგენა შეემატა. ლალი როსებას “პრემიერა” რეჟისორმა დიმიტრი ღვთისიაშვილმა ახალგაზრდა დასთან ერთად წარმოადგინა. “პრემიერის” პრემიერამ სრული ანშლაგით ჩაიარა. მაყურებელი დიდხანს უკრავდა ტაშს.

“პრემიერა” ერთი ტრაგიკული ოჯახის ამბავს მოგვითხრობს - რეალობასთან შეგუებული, მომავლის რწმენისა და ბრძოლისუნარდაკარგული ადამიანები, რომლებიც, ნებსით თუ უნებლიეთ, ცხოვრებისეულ წუმპეში აღმოჩნდებიან. ოჯახის ერთადერთ წევრს, მოხუც რეჟისორს, რომელსაც დანარჩენები რეალობას მოწყვეტილ, ყოფიერი პრობლემებით დათრგუნულ ადამიანად აღიქვამენ, დაუოკებელი სურვილი ჰკლავს, თეატრში შექმნას რაღაც ახალი და ღირებული. იგი იმედს არ კარგავს, ეძებს და საბოლოოდ ახალ, მომავალ თაობაში აღმოაჩენს იმ ძალას, რასაც ოცნებისა და სიცოცხლის წყურვილი ჰქვია.

რეჟისორის საგანგებო ჩანაფიქრით, “პრემიერაში” ხნიერი რეჟისორისა და მისი დის როლში, ერთი შეხედვით, თვალშისაცემია გმირებსა და მსახიობებს შორის ასაკობრივი სხვაობა: “ჩემი სურვილი იყო, ახალგაზრდა თაობას შეეგრძნო ის, რაც დროებამ თან წაიღო და რასაც სარეპერტუარო თეატრი ჰქვია. ამას გარდა, ასაკობრივი რღვევა ახალგაზრდულ თეატრში მუშაობამაც განაპირობა. ამ სპექტაკლში როლების განაწილებისას, ასე ვთქვათ, ინსტიტუტის პრინციპი გამოვიყენე და ყველა როლი ახალგაზრდა მსახიობს ვათამაშე”.

“პრემიერის“ მუსიკალური გაფორმება, ასევე, რეჟისორისეულია და კარგად შეესაბამება რეჟისურას.

“პრემიერა” დიმიტრი ღვთისიაშვილმა ცხრაწლიანი სარეჟისორო მოღვაწეობის განმავლობაში მეორედ დადგა; პირველად მეტეხის თეატრის ბაზაზე თეატრალურ უნივერსიტეტში წარმოადგინა სტუდენტების მონაწილეობით. უფროსი თაობის თეატრალებს კი მარჯანიშვილის თეატრში ამ სპექტაკლის მედეა კუჭუხიძისეული დადგმაც ახსოვთ. არსებობს “პრემიერის” ეკრანიზაციაც, რომელიც რეჟისორმა გიგა ლორთქიფანიძემ გადაიღო. უფროსი თაობის მაყურებელი გუშინდელ პრემიერასაც ესწრებოდა. მათი შეფასებით, 25 წლის შემდეგ დადგმული პიესა დღეს გაცილებით აქტუალური გახდა. რეჟისორის უმთავრესი ამოცანაც სწორედ ეს იყო.

“შესაძლოა, ცოტა ხმამაღლა ჟღერს, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩემი ამოცანა იყო ქართულ თეატრში, თითქოს, გამქრალი დიალოგის კულტურის გაცოცხლება. ვეცადე, მიმეღწია იმისათვის, რომ, თუნდაც, ორი-სამი სცენა მაინც გამეცოცხლებინა. თუმცა, არ ვიცი, ამას რამდენად მივაღწიე. ეს პიესა ჩვენთვის ხომ ძალზედ მნიშვნელოვანი და ტკივილიანია.

როდესაც იგი მედეა კუჭუხიძემ დადგა, 11 წლის ვიყავი. სპექტაკლმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. ეს პრემიერა ჩემს ბავშვობას და იმ თეატრსაც მივუძღვენი, რომელმაც, საერთოდ, თეატრი შემაყვარა”. მოკლედ, დიმიტრი ღვთისიაშვილი უკმაყოფილო არ არის, თუმცა იქვე დასძენს, - უკეთესადაც შეიძლებოდაო.

გიორგი გაბუნიას ფოტო

სცენა სპექტაკლიდან

ფანტაზია კლარნეტისა და ჰობოის თემაზე

მადი სერებრიაკოვა

ცნობილია, რომ საქართველოში დღეს სასულე ინსტრუმენტებზე შემსრულებელთა დიდი დეფიციტია. ბოლო წლების განმავლობაში ამ დარგის მხარდასაჭერად კონსერვატორიაში არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება მოეწყო: იწვევენ ცნობილ ევროპელ მუსიკოსებს მასტერ-კლასებისთვის, ტარდება კონკურსები. მუსიკოსების მცდელობა წარმატებით დაგვირგვინდა. გუშინ კონსერვატორიის დიდ დარბაზში ლევან ცხადაძისა და გიორგი გვანცელაძის კონცერტის მოსასმენად მოსული პროფესიონალები და მოყვარულები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ახალგაზრდა მუსიკოსები მალე თავიანთ ევროპელ კოლეგებს ღირსეულ კონკურენციას გაუწევენ.

ცხადაძე და გვანცელაძე კონსერვატორიის სტუდენტები არიან. გარდა კონსერვატორიის პედაგოგებისა (პროფესორი გიორგი ბერიძე და დავით ჯიშკარიანი), მათ პროფესიულ ზრდაში ევროპელმა კოლეგებმაც შეიტანეს წვლილი. მათ შორის, ერთ-ერთი პირველია გამოჩენილი მუსიკოსი ფრანსუა ლელუ. თბილისში მან სპეციალური კონკურსიც დააარსა. ცხადაძეცა და გვანცელაძეც ამ კონკურსის გამარჯვებულები არიან.

გუშინ გამართული ერთობლივი კონცერტი, გარკვეულწილად, რეპეტიცია იყო გერმანიაში დაგეგმილი ღონისძიებების წინ. რამდენიმე დღეში ისინი მიუნხენში მიემგზავრებიან, სადაც 6 თვის განმავლობაში კონსერვატორიაში ისწავლიან და, პარალელურად, ინგოლშტატში მოღვაწე ქართული კამერული ორკესტრის კონცერტებშიც მიიღებენ მონაწილეობას. **“ძალიან გახარებული ვარ, რომ ვხედავ იმ მუშაობის შედეგს, რომელსაც, ბოლო ოთხი წელია, ვეწევით კონკურსების, მასტერკლასების სახით,** – აღნიშნავს ინგოლშტატის ქართული ორკესტრის წევრი გია ქობულაშვილი, – **ეს ახალგაზრდა მუსიკოსები გამორჩეულები არიან თავიანთი ნიჭიერებით, ათვისების უნარით. ინგოლშტატში ისინი ჩვენთან ერთად ბეთჰოვენის მე-3, მე-4 და მე-5 სიმფონიებს დაუკრავენ. ეს დიდი გამოცდილება იქნება მათთვის”.**

კონცერტზე რთული და მრავალფეროვანი პროგრამა იყო წარმოდგენილი: კლასიკიდან - თანამედროვე მუსიკამდე. ტელემანის “ფანტაზიით” გიორგი გვანცელაძემ (ჰობოი) გახსნა კონცერტი. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა მის მიერ წარმოდგენილმა მარტინუს კონცერტმა - მუსიკოსმა დახვეწილ საშემსრულებლო მანერასთან ერთად ღრმა და საინტერესო ინტერპრეტატორული ნიჭიც გამოამჟღავნა. **“გიორგი შეყვარებულია თავის ინსტრუმენტზე, თავის საქმეზე,** – აღნიშნავს ჩასაბერი საკრავების კათედრის ხელმძღვანელი გიორგი ბერიძე, – **და ეს იგრძნობა მის შესრულებაში. მოგეხსენებათ, ჩვენთან კადრები რა დიდი პრობლემაა. გიორგი კი იმ განსაკუთრებულ მუსიკოსებს შორისაა, რომლებსაც არა მარტო საქართველოში, არამედ ევროპაშიც დააფასებენ.”** გიორგი გვანცელაძე უახლოეს მომავალში ოპერაში თბილისის სიმფონიური ორკესტრის საიუბილეო ღონისძიებაზეც გამოვა, სადაც მოცარტის კონცერტს ორკესტრთან და დირიჟორ ვახტანგ კახიძესთან ერთად შეასრულებს. ივნისში კი იგი ჰალეში მიემგზავრება - ჰენდელის მეტად პრესტიჟულ კონკურსზე.

ბესო გელაშვილის ფოტო

ლევან ცხადაძე. გიორგი გვანცელაძე.

კლარნეტისტ ლევან ცხადაძეს კოლეგები და პედაგოგები განსაკუთრებით ინტელექტუალურ მუსიკოსად მიიჩნევენ: **“ძალიან კმაყოფილი ვარ, როცა ვუყურებ როგორ იზრდება მუსიკალურად,** – აღნიშნავს მისი პედაგოგი დავით ჯიშკარიანი, – **გამორჩეულია თავისი ინტელექტით და ეს ეხმარება მას სცენაზეც და ცხოვრებაშიც.”** გუშინდელ კონცერტზე ლევან ცხადაძემ პირველად შეასრულა მოცარტის კონცერტი და სუტერმაისტერის “კაპრიჩიო”. ამ უკანასკნელმა განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია კლარნეტისა და ჰობოის შესანიშნავი ანსამბლი. ბახის კონცერტი, რომელიც მათ ბოლოს ერთად შეასრულეს, ვიოლინოსა და ჰობოისთვისაა შექმნილი. შესაბამისად, კლარნეტისთვის განკუთვნილი მისი რედაქცია უფრო მეტი სირთულით გამოირჩევა. კონცერტის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით კონცერტმეისტერებს. ახალგაზრდა პიანისტები ნატა მეცხოვრიშვილი და ლანა გულდედავა სოლისტებს ღირსეულ პარტნიორობას უწევდნენ.

ხარისხი, რომელსაც ქართული პრესა უნდა ესწრაფვოდეს

პულიცერის პრიზი ჟურნალისტურ-კულტურული კონტექსტით

ორშაბათ საღამოს შტატებში პულიცერის პრიზის გამარჯვებულები გამოვლიდნენ.
1917 წელს ჯოზეფ პულიცერის ანდერძის საფუძველზე დაარსებული პრიზი ერთ-ერთი უმთავრესია ჟურნალისტურ-კულტურულ წრეებში. ის ერთგვარი ბარომეტრია ახალი ჟურნალისტური ტენდენციების, თემების, ფასეულობების და პროფესიონალიზმის გასაზომად. ეს ბარომეტრი – პულიცერის პრიზის ჟიურის სახით, მთელი წლის განმავლობაში მუშაობს და ზომავს იმ ერთი დიდი სხეულის შინაგან ტემპერატურას, რომელსაც ამერიკული ბეჭდვითი მედია და ხელოვნება ჰქვია.
ტრადიცია არც წელს ირღვევა. ახალი ტენდენციები სახეზეა. ანალიტიკოსები უკვე აანალიზებენ გასაანალიზებელს და, პირველ რიგში, პულიცერის შედეგებს ეყრდნობიან. ქართული ბეჭდვითი მედია კი, კიდევ ერთხელ პოულობს კერპს, რომელთან მიახლოების სურვილი მას ერთ წამსაც არ უნდა ასვენებდეს.
ეს კერპი და ლიდერი წელს "ლოს ანჯელეს ტაიმსია". გაზეთი, რომელმაც პირველი პულიცერი 1942 წელს მოიპოვა. შარშანდელ სამ პრიზს წელს ხუთი დაემატა და ახლა გაზეთი უკვე 35-ს "პულიცერს" ფლობს.
"24 საათის" შემოქმედებითი ჯგუფისთვის კი ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის გარემოებაა, რომ ჩვენი გაზეთი "ლოს ანჯელეს ტაიმსის" პარტნიორად ითვლება. "ვაშინგტონ პოსტთან" ერთად 1962 წელს დაარსებული ვრცელი და მრავალფეროვანი საინფორმაციო სამსახურის ექსკლუზიური ხელმომწერი – მსოფლიოს მრავალ წამყვან გაზეთთან ერთად – "24 საათიც" გახლავთ.

თამარ ბაბუაძე

გაზეთი რეაქტიული ძრავით

"ლოს ანჯელეს ტაიმსი" ლიდერია პულიცერის ისტორიაშიც. ის რიგით მეორე გაზეთია, რომელმაც ერთი წლის განმავლობაში პრიზების მოპოვება ამდენ კატეგორიაში შეძლო. პირველ ადგილს კი, ჯერჯერობით, ფლობს "ნიუ იორკ ტაიმსი" – მხოლოდ 2002 წელს გაზეთს პულიცერის 7 პრიზი გადაეცა და ეს, ძირითადად, 11 სექტემბრის მოვლენების მაღალ დონეზე გაშუქების გამო მოხდა.

კრიტიკა, რედაქტორის სვეტი, ფოტო-ნარკვევი, ოპერატიული ახალი ამბავი, ნაციონალური ახალი ამბები – "ლოს ანჯელეს ტაიმსმა" წელს ამ კატეგორიებში გამოიჩინა თავი.

პულიცერის პრიზის ფინალისტების გამოვლენას ჟურნალისტები მთავარ ოფისში, ადევნებდნენ თვალს. მქუხარე აპლოდისმენტები, მილოცვები დიდ ხანს არ წყდებოდა.

"შოკირებული ვარ. ჩვენ ხომ, როგორც რედაქტორებს, განსაკუთრებულად ორიგინალური არაფერი გაგვიკეთებია. ჩვენ, უბრალოდ, მთელი ძალისხმევით ვცდილობდით ნიჭიერი და ენთუზიაზმით სავსე პროფესიონალები აღმოგვეჩინა და ახალი ამბები სრულყოფილად გაგვეშუქებინა – ფესვებიდან – კენწერომდე.

ეს გამარჯვება უდაოდ მეტყველებს იმ უზღვავ ტალანტზე, რომელიც ჩვენს გაზეთშია აკუმულირებული და იმ მოტივაციაზე, რომელიც გაზეთის თითოეულ განყოფილებაში იგრძნობა" – ასეთი იყო გამარჯვებული აღმასრულებელი რედაქტორის ჯონ ქეროლის რეაქცია.

გუშინვე პრესაში გავრცელდა მოსაზრება, რომ "ლოს ანჯელეს ტაიმსის" ამ ტრიუმფალურ სვლაში ქეროლს ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის. "ნიუ იორკ ტაიმსის" მიმომხილველის აზრით, 1999 წლის ფინანსური უსიამოვნებების და ახალი რედაქტორის ძიების პროცესის დასრულების შემდეგ, "ლოს ანჯელეს ტაიმსი" სულ სხვა გაზეთი გახდა. იქვე ექსპერტი ბილ კოვაჩი დასძენდა: **"ქეროლის, როგორც რედაქტორის მოღვაწეობა, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავია, რაც კი ოდესმე მინახავს. მან რეაქტიულ ძრავასავით იმოქმედა და ორიოდე წელიწადში შეძლო "ლოს ანჯელეს ტაიმსი" ერთ-ერთ საუკეთესო გამოცემად ექცია".**

გაზეთი – მაღალი ხარისხის სინონიმი

ერთი სიტყვით, ჯონ ქეროლმა მოიძია და იპოვა კიდეც ნიჭიერი და მოტივირებული კადრი, რომელთაგან განსაკუთრებით რამდენიმემ გაუმართლა. ვნახოთ, ის აქტუალური და მაღალ დონეზე გაშუქებული თემები და გავიცნოთ ის პროფესიონალი ჟურნალისტები, რომელთაც "ლოს ანჯელეს ტაიმსს" წლის ლიდერის სტატუსი მოუტანეს:

დენიელ ნილი გაზეთში 2003 წლის სექტემბერში მივიდა და ჯილდო საუკეთესო კრიტიკული მიმოხილვებისთვის მოიპოვა. ჟიურის თქმით, მისი წერილები ახალ ავტომობილებზე უნიკალურია. მანამდე ამ თემას მსგავსი იუმორის გრძნობითა და ენამოსწრებული შედარებებით არავინ მიდგომია. მაგალითად, 2004 წლის "ბმვ"-ს "მინი კუპერს" ნილი ასე ახასიათებდა: **"მის უკანა სავარძელში ისე რბილად ჩაეფლობით, როგორც ტიკრიტული ობობას ხვრელში".** სხვა ახალი მოდელის შესახებ კი წერდა: **"ამ მანქანით გასეირნება სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ თქვენი შინაგანი ორგანოები გადასანერგად აღარასდროს გამოდგეს".**

უილიამ სთოლი კი 67 წლისაა და ის უკვე 28 წელია, "ლოს ანჯელეს ტაიმსშია". პულიცერის ჟიურიმ ის რედაქტორის შვიდსერიანი სვეტისთვის დააჯილდოვა. სთოლი კალიფორნიის შტატის მთავრობის "ავადმყოფობის ისტორიას" ადგენდა (სათაურით **"კალიფორნიის მთავრობის დამბლა"**) და ჩინოვნიკებს საკუთარ "მკურნალობის კურსსაც" უნიშნავდა.

ქეროლინ ქოული ლიბერიის ქუჩებში გამართულ შეტაკებებს და ბავშვებს აღბეჭდავდა ფირზე. მან პრიზი საუკეთესო ფოტონარკვევის კატეგორიაში მიიღო. მისი ნამუშევრების გადათვალიერება ნამდვილად დაგარწმუნებთ, რომ ქოულმა შექმნა ხელოვნების რანგში აყვანილი ფოტოები, საიდანაც ადამიანები, ძირითადად, პატარები გვესაუბრებიან.

თუმცა, ქოულის ფოტონარკვევმა, "დალას მორნინგ ნიუსის" ფოტოებთან ერთად (ამ გაზეთმა გაიმარჯვა კატეგორიაში "ფოტო ოპერატიულ ახალ ამბავზე), კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ მსოფლიო ფოტოგრაფიაში სისხლისა და ომის მკვეთრად ჩამოყალიბებული მოდა არსებობს. ეს ტენდენცია წელს ძალზე პრესტიჟულ ფოტოჟურნალისტთა კონკურსზე World Press Photo-ზეც დაფიქსირდა და პულიცერის პრიზზეც ჰპოვა ასახვა. სისხლი, ომი, დასახიჩრებული ადამიანები – აი, "ცხელი" ფოტოტენდენციები, რომელთაც World Press Photo-ს შემთხვევაში საქართველოს "ვარდების რევოლუციაც" შეეწირა (ჟიურიმ ვერც ერთი პრიზი ვერ გაიმეტა დადებითი ეროვნული ემოციებით სავსე ქართული ფოტოჩანახატებისთვის)...

რაც შეეხება **პულიცერის ჯილდოს საუკეთესო ოპერატიული ახალი ამბისთვის**, ის მთლიანად "ლოს ანჯელეს ტაიმსის" რედაქციას გადაეცა. სამხრეთ კალიფორნიის ხანძრის სრულყოფილად და სწრაფად გაშუქებაზე ხომ ბევრი პროფესიონალი ერთად მუშაობდა. მთლიანად რედაქცია დაჯილდოვდა **ნაციონალური ახალი ამბების დარგში გაცემული პრიზითაც** – სამნაწილიანი, ძალზე საინტერესო სერიალი "უოლ-მარტის" აღზევებისა და მისი გავლენის შესახებ მსოფლიო ეკონომიკაზე ასევე რამდენიმე ჟურნალისტმა ერთად შექმნა.

გაზეთი და მილიონი ყოველდღიური მკითხველი

ძალიან სიმბოლურია ის ფაქტი, რომ 1942 წელს "ლოს ანჯელეს ტაიმსს" პირველი "პულიცერი" და ოქროს მედალი უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი დამსახურებისთვის გადაეცა: "ჯილდო პირველი შესწორების მისაღებად გამართული წარმატებული საგაზეთო კამპანიისთვის, რომლის შედეგადაც ამერიკულმა გაზეთებმა კონსტიტუციის გარანტიით ნათლად ჩამოყალიბებული და დაზუსტებული თავისუფალი სიტყვის უფლება, მოიპოვეს. ესე იგი, გამოდის, რომ "ლოს ანჯელეს ტაიმსი" ლიდერი არა მხოლოდ წელს არის. ფაქტობრივად, პრესის თავისუფლების ერთ-ერთი "მიზეზი" და პროპაგანდისტი ეს გაზეთიც ყოფილა.

123 წლის ისტორიის მქონე გაზეთს (ის პირველად 1881 წლის 4 დეკემბერს გამოიცა) მსოფლიოში ერთ-ერთი გიგანტური რედაქცია აქვს: 25 უცხოური, 11 ნაციონალური, 5 კალიფორნიული და 6 რეგიონალური ბიუროთი. საერთოდ, ყოველდღიური "თაიმსი" ექვსგანყოფილებიანია: მთავარი ამბები, კალიფორნია, ბიზნესი, სპორტი, კალენდარი, განცხადებები. კვირის დღეებში გაზეთს მონაცვლეობით რამდენიმე განყოფილებაც ემატება, მათ შორის, ჯანმრთელობა და კულინარია. კვირა დღეს კი, ის წიგნების, კომიქსების, თვალსაზრისის, უძრავი ქონების, მოგზაურობის და სხვა დამატებებით მრავალფეროვნდება. "თაიმსი" ასევე გამოსცემს ხუთ რეგიონულ დამატებასაც.

"ლოს ანჯელეს თაიმსი" პირველია რამდენიმე სხვა ფაქტორის გამოც. ზედაპირულად გადავხედოთ "ლოს ანჯელეს ტაიმსის" წარსულს და მიღწევებს და დასკვნებიც ცალკე, ჩვენ-ჩვენს გულებში გამოვიტანოთ:

1881 წელი – გაზეთის რედაქცია თავიდან პატარა აგურის შენობაში განთავსდა და "ლოს ანჯელეს დეილი თაიმსის" სახელით გამოდიოდა.

1910 წელი – ტერორისტებმა "თაიმსის" შენობა ააფეთქეს, დაიღუპა 20 თანამშრომელი.

1916 წელი – რედაქტორმა ჰარისონ გრეი ოტისმა საკუთარი სახლი ხელოვნების სკოლას უსახსოვრა. მოგვიანებით ის ოტისის ხელოვნების ინსტიტუტად გადაკეთდა.

1922 წელი – გაზეთმა დაარსა პირველი კომერციული რადიო ლოს ანჯელესში.

1947 წელი – გახდა ყველაზე დიდტირაჟიანი გაზეთი მთელ ქალაქში.

1948 წელი – CBS-თან ერთად დაარსა ტელესადგური.

1955 წელი – პირველად დაბეჭდა ყველა ამერიკულ გაზეთზე მეტი სარეკლამო სტრიქონი – 59,788,874.

1961 წელი – გაზეთის საკვირაო დამატების ტირაჟმა რამდენჯერმე გადააჭარბა მილიონიან ზღვარს.

1965 წელი –ამერიკული პრესის ისტორიაში გახდა პირველი გაზეთი, რომელმაც წლის განმავლობაში 4 მილიონზე მეტი სარეკლამო განცხადება დაბეჭდა.

1978 წელი – დაარსდა "თაიმსის" სოციოლოგიური კვლევის სამსახური.

1980 წელი – ლიტერატურულ წრეებში დიდი პოპულარობით სარგებლობს "ლოს ანჯელეს თაიმსის" ლიტერატურული ჯილდო.

1989 წელი – პირველად გაიხსნა გაზეთის სახელობის ვაკანსიების ბაზრობა, სადაც კომპანიების წარმომადგენლები და სამსახურის მაძიებლები ყოველწლიურად იკრიბებიან. ბაზრობა სამხრეთ კალიფორნიაში ერთერთი ყველაზე პოპულარულია.

1990 წელი – ტირაჟმა მიაღწია რეკორდულ მაჩვენებელს – 1,225,189 დღეში, 1,514,096 – საკვირაო დამატება. და ამერიკაში ქალაქზე გათვლილი უდიდესი ყოველდღიური გაზეთი გახდა.

1995 წელი – პირველად გაიმართა ტურისტული გამოფენა-ბაზრობა. "ლოს ანჯელეს თაიმსი" ამ მასშტაბური ღონისძიებით მოგზაურობის მსურველებსა და 250-მდე კომპანიის წარმომადგენლებს აკავშირებს. ცხადდება ახალი ფასები სასტუმროებსა და ავიარეისებზე, ინფორმაცია ყველაზე პოპულარული ტურისტული მისამართების შესახებ.

1996 წელი – ტრადიციად იქცა "ლოს ანჯელეს თაიმსის" წიგნის ფესტივალი, რომელსაც 2002 წელს 140 ათასი სტუმარი ჰყავს.

1999 წელი – იმართება "ლოს ანჯელეს თაიმსის" ჯანდაცვისა და ფიზკულტურის ფესტივალი და ეს ღონისძიებაც ტრადიციის სახეს იღებს.

2001 წლის 11 სექტემბერი – ტერაქტების დღეს "ლოს ანჯელეს თაიმსი" რვაგვერდიან დამატებას გამოსცემს

2001 წლის 12 სექტემბერი – "ლოს ანჯელეს თაიმსის" ინტერნეტ ვერსია რეკორდს ხსნის. საიტი ერთ დღეში 5.2 მილიონ მკითხველს მასპინძლობს.

2002 წელი – პულიცერის ორი პრიზი.

2003 წელი – პულიცერის სამი პრიზი.

2004 წელი – პულიცერის ხუთი პრიზი.

დანარჩენი ჟურნალისტური პრიზები:

საგამოძიებო რეპორტაჟი – "ბლეიდ ოფ ტოლედო";
კომენტარი – "მაიამი ჰერალდი";
საზოგადოებრივი სამსახურისთვის – "ნიუ იორკ ტაიმსი";
კვლევითი-საგანმანათლებლო რეპორტაჟი – "უოლ სთრით ჯორნალი";
სენსაციური რეპორტაჟი – "უოლ სთრით ჯორნალი";
საერთაშორისო რეპორტაჟი – "ვაშინგტონ პოსტი";
მოწინავე კარიკატურა – "ჯორნალ ნიუსი";
ფოტო ოპერატიულ ახალ ამბავზე – "დალას მორნინგ ნიუსი";

პრიზები ხელოვნებიდან:

საუკეთესო მხატვრული ნაწარმოები: "ნაცნობი სამყარო" ედვარდ ფი. ჯონსი;
დრამა: "ჩემი თავის ცოლი თვითონ ვარ", დოუ რაითი;
ისტორია: "ჩვენს ფეხქვეშ გართხმული ერი", სტივენ ჰანი;
პოეზია: "გასეირნება მართაზ ვაინიარდზე", ფრანც რაითი;
ბიოგრაფია: "ხრუშჩოვი: ადამიანი და ეპოქა", უილიამ ტაუბმანი;
არამხატვრული ნაწარმოები: "გულაგის: ისტორია", ენ ეფლბაუმი;
მუსიკა: "ამაღელვებელი ფანტაზია", პოლ მორავეცი.

საუკეთესო ფოტონარკვევი: ლიბერიელი ბავშვები ომში

ფოტო ოპერატიულ ახალ ამბავზე: რეპორტაჟი ერაყიდან

სვეტი

რაზე ნერვიულობს ამჟამად ქართველი კაცი

ლაშა ბუღაძე

პირველ რიგში, აჭარა! აჭარის ამბავი! მთავარია, არ გაისროლოს...
ვაიმე რუსები! რა უნდა მაგათ ტანკს ბათუმის ქუჩებში!
დესანტი! დესანტის გადასხმაა საჭირო!
წავალ თუ არა ბათუმში ამ ზაფხულს?!
წავიყვანო ჩემები, თუ ფოთს მივაშურო? არ მახსოვს, არის თუ არა ფოთში პლაჟები?
აჰ, განუბაჟებელ მანქანას მე როგორ ვიკადრებდი!
მიშა არ გადაირიოს! ხუმრობა ხომ არაა ოთხმოცდაჩვიდმეტი პროცენტი!
რატო არ ხსნიან ქალაქის მერს? ვაიმე, რაიმე გარიგებას არ ჰქონდეს ადგილი! როდის იქნება თბილისის მერის არჩევნები?
ნეტავი კობა დავითაშვილი რას იზამს? რატომ არ ურიგდება პრეზიდენტს? რას უყურებს პრემიერ-მინისტრი?
რატომ დაიხურა "მეცხრე არხი"? რატომ "ტირის ის გოგო! ის მეცენატი კაცი ხო არ გააბრაზეს! რატომ არ გვეჩვენება ტელევიზორში?
სად დაიკარგნენ ტყის ძმები?
ეგებ, აჭარის მეთაურს შვილმა მაინც უთხრას რამე!
ვაიმე, ვაიმე...
მართალია, კიდევ აცივდებაო?
ჩემი შვილი წიგნებს არ კითხულობს. ვცემო, ვლანძღო, თუ თვალები დავხუჭო?
უი, უი...
დამღუპა, დამღუპა ამ ახალმა ეპოქამ!

როგორ ერთობიან ბრიტანელი ხელოვანები

ნინო ჟანიშვილი

ორი კვირის წინ ლონდონის ცენტრალური ქუჩიდან "ლოთის" ქანდაკება მოიპარეს. მძარცველები 5 ათას გირვანქა სტერლინგს ითხოვდნენ, ბოლოს კი 2 ათასზე მორიგდნენ. საქმე ისაა, რომ ქურდებთან ერთად ქანდაკების ავტორის ვინაობაც უცნობია.

ბრიტანეთის ყველაზე პოპულარული გრაფიტის მხატვარის, მეტსახელად ბენკსის (Banksy), აურაცხელი ნამუშევრით სავსეა ლონდონის ქუჩები - მაიმუნები მასობრივი განადგურების იარაღით ხელში; გოგოები აირწინაღებით... მაგრამ, გარეგნულად მხატვარს არავინ იცნობს. გრაფიტი ბრიტანეთში კანონით იკრძალება. ამის გამო, ბენკსი ანონიმურობას ინარჩუნებს. როგორც ტელეფონით უთხრა "გარდიანის" ჟურნალისტს, მისი მშობლებიც კი აზრზე არ არიან, რომ ის მხატვარია.

2003 წელს ბენკსის ერთი ნამუშევარი "ტეიტშიც" გამოიფინა. სურათი მანამდე ეკიდა, სანამ ძირს არ ჩამოვარდა. მხოლოდ მაშინ აღმოაჩინეს გალერეის თანამშრომლებმა, რომ ეს ნამუშევარი საერთოდ არ იყო ექსპოზიციაში ჩართული. გაირკვა, რომ ბენკსი ჩუმად შეიპარა გალერეაში და ისე ჩამოკიდა სურათი, რომელზეც ეს წარწერა იყო: "ბენკსი. ინგლისის პოლიციამ სოფლის დასახლება დაარბია. 2003. ზეთი. ტილო."

ცოტა ხნის წინ ბენკსიმ ქანდაკების კეთება დაიწყო. მან როდენის "მოაზროვნის" ასლი გააკეთა. თავზე ზოლებიანი კონუსი დაადგა - ისეთი, ქუჩაში საშიშ ზონებს რომ აღნიშნავს. ქანდაკების სახელწოდება კი მსუბუქად შეცვალა და ის მოაზროვნედან ლოთად გადაიქცა (Thinker/Drinker). "ლოთისთვის" სპეციალური ადგილის გამოყოფა თავიდანვე არ ყოფილა ჩაფიქრებული – ქანდაკებამ ორ წელიწადს იმოგზაურა ლონდონის უბნებში.

ორი კვირის წინ, შეფსტბერის ავენიუდან ქანდაკების გაქრობისთანავე ბრიტანეთის წამყვანმა გაზეთებმა ელექტრონული ფოსტით "ქურდებისგან" მანიფესტი მიიღეს, რომელსაც დართული ჰქონდა ქანდაკების მოპარვის ამსახველი ფოტომასალა. გაირკვა, რომ ისინი მხოლოდ ბენკსის "არტ-ტერორიზმს" ებრძვიან. "ქურდებიც" ინკოგნიტოდ მოქმედებენ. მათი ფსევდონიმია AK47, დევიზი კი არის: Don't go breaking my art (ნუ აფუჭებ ჩემს ხელოვნებას). ეს დევიზი ელტონ ჯონისა და კიკი დის ცნობილი სიმღერის Don't Go Breaking My Heart (გულს ნუ გამიტეხ) პერიფრაზია.

"როგორ შეაფასებთ: ეს ქურდობაა თუ მხატვრული აქცია"? - ეკითხებიან რედაქციებში დაგზავნილ მანიფესტში AK47-ს. "გარდიანის" ხელოვნების კრიტიკოსის ადრიან სირლის აზრით, ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც თავიანთი კერპის მიბაძვას ცდილობენ. გასაკვირი კი სულაც არ არის. ბენკსი ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ საკულტო ფიგურა გახდა. ბენკსის გრაფიტი ყოველთვის პოლიტიკას, ანტიპრივატიზაციის თემას ეხება. ერთი წლის წინ "გარდიანისთვის" მიცემულ ინტერვიუში ბენკსი ამბობს: "თუ მატარებლების კომპანიას არ ფლობ, მაშინ, სანაცვლოდ, უნდა წახვიდე და დახატო. შენი ხელმოწერებით ნახევარ ქალაქს დაიპყრობ".

იატაკქვეშა მხატვრის ნამუშევრებზე დიდი მოთხოვნაა - თითო 10 ათას გირვანქა სტერლინგად იყიდება. როგორც ბენსკი ამტკიცებს, "ლოთი" 20-25 ათას გირვანქა სტერლინგად გაიყიდება.

ფეხბურთი

სენსაცია! დიადი "რეალი" ლიგიდან გააპანღურეს!

რანიერი კი ბედნიერებისაგან ტიროდა

მონაკო - რეალი 3-1
არსენალი - ჩელსი 2-1

მორჩა, გათავდა, "რეალი" ჩემპიონთა ლიგიდან გავარდა, უფრო სწორად, გააპანღურეს! ვინ იფიქრებდა, ვინ წარმოიდგენდა ამას?! პირველ მატჩში მადრიდელებმა 4:2 მოუგეს "მონაკოს". იმის გამო, რომ ამ წყვილში ყველაფერი "გადაწყვეტილი" იყო, მთელი ყურადღება "არსენალი" - "ჩელსის" მატჩზე გადავიტანეთ. მართალია, საკუთარ სტადიონზე "არსენალი", ალბათ, მაინც მოუგებდა "ჩელსის", მაგრამ "რეალი"-"მონაკოს" თამაშზე საინტერესო იყო. ბოლოს და ბოლოს, ლონდონური კლუბების პირველი შეხვედრა ხომ ფრედ (1:1) დასრულდა...

"რეალმა" მოლოდინი გაამართლა, მონაკოში რაულმა გახსნა ანგარიში და მასპინძლების იმედებს საბოლოოდ დაუსვა წერტილი. პირველი ტაიმის უკანასკნელ წუთზე "მონაკოს" კაპიტანმა ლუდოვიკ ჟულიმ ანგარიში გაათანაბრა - კარგი საქმეა კლუბის პრესტიჟის დასაცავად...

მეორე ტაიმი სულ რაღაც სამი წუთის დაწყებული იყო, როდესაც ფერნანდო მორიენტესმა, სწორედ მან, ვისაც ასე უსამართლოდ მოექცა "რეალი", როდესაც გუნდიდან გაუშვა, ანგარიში ორამდე გაზარდა - "საზიზღარი გუნდია "რეალი", ტოტალიზატორზე დაიწყო თამაში..."

თბილისში, ალბათ, მართლაც ბევრს ეგონა, რომ "რეალი" გუშინ "ტოტალიზატორზე თამაშობდა". 66-ე წუთზე ლუდოვიკ ჟულიმ თავისი მეორე გოლი გაიტანა - 3:1. მატჩის ასეთი ანგარიშით დასრულების შემთხვევაში ნახევარფინალში უკვე "მონაკო" გადიოდა. მაგრამ, შეხვედრის დამთავრებამდე ხომ კიდევ 25 წუთი რჩებოდა - "რეალი" მაინც გაუტანს?!

ვერა! ვეღარ გაუტანს! და არც ტოტალიზატორზე თამაშობს! და საერთოდ, გუშინ "რეალი" კი არა, "მონაკო" თამაშობდა! მაშინაც კი, როდესაც, წესით და რიგით, "რეალს" შტურმი უნდა მოეწყო, საგოლე მომენტებს "მონაკო" ქმნიდა. უკანასკნელი 25 წუთის განმავლობაში, სწორედ იმ დროს, როდესაც სამეფო კლუბს გოლი "უნდა გაეტანა", მასპინძლები ერთმანეთის მიყოლებით აზანზარებდნენ კასილიასის კარის ძელებს. მატჩის პერიპეტიების თხრობას რომ შევუდგეთ, ძალიან შორს მოგვიწევს წასვლა.

ლუდოვიკ ჟულის გოლებმა "რეალი" ჩემპიონთა ლიგიდან დაითხოვეს

ერთიც ვთქვათ და ამით დავასრულოთ - "მონაკო" ნახევარფინალში გავიდა, დამსახურებულად!

თუმცა, "მონაკოს" გამარჯვება გუშინდელი საღამოს ერთადერთი სიურპრიზი როდი იყო? - მაშინ, როდესაც მონაკოში "რეალს" ანადგურებდნენ, ლონდონში მდებარე "ჰაიბერის" სტადიონზე, ადგილობრივი "არსენალი" ფრედ ეთამაშებოდა "ჩელსის" - 1:1. ანგარიში, თავის დროზე სწორედ "ჩელსის" სელექციონერების მიერ დაწუნებულმა, შემდეგ კი "არსენალში" გადაბარგებულმა ხოსე ანტონიო რეიესმა გახსნა 45-ე წუთზე. 51-ე წუთზე ფრენკ ლამპარდმა წონასწორობა აღადგინა და ასე იყო 87-ე წუთამდე. "არსენალმა", რომელსაც ზედიზედ 30 თამაში არ წაეგო, რომელიც ჩემპიონთა ლიგის ერთ-ერთ უდიდეს ფავორიტად მიიჩნეოდა, ვერაფერი დააკლო "ჩელსის". 87-ე წუთზე კი მოხდა ის, რომ ყველა საბოლოოდ დავრწმუნდით: ნახევარფინალი "რეალი"-"არსენალი" არ შედგება. ამ გრანდების ნაცვლად ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალურ მატჩში "მონაკო" და "ჩელსი" შეხვდებიან ერთმანეთს. 87-ე წუთზე უეინ ბრიჯსის მიერ გატანილმა გოლმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ფავორიტები ყოველთვის არ იმარჯვებენ...

სასწაულის მოლოდინში

ნინო პირველი

დღეს ჩემპიონთა ლიგაში კიდევ ორი ნახევარფინალისტის ბედი გადაწყდება. თუმცა, ზოგიერთებისთვის ლიგაში დარჩენილთა ვინაობა უკვე გარკვეულია. ორი კვირის წინ ორივე მატჩი ისეთი შედეგით დასრულდა, რომ "მილანისა" და "პორტუს" გულშემატკივრები პირველივე მატჩის შემდეგ ზეიმობდნენ მომდევნო ეტაპზე გასვლას. იტალიელებისა და პორტუგალიელებისთვის ყველაფერი გარკვეულია. ესპანელები და ფრანგები ჯერ კიდევ არ კარგავენ ლიგასთან არშიყობის გაგრძელების იმედს. ისე, მშვენიერი იყო ლიგასთან ფლირტი, იმდენ ხალხს იზიდავდა სტადიონებზე "ლიონისა" და "დეპორტივოს" წარმატებები... ნუთუ ეს ყველაფერი ასე ერთბაშად უნდა დასრულდეს? იქნებ გაუგონარი სასწაული მოხდეს? ფეხბურთი ხომ საოცრად ალოგიკური თამაშია...

ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, მაგრამ...

გუნდის თავკაცი რომ ასე პესიმისტურად არის განწყობილი, ფეხბურთელები როგორ გუნებაზე იქნებიან... ხავიერ ირურეტამ მილანშივე იცოდა, რომ ყველაფერი დამთავრებული იყო. "ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიბრძოლებთ, მაგრამ არა მგონია, აქედან რამე გამოვიდეს. როცა "მილანს" მოგება არ სჭირდება, ტემპს აგდებს და მოწინააღმდეგეს მატჩის 90 წუთს ჯოჯოხეთად უქცევს. ჩვენ ჩვენსას შევეცდებით", - დიდი ხანია, ასეთი სასოწარკვეთილი აღარ ყოფილა აქტიური და ენერგიული ირურეტა. "დეპორის" ფეხბურთელთა დეპრესიას ვერაფერი შველის. ლაკორუნიელებს არც ესპანეთის ჩემპიონატში აქვთ სახარბიელო მდგომარეობა. პრიმერა დივიზიონის გასულ ტურში საკუთარ "რიასორზე" მოთამაშე "დეპორმა" ვერაფრით ვერ შეძლო სევილიური "ბეტისის" დამარცხება. "დეპორმა" 16 წუთში ორი გოლი გაიტანა, მაგრამ შემდეგ ასეთივე დიდი წარმატებით გაუშვა ორი გოლი საკუთარ კარში. გალისიელებს გაუმართლათ, რომ ვერც "ბარსელონამ" მოუგო "ვილიარეალს", თორემ კატალონიელთა წარმატების შემთხვევაში მესამე ადგილიც სანატრელი გაუხდებოდათ. ახლა "დეპორი" მხოლოდ ერთი ქულით უსწრებს "ბარსელონას" და თავმოსაწონებელი და სასიხარულო ნამდვილად არაფერი აქვს.

ბოლო დროს მაინცდამაინც არც "მილანი" ბრწყინავდა. გალისიელების განადგურების შემდეგ მილანელებმა თავს მოდუნების უფლება მისცეს. პრინციპში, გასაკვირი არაფერია. "მილანი" 9 ქულით უსწრებს "რომას, სეზონის ბოლომდე 6 ტურიღაა დარჩენილი. მართალია, "რომას" ერთი გამოტოვებული მატჩი აქვს ჩასატარებელი - ის სკანდალური დერბი "ლაციოსთან", რომელიც ტიფოზების მიერ მოწყობილი დებოშის გამო შეწყდა, მაგრამ ეს ფაქტი მილანელებს კარგ განწყობას ნამდვილად ვერ უფუჭებს. იტალიაში თითქმის ყველა დარწმუნებულია, რომ "სკუდეტო" აუცილებლად "მილანის" ნადავლი გახდება. მერე რა, რომ "მილანმა" ორ მატჩში მხოლოდ ორი ქულა აიღო და გულშემატკივრები ცოტათი გაანაწყენა? ეს არანაირი ტრაგედია არ არის, "მილანი" მაინც დიდი გუნდია. ასე ფიქრობენ ტიფოზები და, ალბათ, მართლები არიან. გასვლითი მატჩი "დეპორტივოსთან"? კარლო ანჩელოტი ხმამაღალი განცხადებებისგან თავს იკავებს. "მოდენასთან" ფრედ დამთავრებულ მატჩზე უფრო ბევრს ლაპარაკობს, ვიდრე გალისიელებთან შეხვედრაზე. "არანაირი პრობლემა არ გვაქვს. არც ფიზიკური და არც

ირურეტას მეოთხედფინალში გასვლის იმედი აღარ აქვს

ფსიქოლოგიური. ათლეტური მომზადების მხრივ არც ერთ ფეხბურთელს არ ვემდური. ბოლო ორ ტურში დაკარგული ქულები? არაფერს ვნანობ, ყველა მატჩს ვერ მოიგებ. "მოდენასთან" არც ვიმსახურებდით გამარჯვებას. "დეპორტივო"? წინასწარ მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ დიდი ანგარიშით გამარჯვება დამშვიდების საფუძველს ნამდვილად არ გვაძლევს. ესპანეთშიც ისე ვითამაშებთ, როგორც ორი კვირის წინ "სან-სიროზე". რაც შეეხება შემადგენლობას, მოედანზე იქნება ყველა ის ფეხბურთელი, ვინც გუნდს დასჭირდება", - თქვა ანჩელოტიმ. "მილანის" რამდენიმე ფეხბურთელი ტრავმირებულია. ჯერ არავინ იცის, ითამაშებს თუ არა ანდრეი შევჩენკო, რომელმაც უკრაინის ნაკრების მიერ გამართულ ამხანაგურ მატჩში სახის კონტუზია მიიღო და "მოდენასთან" შეხვედრა გამოტოვა. "შევა" თავს უკეთესად გრძნობს, მაგრამ "რიასორზე" გავა თუ არა, ძნელი სათქმელია. "მოდენასთან" მატჩში დაშავდა მასიმო ამბროზინი, რომელიც "დეპორტივოს" წინააღმდეგ ნამდვილად არ ითამაშებს. მცირე ტრავმები აქვთ ასევე კაფუს, გატუზოს და პირლოს.

უეფას თასს ჩემპიონთა თასი ჯობია

ხედავთ, როგორ გათამამდა "პორტუ"? უკვე ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე ოცნებობს. პორტუგალიელთა იმედს ერთხელ უკვე გადაესხა ცივი წყალი, როცა სუპერთასის ფინალში ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულ "მილანთან" წააგეს და მხოლოდ უეფას თასის ამარა დარჩნენ. ამის შემდეგ "პორტუ" კარგა ხანს აღარ შეუპყრია განდიდების მანიას, მაგრამ "მანჩესტერ იუნაიტედის" დამარცხების შემდეგ პორტუგალიელებს ისევ თავში აუვარდათ წარმატება. ვინც "მან იუ" დაამარცხა, იმისთვის "ლიონი" უკვე აღარ არის რთული მეტოქე. "პორტუმ" პირველ მატჩში უპრობლემოდ მოუგო ფრანგებს, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლდა და დიდი ნაბიჯი გადადგა ნახევარფინალისკენ მიმავალ გზაზე. ახლა "პორტუ" სოლიდური უპირატესობით ჩადის ლიონში და ამ უპირატესობას, ალბათ, ცოცხალი თავით არ დათმობს. "ლიონი", რა თქმა უნდა, ბევრს ეცდება, მაგრამ ძალიან გაუჭირდება "პორტუს" დაჩაგვრა. "ლიონის" მდგომარეობა ისეთი მძიმე და უიმედო არ არის, როგორიც "დეპორტივოსი". ფრანგებს ჯერ კიდევ აქვთ ნახევარფინალში გასვლის შანსი.

როგორ დაუხვდება მეტოქეს "ლიონი"? ფრანგებს პრობლემები აქვთ შემადგენლობასთან დაკავშირებით. "პორტუს" წინააღმდეგ ვერ ითამაშებს ნახევარმცველი ერიკ კარიერი, რომელიც გასულ შაბათს დაშავდა. "ლიონის" ექიმებმა 30 წლის ფეხბურთელს მკაცრი ვერდიქტი გამოუტანეს - ექვსკვირიანი პაუზა. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ "ლიონი" "პორტუს" დაამარცხებს და ნახევარფინალში გავა, კარიერს პირველი მატჩის გამოტოვებაც მოუწევს.

პორტუგალიელებთან შეხვედრაში არ იქნება არც სიდნეი გოვუ, რომელიც მარსელის "ოლიმპიკთან" წაგებულ მატჩში დაშავდა. 24 წლის ფორვარდს ქუსლის ტრავმა აქვს და ერთი კვირით მაინც მოუწევს ფეხბურთთან განშორება. საფრანგეთის მოქმედი ჩემპიონის ბანაკში ერთი სასიამოვნო სიახლეცაა: კრისტოფ დელმოტმა ტრავმა მოიშუშა და კვლავ მწყობრშია. 34 წლის ნახევარმცველს, რომელიც "ლიონის" ძველი, გამოცდილი კადრია, ამ სეზონში თითქმის არ უთამაშია. მისი დაბრუნება ნამდვილად ძალიან წაადგება "ლიონს".

"თბილისი" ლამის დაფრინავდა, მაგრამ...

გიორგი ბახტაძის ფოტო

თასმა ფავორიტი არ იცის

www.pfl.ge

მიხეილ აბაიშვილი

თასის ტურნირში, როგორც წესი, ფავორიტი არ არსებობს - ძალიან ხშირად რანგით მაღლა მდგომი გუნდი ვერ ახერხებს სუსტი ბარიერის დაძლევას. ასეთი რამ არაერთხელ მომხდარა და არც დავით ყიფიანის თასის განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩები აღმოჩნდა გამონაკლისი. ოთხი წყვილიდან ორში სენსაციური შედეგი აღინიშნა.

უმაღლესი ლიგის ქვედა ექვსეულის მაჩაჩალა გუნდი, თბილისის "სპარტაკი", რომელსაც ლიგის დატოვებისგან სასწაული თუ იხსნის, ჩემპიონობისთვის მებრძოლ "ვიტ ჯორჯიას" სტუმრად ეთამაშებოდა. ამ გუნდების პირველი მატჩი, რომელიც ორი კვირის წინ "ოლიმპიკის" სტადიონზე გაიმართა, მოულოდნელი შედეგით, "სპარტაკის" გამარჯვებით, 1:0 დასრულდა. განმეორებითი თამაში ვეტერინარებს კარგ შანსს უტოვებდა და მასპინძლებმაც პირველივე წუთებიდან მეტოქის გეგმაზომიერი შევიწროება დაიწყეს. თუმცა, ყველასთვის მოულოდნელად, სპარტაკელთა ერთ-ერთი კონტრშეტევის დროს იმედაშვილმა ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. ეს მოხდა 31-ე წუთზე და ორი მატჩის ჯამში "სპარტაკი" 2:0 დაწინაურდა. ამასთან, სტუმრად გატანილი გოლი ამ გუნდს დამატებით უპირატესობას ანიჭებდა და "ვიტ ჯორჯიას" უკვე 3 გოლის გატანა სჭირდებოდა. ზეექვსეულის წარმომადგენლებმა მხოლოდ ანგარიშის გამთანაბრებელი გოლი გაიტანეს. 81-ე წუთზე გოცირიძემ გამოიჩინა თავი. მატჩი ფრედ, 1:1 დასრულდა და ნახევარფინალში "სპარტაკი" ითამაშებს.

"თბილისისა" და "დილას" დაპირისპირებაში აშკარა ფავორიტად "თბილისი" ითვლებოდა. მით უმეტეს, რომ ამ გუნდების პირველი მატჩი, რომელიც გორში გაიმართა, ფრედ, 0:0 დასრულდა, რაც "თბილისს" დამატებით უპირატესობას ანიჭებდა. მაგრამ თამაშმა ამ შეხვედრაშიც ყველა პროგნოზი თავდაყირა დააყენა. მატჩი სულ ახალი დაწყებული იყო (მე-4 წუთი), რომ უმეთვალყურეოდ დარჩენილმა ძოძუაშვილმა "დილა" დააწინაურა. გოლმა მასპინძლები არ დააბნია. "თბილისმა" მთელი ძალები შეტევაზე გადაიყვანა. "დილას" კართან მომენტი მომენტზე იქმნებოდა, მაგრამ გოლი არა და არ გადიოდა. "თბილისის" გულშემატკივრებს 78-ე წუთამდე დასჭირდათ გოლის ლოდინი. გოლი გეწაძემ მიითვალა აქტივში. მასპინძლებმა ბოლო შტურმიც მოაწყეს, მაგრამ გორელმა ფეხბურთელებმა მათთვის ხელსაყრელი ანგარიში (1:1) შეინარჩუნეს და თასისთვის ბრძოლას აგრძელებენ.

ზეექვსეულს მიღმა დარჩენილ ქუთაისის "ტორპედოს", როგორც ჩანს, მთელი ყურადღება დავით ყიფიანის თასზე აქვს გადატანილი. საჩემპიონო რბოლაში მონაწილე "სიონის" მერვედფინალში ძლევის შემდეგ ქუთაისელებმა მეორელიგელი "ქობულეთი" ორი მატჩის ჯამში გამანადგურებელი ანგარიშით (10:1) დაამარცხეს. პირველ შეხვედრაში, რომელიც "ქობულეთში" გაიმართა, ოთარ გაბელიას შეგირდებმა 5 უპასუხო გოლი გაუტანეს მასპინძლებს. გივი კილაძის სტადიონზე გუშინ გამართული განმეორებითი თამაშიც "ტორპედოს" სრული უპირატესობით წარიმართა და ქობულეთელებმა საკუთარ კარში ისევ 5 გოლი მიიღეს, თუმცა, პრესტიჟის გოლი მაინც გაიტანეს.

თასის ნახევარფინალი აჭარის წარმომადგენლობის გარეშე ჩაივლის, რადგან, "ქობულეთის" მსგავსად, ვერც ბათუმის "დინამომ" შეძლო მეოთხედფინალური ბარიერის დაძლევა, რაც, პრინციპში, სულაც არ იყო მოულოდნელი. ბათუმელებს კენჭისყრაში არ გაუმართლათ (მეტოქედ თბილისის "დინამო" ერგოთ). პირველი მატჩი, რომელიც ეროვნულ სტადიონზე გაიმართა, 0:2 ჰგონდათ წაგებული. განმეორებითი შეხვედრაც თბილისელთა სრული უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით, 4:1 დასრულდა. გამარჯვებულთაგან იაშვილმა, გოგობერიშვილმა (2) და მელქაძემ გამოიჩინეს თავი.

ნახევარფინალების წილისყრა ხვალ, 12 საათზე გაიმართება.

ინფორთეკა

ფეხბურთი. გერმანიის "ვოლფსბურგმა" ახალი მწვრთნელი შეიძინა. ამიერიდან გუნდს ერიკ გერეტსი გაწვრთნის. მან ამ პოსტზე შეცვალა იურგენ რიობერი, რომელიც კლუბის ხელმძღვანელობამ "შტუტგარტთან" საშინაო შეხვედრაში დამარცხების (1:5) შემდეგ გაათავისუფლა თანამდებობიდან.

■ ■ ■

ფეხბურთი. "ლიონის" ფორვარდი სიდნეი გოვუ ვერ ითამაშებს ჩემპიონთა ლიგის განმეორებით მეოთხედფინალურ მატჩში "პორტუს" წინააღმდეგ. მან ქვეყნის ჩემპიონატის შეხვედრაში მარსელის "ოლიმპიკთან" ტრავმა მიიღო. შეგახსენებთ, რომ პირველი მატჩი "პორტუმ" 2:0 მოიგო.

■ ■ ■

ფეხბურთი. ესპანეთის "ვილიარეალის" მწვრთნელად ჩილელი სპეციალისტი მანუელ პელეგრინი დაინიშნა. პელეგრინიმ, რომელიც ადრე "რივერ პლეიტს" ავარჯიშებდა, ესპანურ კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. "ვილიარეალის" წინა მწვრთნელი ბენიტო ფლორო თებერვალში გაათავისუფლეს თანამდებობიდან. მას შემდეგ გუნდს პაკიტო გარსია წვრთნის.

■ ■ ■

ფეხბურთი. სეზონის ბოლოს, როგორც ჩანს, ხულიო კრუზი "ინტერს" დატოვებს. მან გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა და კლუბის შეცვლა სურს. არგენტინელს ლონდონის "ტოტენჰემი" ეპატიჟება. სავარაუდოა, რომ კრუზი საფეხბურთო კარიერას პრემიერლიგაში გააგრძელებს.

■ ■ ■

ფეხბურთი. ახლახან გაქარწყლდა ხმები, რომ საკალათბურთო კლუბ "ვირტუსის" პრეზიდენტი კლაუდიო ტოტი "რომას" შესყიდვას აპირებს. აღმოჩნდა, რომ ტოტის გეგმებში ეს შეთანხმება არ შედის. თუმცა, კლუბს პატარა შანსი კიდევ აქვს. ტოტი მზად არის, სერიოზულად განიხილოს "რომას" შეძენის საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის წინადადებას რომის მერის ველტრონისგან მიიღებს. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნით ადრე "რომას" შეძენის რეალურ მსურველად რუსულ კომპანია "ნაფტა-მოსკვას" აცხადებდნენ.

■ ■ ■

ფეხბურთი. ესტებან კამბიასო მოსავალი სეზონიდან მილანის "ინტერის" ღირსებას დაიცავს. მადრიდის "რეალში" არგენტინელის კონტრაქტს ივნისში გასდის ვადა და მან უკვე მიაღწია მილანურ კლუბთან სიტყვიერ შეთანხმებას. კონტრაქტს კი მაშინ მოაწერენ ხელს, როცა ფეხბურთელი სამედიცინო შემოწმებას გაივლის.

■ ■ ■

ფეხბურთი. იტალიის ნაკრების მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ განაცხადა, რომ მისი ფეხბურთელები ევროპის ჩემპიონატისთვის პრემიალურებს მხოლოდ ფინალში გასვლის შემთხვევაში მიიღებენ. "ტრაპის" ჯერ შეთანხმება არ გაუფორმებია, მაგრამ, როგორც ჩანს, დამაკმაყოფილებელი შედეგი იტალიელთათვის მხოლოდ ფინალში გასვლა იქნება.

■ ■ ■

კალათბურთი. დირკ ნოვიცკი და რიჩარდ ჯეფერსონი NBA-ის კვირის საუკეთესო კალათბურთელებად აღიარეს. ნოვიცკი კვირის სამ მატჩში საშუალოდ 32 ქულასა და 11,7 მოხსნას აგროვებდა. მისმა "დალასმა" კი სამივე შეხვედრა მოიგო. ჯეფერსონმა კი, რომელიც "ნიუ-ჯერსის" ღირსებას იცავს, ღირსეულად შეცვალა ჯეისონ კიდი და მისი წყალობით გუნდმა კვირაში სამი გამარჯვება იზეიმა.

■ ■ ■

კალათბურთი. ტრავმის გამო "მემფისის" ლიდერმა პაუ გაზოლმა "იუტასთან" მატჩი გამოტოვა. ესპანელმა, რომელიც ქულებისა და მოხსნების ნომინაციაში საუკეთესოა თავისი გუნდის შემადგენლობაში, მარჯვენა ტერფი დაიზიანა. მის ნაცვლად სასტარტო ხუთეულში სტრომაილ სვიფტმა ითამაშა. "მემფისმა" 81:92 წააგო.

■ ■ ■

კალათბურთი. კლაიდ დრექსლერი და დრაჟენ დალიპაჟიჩი კალათბურთის დიდების დარბაზში შეიყვანეს. 1995 წელს დრექსლერმა "ჰიუსტონთან" ერთად NBA-ის ჩემპიონატი მოიგო, ჩემპიონატის ფინალში კი "პორტლენდთან" ერთად 1990 და 1992 წლებში გავიდა. დალიპაჟიჩი 1977, 1978 და 1980 წლებში ევროპის საუკეთესო კალათბურთელად დაასახელეს. ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებსა და ოლიმპიურ თამაშებზე მან 12 მედალი მოიგო.

■ ■ ■

ჩოგბურთი. ენდი როდიკი სტოკჰოლმის ღია ჩემპიონატში ითამაშებს. "ვოცნებობდით, რომ ჩვენთან სწორედ როდიკი ჩამოსულიყო. მისი გადმობირება ჯერ კიდევ შარშან გვინდოდა. ასე რომ, მისი ჩამოსვლა შვედური ჩოგბურთისთვის შესანიშნავი საჩუქარია", – განაცხადა ტურნირის დირექტორმა პერ ჰიერტკვისტმა.

■ ■ ■

ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი ძველებურად იანვრის ბოლო ორ კვირაში გაიმართება. იყო წინადადება, რომ ტურნირი მარტში გადაეტანათ, რათა ჩოგბურთელებს დასვენების მეტი საშუალება ჰქონოდათ. თუმცა, ეს წინადადება უარყვეს.

■ ■ ■

ჩოგბურთი. ამელი მორესმომ განაცხადი შეიტანა Family Circle Cup-ში მონაწილეობაზე. ამ კვირაში ფრანგი Bausch & Lomb Championships-ის ტურნირში თამაშობს, რომელიც წლეულს მისი პირველი შეჯიბრებაა. ზურგის ტრავმის გამო იანვრის შემდეგ მორესმო კორტზე აღარ გამოჩენილა.

■ ■ ■

ფორმულა 1. "ფერარი" არ აპირებს გაასაჩივროს ჯარიმა 10000 დოლარის რაოდენობით, რომელიც გუნდს პიტლაინში შეემთხვა და რის გამოც კინაღამ ავარია მოხდა. "ფერარის" მექანიკოსებმა რუბენს ბარიკელო ტრასაზე პირდაპირ იარნო ტრულის "რენოს" წინ გაუშვეს. "ეს ჩვენი ბრალია და ამ ჯარიმის გასაჩივრებას არ ვაპირებთ", – განაცხადა სკუდერიის ტექნიკურმა დირექტორმა როს ბრაუნმა.

სპორტი და მედიცინა

ქართველ ოლიმპიელთა მაჯისცემა

გიგა გურასაშვილი

ოთხიოდე თვეც და ათენის ოლიმპიური თამაშები დაიწყება. მანამდე კი ოლიმპიელები განსაკუთრებულ მზადებას გადიან. მაგრამ სპორტსმენი მარტო მზადებით ფონს ვერ გავა, თუ ფიზიკური მდგომარეობაც ხელს არ უწყობს. ფიზიკური კონდიციების ამაღლებაზე კი მუშაობს სპორტული მედიცინა, რომელზეც, მართლაც, ბევრი რამაა დამოკიდებული. სპორტული მედიცინის მუშაკებზე დამოკიდებულია ისიც, რომ ათენის ოლიმპიურ სარბიელზე ესა თუ ის ათლეტი დოპინგ-სკანდალში არ გაეხვას.

რა მდგომარეობაა ქართველ ოლიმპიელთა რიგებში, როგორია მათი მაჯისცემა? ჩვენს კითხვებს უპასუხებს საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციის პრეზიდენტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ოლიმპიური ნაკრების მთავარი ექიმი ზურაბ კახაბრიშვილი.

- ამჟამად ჩამოყალიბებულ ბირთვს, რომელსაც უკვე განაღდებული აქვს ათენის ოლიმპიური საგზურები, უტარდება სამედიცინო შემოწმება, - გვეუბნება ზურაბ კახაბრიშვილი. - თითოეულ მათგანს თამაშებამდე ორი თვით ადრე ჩაუტარდება დოპინგ-ტესტიც. გამოკვლევაში დაგვეხმარება მოსკოვისა და ერევნის დოპინგ-ლაბორატორიები. იმისთვის, რომ ათენში დოპინგთან დაკავშირებით პრობლემა არ შეგვექმნას, წინასწარ ვიჭერთ თადარიგს და თითოეულ სპორტსმენს გულდასმით ვაკვირდებით. ახალი წესების თანახმად, მსოფლიოს ანტიდოპინგურ სააგენტოს ნებისმიერ დროს შეუძლია სპორტსმენის შემოწმება - ოლიმპიურ თამაშებამდე, თამაშების დროს და შემდეგაც, ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილზე, როგორც ასპარეზობისას, ისე ოლიმპიურ სოფელში. ერთი სიტყვით, ყველა მათგანი მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ იქნება.

- ხშირია შემთხვევები, როდესაც დოპინგის კვალი ჩვეულებრივ სამკურნალო პრეპარატებში ჩანს. რა ვითარებაა ქართველ ოლიმპიელთა რიგებში, უფრო სწორად, რამდენად ჯანმრთელები არიან იმისთვის, რომ გარკვეული პრეპარატების მიღებისგან თავი შეიკავონ?

ზურაბ კახაბრიშვილი თავის "პაციენტს" წარმოგვიდგენს

ვახტანგ ბესელიას ფოტო

- სპორტსმენთა დაახლოებით 40 პროცენტი ტრავმირებულია. მათი უმეტესობა, ვისაც მცირე ტავმა აქვს, ახლა ისვენებს ან რეაბილიტაციას გადის. ამის გამო იყო, რომ ბერძენ-რომაელთა დიდების ნაკრების ნაცვლად ევროპის ჩემპიონატზე ახალგაზრდული გუნდი გაემგზავრა. რაც შეეხება მათ მკურნალობას, აქ აკრძალული პრეპარატები გამორიცხულია. ჩვენი მიზანია, ოლიმპიური გუნდი ათენამდე ჯანმრთელი მივიყვანოთ. ოპტიმალურ დატვირთვებზე კი მაშინ გადავალთ, როდესაც ტრავმებს მოიშუშებენ. ერთი სიტყვით, თითოეული მათგანი სამედიცინო კონტროლის ქვეშაა.

- დასაწყისში აღნიშნეთ, დოპინგ-ტესტირებას ორი თვით ადრე ჩავუტარებთო. ზოგიერთი პრეპარატის კვალი კი ორგანიზმში ნახევარი წელიწადიც რჩება...

- ისეთი პრეპარატები, როგორიცაა ნანდროლონი და რეტაბოლილი, ორგანიზმიდან გამოდის ორიდან შვიდ თვემდე ვადაში. ეს პრეპარატები ყველაზე მეტადაა გავრცელებული. თუმცა, დარწმუნებული ვარ, ამ პრეპარატებს საქართველოში არავინ იღებს. ამის თქმის საბაბს მაძლევს დღევანდელი გამოკვლევების შედეგები. გამოკვლევებმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ამგვარი პრეპარატები არც ერთი სპორტსმენის ორგანიზმში არაა.

- ათენში რამდენი ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ იქნება ოლიმპიური ნაკრები? ძნელი წარმოსადგენია, თითოეული სპორტსმენის კონტროლს ერთი ექიმი გაწვდეს...

- ოლიმპიურ ნაკრებს, ალბათ, ოთხი ექიმი გაჰყვება. მე, ფიზიოთერაპევტი, მანუალ-თერაპევტი და მასაჟისტი. პირადად მე საჭიდაო სახეობებს მივადევნებ თვალყურს. მორიგე ექიმი მუდმივად იქნება ოლიმპიურ სოფელში, დანარჩენები კი იმის მიხედვით გადანაწილდებიან, თუ რომელ სახეობაში იქნება მეტი დატვირთვა. ოლიმპიურ თამაშებზე სპორტსმენს უფასოდ უტარებენ სამედიცინო შემოწმებას, თუმცა, ჩვენ რაღაც აპარატურა მაინც მიგვაქვს, რადგან ხშირად სპორტსმენებს შემოწმების გასავლელად საათობით უწევთ რიგში დგომა. ვგულისხმობ პირველადი დახმარების აპარატურას – ამპლიტუსი, ულტრაბგერა, ვიბრომასაჟორი, ელექტროფორეზი, მიოსტიმულატორი. ოლიმპიადამდე ცოტა ხნით ადრე გავგზავნით იმ პრეპარატების ნუსხას, რომლის წაღებასაც ვაპირებთ საბერძნეთში. წინააღმდეგ შემთხვევაში ოლიმპიადის მასპინძლები ქვეყანაში არ შეგვიშვებენ. ასეთი კი 287 დასახელების პრეპარატია. მინდა, მადლობა გადავუხადო იმ პირებსა თუ ფირმებს, რომლებიც მხარში გვიდგანან. ფარმაცევტული ბაზები "ჯი პი სი" და "ავერსი" ჩვენს ოლიმპიელებს უსასყიდლოდ ამარაგებენ საჭირო მედიკამენტებით. დიდად მადლიერი ვართ დავით ტატიშვილის ულტრასონოგრაფიის ცენტრის, რომელიც სპორტსმენთა გამოკვლევაში ნინო დუმბაძესთან ერთად გვეხმარება, სამხედრო ჰოსპიტალის ექიმ-ტრავმატოლოგის ზურა ავაზაშვილის და ჰოსპიტლის ხელმძღვანელის არჩილ ბურჯანაძის.

- რა პერიოდულობით იკვლევთ სპორტსმენებს?

- ფაქტობრივად, ყოველდღიურად. ჯობს, აქვე დაისვას ზუსტი დიაგნოზი, ვიდრე ათენში შეგვექმნას პრობლემები. ჩვენი 13-კაციანი გუნდი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ სპორტულმა მედიცინამ თავისი წვლილი შეიტანოს ოქროს მედლის მოპოვებაში.

- ხშირად აბსურდული სიტუაციის მოწმენი ვხდებით. სპორტსმენი, რომელიც თავის ტკივილის გასაყუჩებლად რომელიმე პრეპარატს სვამს, დოპინგ-ტესტზე ჩავარდება ხოლმე...

- იყო ასეთი შემთხვევა: ძიუდოს ტურნირზე ერთ-ერთმა სპორტსმენმა ციტრამონი მიიღო. ციტრამონი კი, მოგეხსენებათ, კოფეინს შეიცავს. ტესტირებისას დოპინგ-კონტროლზე ფიქსირდება კოფეინი, რომელიც აკრძალულია. არადა, ციტრამონი იმისთვისაა, რომ თავის ტკივილი გაიყუჩო. ზოგიერთმა შეიძლება ფურაცილინიც დალიოს (შარდმდენი) იმისთვის, რომ წონას ვერ აბარებს (მოჭიდავეებზეა ლაპარაკი). ამ დროს ფურაცილინი არანაირ სტიმულაციას არ უწევს ორგანიზმს. მაგრამ ვერ დაამტკიცებ, სპორტსმენმა ფურაცილინი მხოლოდ იმიტომ მიიღო, რომ ორგანიზმიდან მავნე ნივთიერებები გამოედევნა. თუ ციტრამონის ხუთი აბი დალიე, შესაბამისად მატულობს ორგანიზმში კოფეინის დოზაც. ამიტომაცაა, რომ პრეპარატები, რომლებიც თუნდაც მცირე რაოდენობით შეიცავს გარკვეულ სტიმულატორებს, აკრძალულ პრეპარატთა ნუსხაშია შეტანილი. მაგრამ თუ ანკეტაში ჩაწერ, რომ სპორტსმენს მიღებული აქვს ერთი აბი და ტესტირებისას პასუხი ადეკვატური იქნება, სპორტსმენი არ ისჯება. მაგრამ როდესაც ჩაწერ, რომ ერთი აბი აქვს მიღებული და დოზა ხუთით მეტს აჩვენებს, მაშინ სასჯელისგან თავის დაღწევა შეუძლებელია. ამ შემთხვევაში ჩნდება ეჭვი, რომ სპორტსმენმა დამატებით კიდევ რაღაც მიიღო. საერთოდ, ბევრი ნიუანსია, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს. ისე არ გაგვიგოთ, თითქოს წინასწარ ყველას შეუძლია თავი დაიზღვიოს. არის პრეპარატები, რომლებიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიიღოს სპორტსმენმა.

რაგბი

ქართული რაგბის ორი დღე

ზელანდია "ოქროს" უმიზნებს

ვაჟა თოთაძე

ამ დღეებში ერთდროულად ორი ასაკის ჭაბუკ მორაგბეებს უწევთ მსოფლიო თუ ევროპის ჩემპიონატზე თამაში და უძლიერესთა შორის ადგილის შენარჩუნება.

19 წლამდელთა ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატზეა სამხრეთ აფრიკაში და ჯერჯერობით წარუმატებლად ასპარეზობს. კაცმა რომ თქვას, ამაში მოულოდნელი არაფერია – ქართველებს მეტოქეებად ინგლისი, ახალი ზელანდია და იაპონია ჰყავდათ. პირველ ორთან მოგებაზე საუბარი ზედმეტია. რაც შეეხება იაპონიას, დღეს ის ბევრად არა, მაგრამ მაინც ჩვენზე უკეთესი გუნდია. ასე რომ, სამივე წაგება კანონზომიერი იყო. აქედან გამომდინარე, რისი იმედი უნდა ჰქონდეთ საქართველოს ნაკრების მწვრთნელებს, როგორ შეიძლება გუნდმა შეინარჩუნოს ადგილი უძლიერესთა შორის?

"ბუნებრივია, რთული ამოცანის წინაშე ვდგავართ, მაგრამ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, იტალია უნდა დავამარცხოთ", - აღნიშნა საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ლევან მაისაშვილმა, - "ცუდი ისაა, რომ ბევრი მოთამაშე ტრავმირებულია. ამიტომ შემადგენლობის გადახალისება მოგვიწევს".

ქართველების მსგავსად, იტალიელებმაც ყველა მატჩი წააგეს: უელსთან 9:52, სამხრეთ აფრიკასთან 3:59 და შოტლანდიასთან 5:35. ტურნირის ფორმატის მიხედვით ჯგუფური ეტაპის შემდეგ დგება სატურნირო ცხრილი და მეორე ეტაპზე ამ გუნდებისგან სამი ოთხგუნდიანი ჯგუფი იქმნება. პირველი ჯგუფის გუნდები, რომლებიც სატურნირო ცხრილში პირველ-მეოთხე ადგილებზე გავიდნენ, გაითამაშებენ მედლებს, მეორე ჯგუფის წევრები მეხუთე-მერვე ადგილებს გადაინაწილებენ, დანარჩენები კი უძლიერესთა შორის ადგილის შესანარჩუნებლად იბრძოლებენ. სწორედ ამ ჯგუფში მოხვდნენ ქართველები და იტალიელები. ახლა მათ შორის მატჩი გადაწყვეტს, ვინ ითამაშებს მომავალ წელს A და B ჯგუფში.

სანამ ქართველი და იტალიელი ცხრამეტწლამდელები ურთიერთობას გაარკვევენ, ერთი წლით უმცროსებმა უკვე ითამაშეს ერთმანეთთან იტალიაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე. ეს მატჩი ტურნირის პირველ დღეს გაიმართა და იტალიელთა გამარჯვებით დასრულდა - 36:13. ქართველთა შემადგენლობაში იაშვილების გვარის მესამე წარმომადგენელმა შარლ-ედუარდმა ითამაშა. როგორ გაირკვა, მწვრთნელებს ის სხვადასხვა პოზიციაზე გამოუცდიათ, საბოლოოდ კი მეათე ნომრად, თავისუფალ ნახევარმცველად უპირებენ დაყენებას. მომდევნო მატჩს საქართველოს ნაკრები პორტუგალიის გუნდთან გამართავს. თუ ისევ დამარცხდება, უკანასკნელ შანსად რუმინეთ-რუსეთს შორის წაგებულის დამარცხება რჩება.

"პორტუგალიის თამაში ვნახეთ. ვფიქრობ, მათი დამარცხება ჩვენი გუნდისთვის სულაც არ არის შეუძლებელი. მთავარია, მოთამაშეებმა მწვრთნელის დავალებები შეასრულონ და არ ინერვიულონ, როგორც ეს იტალიასთან მატჩში მოხდა. ასეთი ანგარიშით წაგებაც სწორედ ამან გამოიწვია, თორემ შეიძლებოდა, მცირე სხვაობით დავმარცხებულიყავით", - თქვა ნაკრების მწვრთნელმა გია ჭუმბურიძემ.

ერთი სიტყვით, დღეს და ხვალ ქართული რაგბისთვის მეტად მნიშვნელოვანი ამბები წყდება. თუ ორივე დღე იღბლიანი გამოდგა, მომავალ ჩემპიონატებზე ორივე გუნდი უძლიერესთა შორის ითამაშებს, თუ არადა...

კალათბურთი

"იუტა" არ ნებდება

სანდრო ნავერიანი

იუტა – მემფისის გრიზლის 92:81

ეს მატჩი 7 იანვარს უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ იმ დღეს პორტლენდში ნამქერი იყო და რეისი გადაიდო, რეისთან ერთად კი - მატჩიც. ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობამ მატჩი 6 აპრილისთვის გადაიტანა. მათ იცოდნენ, რომ ამ დღეს სტუდენტური ლიგის ფინალი უნდა შემდგარიყო, მაგრამ მათ გადაწყვეტილებაზე ამან არავითარი გავლენა არ მოახდინა. სწორედ ამის გამო "იუტა ჯაზისა" და "მემფის გრიზლის" მატჩს, ჩვეულებრივთან შედარებით, 19,8 პროცენტით ნაკლებმა გულშემატკივარმა ადევნა თვალი. ეს, ასე ვთქვათ, პრელუდია იყო.

ამ შეხვედრას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა "იუტა ჯაზისთვის". საქმე ის არის, რომ იუტელები, დენვერელები და პორტლენდელები იბრძვიან ერთადერთი ვაკანსიისთვის, რომელიც პლეი-ოფში თამაშის საშუალებას იძლევა. ამ მატჩის მოგებით "იუტა ჯაზმა" გაასწრო "დენვერ ნაგეთსს" და მერვე პოზიციაზე გადავიდა. რაც შეეხება მატჩს, იუტელთა გამარჯვებაში დიდი წვლილი მიუძღვის მემფისელთა ესპანელ ლეგიონერს, პოუ გაზოლს. იუტელთა გამარჯვებაში მან იმით შეიტანა წვლილი, რომ საერთოდ არ უთამაშია და ამიტომ მემფისელთა შეტევა სრულიად მოშლილი იყო. იუტელთა შემადგენლობაში ყველაზე შედეგიანი იყო გორდონ გირიჩეკი, რომელმაც 25 ქულა მოაგროვა და 4 შედეგიანი გადაცემა გააკეთა. რუსმა ანდრეი კირილენკომ მორიგი დაბლ-დაბლი მიითვალა, 17 ქულა და 11 მოხსნა გააკეთა. ბრაზილიელმა კარლოს არაიომ და მიკი მურმა, შესაბამისად, 14 და 13 ქულა შესძინეს საკუთარ გუნდს, კარლოს არაიომ კი მოგროვებულ ქულებთან ერთად 11 მოხსნაც გააკეთა. მემფისელთა რიგებში თავი გამოიჩინეს ჯეიმს პოუზიმ და ლოურენს რაიტმა. მათ, შესაბამისად, 18 და 16 ქულა შესძინეს მემფისურ გუნდს. ერლ უოტსონმა 11 ქულა და 12 შედეგიანი გადაცემა გააკეთა, ხოლო შონ ბატიემ 13 ქულა მოაგროვა.

ჩემი აზრით, "პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსს" არ შეუძლია

გრიჩეკის 25-მა ქულამ "იუტას" პლეი-ოფის შანსი შეუნარჩუნა

პლეი-ოფში გასვლა. ამიტომ მხოლოდ "იუტა ჯაზისა" და "დენვერ ნაგეთსის" შანსებზე ვილაპარაკებ.

იუტელებს დენვერელებზე ერთი მატჩით მეტი აქვთ ჩატარებული და სწორედ იმ ერთი მოგებული მატჩის წყალობით არიან მათზე წინ. ჯაზმენებს საკმაოდ რთული თამაშები ელით წინ, მაგრამ მათი უპირატესობა ის არის, რომ უკანასკნელ ტურში ლიგის აუტსაიდერს, "ფენიქს სანზს" ეთამაშებიან, ხოლო "დენვერ ნაგეთსს" ლიგის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდთან, "სან-ანტონიო სფურზთან" მოუწევს ჭიდილი.

იმ შემთხვევაში, თუ "დენვერმა" და "იუტამ" თანაბარი ქულები დააგროვეს, მაშინ უპირატესობა დენვერელთა მხარეს იქნება იმიტომ, რომ დენვერელებს "იუტასთან" ჩატარებული ოთხი მატჩიდან სამი მოგებული აქვთ.

წავიდეთ სოლტ-ლეიკ სიტიში.

"იუტა ჯაზი" მომდევნო მატჩს საკუთარ "დელტა ცენტრში" "დალას მავერიქსთან" გამართავს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დალასელებს არანაირი მოტივაცია აღარა აქვთ, მაშინ ადვილი წარმოსადგენია, რომ ჯაზმენები ამ მატჩს მოიგებენ, მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს - დალასელები სეზონის დასაწყისში ერთ-ერთ ფავორიტად ითვლებოდნენ, თამაშით კი ეს ვერ დაამტკიცეს, რამაც კლუბის ხელმძღვანელობა გუნდის რეორგანიზაციაზე აალაპარაკა. ეს ფაქტი არც ერთ დალასელ კალათბურთელს არ სიამოვნებს - მათ ხომ მრავალმილიონიანი კონტრაქტები აქვთ გაფორმებული. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დალასელთა გერმანელი ლეგიონერი დირკ ნოვიცკი კვირის საუკეთესო კალათბურთელი გახდა, ესე იგი, კარგ ფორმაშია. და, საერთოდ, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში არ არიან ისეთი გუნდები, რომლებსაც გამარჯვება არ უნდათ. ისინი ხომ გამარჯვების შემთხვევაში უზარმაზარ ფულად პრემიებს იღებენ!

ჩავთვალოთ, რომ "იუტამ" მატჩი მოიგო და ვნახოთ, რას შვრება "დენვერი".

კოლორადოელები, დარწმუნებული ვარ, საკუთარ "პეფსი ცენტრში" ადვილად გაუმკლავდებიან "ფენიქს სანზს". ფენიქსელები, თუ შეიძლება ასე ითქვას, ყოვლად გაჩანაგებულნი არიან. მათ არ ჰყავთ ისეთი კალათბურთელი, რომელიც თავის თავზე აიღებს თამაშს, და, საერთოდ, გუნდიც არ უვარგათ.

მოვლენათა ასეთი განვითარების შემთხვევაში "იუტა" კვლავ ერთი გამარჯვებით წინ იქნება "დენვერზე".

წავედით შემდეგ მატჩზე.

მომდევნო მატჩი 9 აპრილს "პეფსი ცენტრში" გაიმართება. ერთმანეთს დაუპირისპირდებიან "ნაგეთსი" და "ჰიუსტონ როქეთსი". მიუხედავად იმისა, რომ ჰიუსტონელებს განაღდებული არა აქვთ პლეი-ოფში თამაში, მათგან არ უნდა ველოდოთ რაიმე საოცრებებს (ველოდოთ-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ "დენვერში" ნიკოლოზ ცქიტიშვილი თამაშობს) და არც იმას, რომ რაიმეს დათმობს. წლევანდელ სეზონში ჰიუსტონელთა კარგი თამაშის მიუხედავად, დენვერელთა გამარჯვების ალბათობა გაცილებით დიდია, ვიდრე ტეხასელების. ჯერ ერთი, "დენვერი" საკუთარ მოედანზე ძალიან ძლიერია. მან თითქმის ყველა ფავორიტს მოუგო საკუთარ "პეფსი ცენტრში" და მეორეც: დენვერელთა მოტივაცია უდიდესია - ისინი არასოდეს ყოფილან პლეი-ოფში. ჩემი ღრმა რწმენით, "დენვერმა" უნდა მოუგოს "ჰიუსტონს".

ამ შემთხვევაში დენვერი და იუტა, მოგებული და წაგებული თამაშებით ერთმანეთს გაუტოლდებიან, ხოლო ცხრილის უფრო მაღალ საფეხურზე "დენვერი" იქნება (მიზეზი: მეტი მოგებული მატჩი ურთიერთშეხვედრებში).

ვაგრძელებთ.

10 აპრილს, "პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსი" "დენვერ ნაგეთსს" შეხვდება, ხოლო "ჰიუსტონ როქეთსი" - "იუტა ჯაზს". "დენვერიც" და "იუტაც" გასვლით შეხვედრებს ჩაატარებენ და ორივე მატჩი ერთდროულად დაიწყება. ამ შეხვედრებს სპეციალისტები კვანძის გახსნად მოიხსენიებენ. შანსები ასე ნაწილდება - 50/50. თუმცა, პირადად მე მიმაჩნია, რომ "დენვერს" გამარჯვების უფრო დიდი შანსი აქვს, ვიდრე "იუტას". ჰიუსტონელებს ლიგაში საკუთარ მოედანზე მოგებული შეხვედრებით ერთ-ერთი ყველაზე მაღალი შედეგი აქვთ. "დენვერის" შანსი კი იმით არის უფრო მაღალი, რომ მას თითქმის განწირულ გუნდთან უწევს თამაში, რაც მოწინააღმდეგის მხრიდან გახსნილ თამაშს განაპირობებს. ეს კი სწორედ დენვერელებს აძლევს ხელს. მთავარია სწორი ტაქტიკის არჩევა, რაც, არა მგონია, წლის საუკეთესო მწვრთნელს, ჯეფ ბზდელიკს გაუჭირდეს. მან ხომ სწორედ ტაქტიკური მონახაზების სწორად შერჩევის გზით მიიყვანა "ნაგეთსი" კონდიციამდე?!

TV-სპორტი

ოთხშაბათი. 7 აპრილი

НТВ+ ФУТБОЛ

07:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: ჯულიუს ირვინგი
08:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1994. აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალი. "NEW YORK KNICKS" - "INDIANA PACERS". მე-7 თამაში
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:25 ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. "არსენალი" – "ჩელსი"
15:20 "პოსტსკრიპტუმი"
15:50 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
16:45 თავისუფალი დარტყმა
17:00 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
17:30 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი
19:10 ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. "მონაკო" – "რეალი"
21:05 თავისუფალი დარტყმა
21:20 სახვალიო ტელეპროგრამა
21:25 "დარტყმა გოლისთვის"
21:40 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი
23:20 ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. "დეპორტივო" – "მილანი". პირდაპირი ტრანსლაცია
01:35 ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. "ლიონი" – "პორტუ"
03:20 03:20-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
04:30 NBA TV – NBA შიგნიდან
05:00 NBA TV. დღიური
05:30 NBA TV. "SAN ANTONIO SPURS" - "SEATTLE SUPERSONICS". პირდაპირი ტრანსლაცია

НТВ-ПЛЮС СПОРТ

11:00, 14:00, 17:00, 22:15 პრესცენტრი
11:15, 22:00 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:15 "ფორმულის ჰარმონია"
11:35 "ყველაზე ძლიერი ადამიანი" ზიმბაბვეში. მეორე ნაწილი
12:05 ფიგურული სრიალი. შოუ "Holiday Festival on Ice"
13:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
14:35 "რუსული ჰოკეი ინგლისში"
15:00 "ბილიარდის მეუფენი"
15:30 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო თასის ეტაპი ბრაზილიაში
17:15 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი ევროპული პროგრამა
18:10 "NHL – პლიუსი"
18:25 კარატე. რუსეთის თასი მოსკოვში. მეორე დღე
20:10 ბოულინგი. PBA Tour სიეტლში, აშშ
21:00 "ათენის გზაზე"
22:05 სახვალიო ტელეპროგრამა
22:30 "ყველაზე ძლიერი ადამიანი" ზიმბაბვეში. მესამე ნაწილი
23:00 "Power week - NHL-ის კვირა"
23:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. "ლიონი" – "პორტუ". საპასუხო მატჩი
01:35 ახალი ამბები
01:50 "NHL – პლიუსი"
02:05 02:05-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 ჰოკეი. სტენლის თასი. 1/8 ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია

EUROSPORT

11:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
12:00 მულტისპორტი
12:30 ფეხბურთი. ევროგოლები
13:30 სნუკერი. პლეიერსის ჩემპიონატი შოტლანდიაში
14:30 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
18:00 სნუკერი. პლეიერსის ჩემპიონატი შოტლანდიაში
19:30 ველორბოლა. ბასკების ქვეყნის ტური
20:30 სნუკერი. პლეიერსის ჩემპიონატი შოტლანდიაში
22:00 ტრიალი. სადარბაზო მსოფლიო ჩემპიონატი ესპანეთში
22:30 ტრიალი. სადარბაზო მსოფლიო ჩემპიონატი ესპანეთში
23:00 სნუკერი. პლეიერსის ჩემპიონატი შოტლანდიაში
02:00 რალი-რეიდი. მსოფლიო თასი ტუნისში
02:15 ახალი ამბები
02:30 გოლფი. US PGA ტურნირი
02:30 მულტისპორტი ოთხშაბათობით
02:45 გოლფი. US PGA ტურნირი
03:30 გოლფი. US PGA ტურნირი
03:45 გოლფი. US PGA ტურნირი
04:15 ახალი ამბები

ტამპლიერთა ტრაგედია I

მიუხედავად იმისა, რომ ტამპლიერთა ანუ ტაძრის რაინდთა ორდენს სხვა რაინდულ ორდენებთან შედარებით დიდი ხანი არ უარსებია, მისი ისტორია ყველაზე უფრო მეტად იპყრობს საიდუმლოს მოყვარულთა ინტერესს. ამის უმთავრესი მიზეზი ორდენის მართლაც ტრაგიკული აღსასრულია, რომელმაც ტაძრის რაინდებს XIV საუკუნის დასაწყისში უწია საფრანგეთის მეფის, **ფილიპე მშვენიერის** ნებით.

მომდევნო საუკუნეებში და დღესაც ტაძრის რაინდებს მრავალ ზღაპრულ მონაჩმახსა თუ ბრალდებას უკავშირებდნენ. ამბობენ, მაგალითად, რომ ორდენს დაარსების დღიდან კაცობრიობაზე ბატონობის რაღაც იდუმალი მისია აკისრია, რომ მისი კუთვნილი აურაცხელი სიმდიდრე, რომელიც მეფის მოხელეებმა ვერ აღმოაჩინეს, ჯერ როზენკროიცერებს გადაეცათ იდუმალი გზებით, შემდეგ მასონებს და დღესაც მრავალჯერ გაზრდილი ეს განძი მსოფლიოზე იდუმალი მართვისათვის გამოიყენება.

მაგრამ ჩვენი რუბრიკის მიზანი ისტორიის გამარტივებაა და არა გართულება. მითები მითებად რჩება, ფაქტები კი ახსნას მოითხოვს. ვინ იყვნენ ტაძრის რაინდები, რომლებმაც დიდგორის ომშიც მიიღეს მონაწილეობა და რომელთა სახელებს იერუსალიმში მოღვაწე ქართველი ბერები ლოცვისას მოიხსენიებდნენ: "აცხოვნე, ღმერთო, ჩვენი ძმა..."? ეკუმენიზმის ბრალდებისა მაინც არ ეშინოდათ იმ დალოცვილებს? — დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიათა შორის სქიზმა ხომ უკვე კარგა ხნის მომხდარი იყო!

ტამპლიერები ბაბილონის გოდოლთან - თანამედროვე ნახატი

დაარსება

დაახლოებით 1120 წელს შამპანის ერთი აზნაურის, **უგო დე პეინის** ხელმძღვანელობით წმინდა მიწაზე მყოფი ცხრა ფრანგი სენიორი შეიკრიბა ერთ ადგილას. რაინდებმა გადაწყვიტეს, თავიანთი ცხოვრება პალესტინაში მოგზაურო მლოცველთა დაცვისთვის მიეძღვნათ. მათ იერუსალიმის პატრიარქის თანდასწრებით სამი ბერული აღთქმა დადეს. ერთმანეთს ორდენის წევრები ძმებს უწოდებდნენ, რადგან არც ერთი მათგანი არ უნდა ყოფილიყო სამღვდელო ხარისხისა.

ორდენის დაარსებისას წმიდა მიწა, ანუ პალესტინა ლათინი ჯვაროსნების მიერ იყო დაკავებული და შედგებოდა ედესის საგრაფოს, ანტიოქიის სამთავროს, ტრიპოლის საგრაფოსა და იერუსალიმის სამეფოსაგან. იერუსალიმის მეფე მაშინ სამეფოს დამაარსებლის, **გოტფრიდ დე ბუიონის** ბიძაშვილი, **ბოდუენ II** იყო. მეფემ რაინდებს თავისი სასახლის ნაწილი დაუთმო. სასახლე სოლომონის ძველი ტაძრის ადგილას იყო განლაგებული და აქედან მომდინარეობს თვით ორდენის დასახელებაც. შემდგომში უკვე შეიქმნა ლეგენდა, თითქოს ორდენის სახელწოდება სოლომონის დროიდან შემორჩენილ რაღაც უმნიშვნელოვანეს საიდუმლოს უკავშირდება, რომელიც დევნას გადარჩენილმა ტამპლიერებმა მასონებს გადასცეს.

დაარსების მომენტში ტამპლიერები ძალიან ღარიბები იყვნენ და არაფერი მოასწავებდა მათ მომავალ სიმდიდრეს. ამბობენ, რომ იმდენად უჭირდათ მატერიალურად, რომ ორ კაცზე ერთი ცხენი ჰყავდათ. აქედან მომდინარეობს მათ ღერბსა და ბეჭედზე არსებული გამოსახულება: ერთ ცხენზე ამხედრებული ორი რაინდი. შემდგომ ამ გამოსახულებამ სიმბოლური მნიშვნელობა მიიღო და ტამპლიერთა მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ნიშნად იქცა.

ტაძრის ორდენის პირველი ფუნქცია იყო ქრისტიან მლოცველთა დაცვა იერუსალიმიდან იაფას კარიბჭემდე გზაზე, სადაც უამრავი ბედუინი-ყაჩაღი იყო ჩასაფრებული. ასევე იცავდნენ ისინი მდინარე იორდანეში რიტუალური განბანვის მსურველებს.

ცხრა წლის განმავლობაში ტამპლიერები ნეტარი ავგუსტინეს ორდენის ტიპიკონს ასრულებდნენ. ბოდუენ II-ის თხოვნით უდიდესმა სასულიერო მოღვაწემ, **ბერნარ კლერვოსელმა** იშუამდგომლა პაპის წინაშე, რათა ახალ ორდენს უზენაესი დამტკიცება და საკუთარი წესდებაც ჰქონოდა. ამის შემდეგ უგო დე პეინმა და მისმა თანამებრძოლებმა ევროპაში, ასე ვთქვათ, სააგიტაციო მოგზაურობა მოიმოქმედეს, რომლის დროსაც აგროვებდნენ მებრძოლებსა და ლაშქრობისათვის საჭირო სახსრებს.

წესდება

ტამპლიერთა ტიპიკონი ტრუას საეკლესიო კრებაზე დამტკიცდა. კრება 1128 წლის 13 იანვარს გაიხსნა. დიდხანს კამათობდნენ იმის თაობაზე, რაოდენი წვლილი შეიტანა წესდების შედგენაში თვით ბერნარ კლერვოსელმა. ერთი მხრივ, წესდების სტილი საკმაოდ განსხვავდება განათლებული ბერის სხვა ნაწერებისაგან, მაგრამ აშკარაა წესდების მსგავსება ცისტერციანელთა ორდენის ტიპიკონთან — ცისტერციანელთა ორდენს კი თვით ბერნარი ეკუთვნოდა. ერთი რამ ეჭვს არ იწვევს: ტამპლიერთა წესდების ავტორი მოქმედების კაცი იყო და მან მთავარი აქცენტი სამხედრო აქტივობაზე გადაიტანა: "სულიერი გვირგვინი ბრძოლის გარეშე არ მოიპოვება" — წერია წესდებაში.

ტამპლიერთა ორდენში კეთილშობილი წარმოშობის წევრები შედიოდნენ, მაგრამ იყვნენ სერჟანტებიც, ანუ ჩვეულებრივ მოქალაქეთა შვილები. წესდებით ტამპლიერებს ეკრძალებოდათ ბრძოლაში დანებება მაშინაც კი, როცა თითოეულს სამი მტრის წინააღმდეგ უწევდა ბრძოლა. აკრძალული შებრალების თხოვნა და გამოსასყიდის გადახდა. ამავე დროს დაგმობილი იყო ომში უგუნური გმირობაც: ტამპლიერი მკაცრად უნდა დამორჩილებოდა დისციპლინას და ზედმეტი რისკი არ უნდა გაეწია. ამავე დროს ტაძრის რაინდებს უკანასკნელთ უნდა დაეტოვებინათ ბრძოლის ველი.

რაინდები თეთრ მოსასხამებს ატარებდნენ, სერჟანტები კი ყავისფერს ან შავს. მოგვიანებით, პაპის, **ევგენი III**-ის მოთხოვნით ტამპლიერებმა მოსასხამის მარცხენა მხარეს წითელი ჯვარი დააკერეს, იმის მსგავსი, რომლის ხილვაც დღეს საქართველოს სახელმწიფო დროშაზე შეიძლება. ამის გარდა ყოველ ტამპლიერს უნდა ჰქონოდა ორი პერანგი, ორი შარვალი და ორი წყვილი საცვალი, ტუნიკა, ბეწვით გაწყობილი ზამთრის ლაბადა, მანტია, ტყავის ქამრიანი ქურთუკი, ერთი ქუდი ბამბისა და ერთიც ქეჩისა.

ომის დროს ტამპლიერი ჯაჭვის პერანგით იმოსებოდა და თავზეც მუზარადს იდგამდა. შეიარაღებაში შედიოდა, გრძელი მახვილი, შუბი, სატევარი და დაკბილული თურქული კვერთხი. იარაღი მაღალხარისხოვანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მოოქროვილი სამკაულების გარეშე და ძალიან სადა. ეს მოთხოვნა რეაქცია იყო იმდროინდელი რაინდების მდიდრულ და ფუფუნებით აღსავსე შესამოსელზე.

ტამპლიერებს მოკლე წვერი და ასევე მოკლედ შეკრეჭილი თმა უნდა ჰქონოდათ, თუმცაღა მამაკაცები იმ ეპოქაში მხრებამდე ჩამოშვებულ თმებს ატარებდნენ. ტამპლიერები უქორწინებელნი იყვნენ. იშვიათად ცოლიან მამაკაცებს ღებულობდნენ, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ორდენში მოსულს ქონების რაღაც ნაწილი უნდა დაეთმო საერთო ხაზინაში. დაარსებიდან 20 წლის შემდეგ წესდებაში აღნიშნულია, რომ თითოეულ რაინდს სამი ცხენი და ერთი საჭურველთმტვირთველი ეკუთვნის. სადღა იყო ის დრო, როდესაც ღატაკ ძმეს ორ კაცზე ერთი ცხენი ჰყავდათ?! და მაინც ცხენებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს წესდება და ცხენის მკვლელობა ადამიანის მოკვლას უთანაბრდება. ნადირობა კი მხოლოდ ლომებზე იყო ნებადართული.

ტამპლიერთა დროშა, ეგრეთ წოდებული "ბოსეანი", შავ-თეთრი იყო. თეთრი ფერი სულიერ სისპეტაკესა და ერთგულებას გამოხატავდა, შავი კი — ღირსებასა და ურწმუნოთა მიმართ სიძულვილს. დროშაზე შემდგომი დევიზი იყო ამოქარგული: "ჩვენ არა, ჩვენ არა, უფალო, არამედ სახელი შენი განადიდე".

ტამპლიერთა რელიგიური მოვალეობანი, ბერულ ორდენებთან შედარებით, საკმაოდ მსუბუქი იყო. რადგანაც ამ უბირმა მეომრებმა ლათინური ენა არ იცოდნენ, მათი ლოცვა დაზეპირებული "მამაო ჩვენოს" რამდენჯერმე წაკითხვით ამოიწურებოდა. საბრძოლო ფორმის შესანარჩუნებლად მათ ხანგრძლივი დროით მარხვა ეკრძალებოდათ, თანაც უხორცო დღეებში სამ სხვადასხვანაირ კერძს მიირთმევდნენ. ტრაპეზი ერთობლივი იყო და ამ დროს საღვთო წერილს კითხულობდნენ. ძმები ორ-ორად ჭამდნენ ერთი მათლაფიდან. სერჟანტების, მეჯინიბეებისა და დაგვიანებულებისათვის მეორე სუფრა იყო გაშლილი. თუ სურვილი იყო, ტამპლიერს ღამითაც შეეძლო წახემსება.

წესდება მოითხოვდა წელიწადში სულ მცირე სამგზის ზიარებასა და კვირაში სამჯერ წირვაზე დასწრებას. ასევე კვირაში სამგზის მთელი ორდენი მოწყალებას ურიგებდა ღარიბებს.

წესდების დამრღვევები ისჯებოდნენ ტყავის მათრახის სამი დარტყმით. სასჯელი ყველას თანდასწრებით სრულდებოდა. განსაკუთრებული სიმკაცრით განიხილავდა წესდება მატერიალური სიმდიდრის საკითხს. ძმებს არანაირი საკუთრება არ გააჩნდათ. მთელი ფული ორდენის საერთო საკუთრებად ითვლებოდა და მკაცრად უნდა დათვლილიყო. თუ გარდაცვლილი ტამპლიერის სამოსში ფულს პოულობდნენ, ცხედარს ქრისტიანულ წესს არ უგებდნენ და თვითმკვლელივით უკურთხებელ მიწაში ფლავდნენ.

შემდგომ ამტკიცებდნენ, რომ არსებობდა ტამპლიერთა საიდუმლო წესდება. ასეთი რამ არასოდეს აღმოჩენილა, თუმცა ფილიპე მშვენიერის აგენტებმა ორდენის კუთვნილი ყველა სახლი გადააქოთეს, როცა 1307 წლის 13 ოქტომბერს ტამპლიერთა მასობრივი დაპატიმრება ჩატარდა. ადგილზე მხოლოდ სავარაუდოდ წმ. ბერნარის მიერ შედგენილი წესდების ასლები, თეოლოგიური თხზულებების თარგმანები და დავთრები იქნა აღმოჩენილი.

აღმავლობა

დროთა განმავლობაში ტაძრის რაინდთა ორდენი ძლიერ გასამხედროებულ ორგანიზაციად გადაიქცა. ევროპელი მონარქები არა მარტო დიდ შემოწირულობებს უძღვნიდნენ მას, არამედ თავიანთ სამეფოთა მართვასაც ანდობდნენ. ესპანეთში ტამპლიერთა საკუთრებაში აღმოჩნდა დიდი ტერიტორია. აქ 1144 წელს ტაძრის რაინდები თავიანთ სამფლობელოებს იარაღის ძალით იცავდნენ მავრების წინააღმდეგ. საფრანგეთში 1222 წელს მეფემ, ფილიპე ავგუსტმა ტაძრის ორდენს 2000 მარკა უანდერძა და კიდევ 50 000 დაჰპირდა იმ პირობით, რომ ტამპლიერები სამი წლის განმავლობაში პალესტინაში 300 რაინდისაგან შედგენილ გარნიზონს შეინარჩუნებდნენ. გარდა ამისა, საფრანგეთში ორდენი ყოველგვარი სახელმწიფო გადასახადისგან და ფეოდალური მოვალეობისაგან იყო გათავისუფლებული. სამაგიეროდ, ჰქონდა თევზაობისა და ნადირობისაგან, საძოვრებისა და ტყის დამზადებიდან შემოსული სახსრების გაკონტროლების უფლება.

გასაგებია, რომ სამხედრო აღჭურვილობა ძალიან ძვირი ღირდა. სწორედ ამით აიხსნება საერო მმართველთაგან ფულის შემოდინებისა და ორდენის გამდიდრების დასაწყისი. ფული ყოველთვის ომის მთავარი მამოძრავებელი ძალაა, მაშინაც კი, როცა ომს წმიდათა წმიდას უწოდებენ.

სამხედრო და სასულიერო მისიის შერწყმა იმდენად ნაყოფიერი იდეა აღმოჩნდა, რომ ტაძრის ორდენი ელვის სისწრაფით გაიზარდა და გაძლიერდა. საჭირო გახდა მისი პროვინციებად დაყოფა: გერმანია, ინგლისი, აკვიტანია, არაგონი, ოვერნი, ჩეხია, ბრანდენბურგი, კასტილია, კვიპროსი, საფრანგეთი, უნგრეთი, იტალია, მაიორკა, პორტუგალია, სიცილია, სლოვენია — აი, პროვინციათა არასრული სია. ყოველ ამ პროვინციას მართავდა პრიორი, რომელსაც ექვემდებარებოდნენ ეგრეთ წოდებული პრეცეპტორები.

სულ მალე ორდენმა საკუთარი ფლოტიც ააშენა და ევროპიდან პალესტინაში მლოცველთა გადაყვანა ითავა. ახალი ტურისტული სააგენტო მშვიდობიან ქრისტიანებს არა მარტო ტრანსპორტს სთავაზობდა, არამედ მუსლიმი მეკობრეებისაგან შეიარაღებულ დაცვასაც. ამის შემდეგ ბიზნესი კიდევ უფრო სწრაფად წავიდა წინ. ხომალდებზე 1500 მგზავრზე მეტის აყვანის უფლება არ იყო, სამაგიეროდ, არავითარი შეზღუდვა არ ვრცელდებოდა სავაჭრო ტვირთების გადაზიდვაზე, საიდანაც ორდენში კვლავ დიდძალი თანხები მოედინებოდა. სწორედ ტამპლიერებს მიმართა გემების დასაქირავებლად საფრანგეთის მეფემ **ლუი IX**-მ 1248 წელს, როცა ჯვაროსნულ ლაშქრობაში მიეშურებოდა.

სახელმწიფო სახელმწიფოში

გამდიდრებასა და გაძლიერებასთან ერთად ორდენის მმართველობა ცდილობდა საკუთარი თავის იურიდიულ დაცვასაც: ორდენის მაგისტრები უკვე არც ერთ ძალაუფლებას არ სცნობდნენ, თვით რომის პაპის გარდა. მხოლოდ რომის სასამართლოს შეეძლო ტამპლიერების წინააღმდეგ სარჩელის მიღება. თუ პრინციპი "სახელმწიფო სახელმწიფოში" ყველგან ერთნაირად არ ყოფილა განხორციელებული, ტამპლიერებმა ნამდვილად მიაღწიეს იმას, რომ იქცნენ "ეკლესიად ეკლესიაში". ორდენის მაგისტრები საეკლესიო კრებებზე ეპისკოპოსთა მომდევნო ადგილზე ისხდნენ, თუმცა სასულიერო ხარისხი არ გააჩნდათ. სამაგიეროდ ხელთ ეპყრათ ეკლესიის სამხედრო დაცვის პრიორიტეტი, რომელიც, ფაქტობრივად, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო.

სულ რაღაც ასი წლის განმავლობაში ორდენმა მიიღო აღმოსავლეთის ტერიტორიათა დაპყრობისა და მათი ერთპიროვნული მართვის უფლება. ტამპლიერთა პრესტიჟი აღმოსავლეთში იმდენად დიდი იყო, რომ არაბები ყოველთვის მათ მიმართავდნენ, როცა ევროპელებთან მოლაპარაკებაში შუამავალი სჭირდებოდათ. აქედან წარმოიშვა ლეგენდა იმის შესახებ, რომ ტაძრის რაინდებმა კავშირი დაამყარეს საიდუმლო მუსლიმურ სექტებთან. რა თქმა უნდა, არაბულ სამყაროსთან კავშირი არსებობდა და შეუძლებელიც იყო, არ ეარსება. მაგრამ რაღაც განსაკუთრებულ იდუმალ ცოდნასა და ქვეყნიერების დაუფლების გასაღების პოვნაზე ლაპარაკს არ შეიძლება სერიოზულად მოვეკიდოთ. ყველა იდუმალ სექტაში არსებული ცოდნა, ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ იმისთვის თუ აღმოჩნდება საკმარისი, რომ საკუთარ წევრებზე მმართველობა უზრუნველყოს, ისიც სასრული ისტორიული პერიოდის განმავლობაში.

სწორედ ასე აღმოჩნდა თვით ტამპლიერთა შემთხვევაშიც. ამბობენ, რომ ფილიპე მშვენიერის მოხელეებმა ორდენის გაუქმების შემდეგ ვერავითარი ზღაპრული სიმდიდრე ვერ აღმოაჩინეს. ალბათ მოლოდინები რეალობაზე გაცილებით უფრო დიდი იყო და ტამპლიერებისაგან ამოღებულმა თანხებმა ვერ დააცხრო მეფის საოცარი სიხარბე.

ნოდარ ლადარია
ლეილა ბეზარაშვილი

წმიდა ბერნარ კლერვოსელი

ამ კაცის სახელთან დაკავშირებულია, მაგალითად, ცნობილი ძაღლის ჯიში — სენბერნარი. ადამიანის ეს ვეებერთელა, ფუმფულა და ძლიერი მეგობარი **ბერნარ კლერვოსელის** სახელობის შვეიცარიულ მონასტერში გამოიყვანეს და წმიდა პატრონის სახელიც მიანიჭეს.

თვითონ ბერნარი კი ათასი წლის წინათ მართავდა მთელს დასავლეთ საქრისტიანოს. შეიძლება მისი ცხოვრების გაცნობამ ერთგვარი სიძულვილიც მოჰგვაროს მკითხველს: ჩვენს წინაშეა მრისხანე და მოშურნე ადამიანი, ღვთის დიდებისათვის ბრძოლით სრულიად შეპყრობილი, თავისი დროის უდიდესი მოაზროვნის, **პიერ აბელარის** დაუძინებელი მტერი და მდევნელი, სხვა რელიგიათა წინააღმდეგ ცეცხლითა და მახვილით ბრძოლის მქადაგებელი.

სწორედ ბერნარმა იქადაგა პირველად ჯვაროსნული ლაშქრობის აუცილებლობა, ის იყო მეფეთა მრჩეველიცა და მამხილებელიც, მან მოუწოდა ქრისტიანებს სამხრეთ საფრანგეთში გაბატონებული კათართა ერესის წინააღმდეგ იარაღის ასაღებად. წმიდა ბერნარი ყველგან ასწრებდა. იგი რეიმსის მთავარეპისკოპოსად აირჩიეს, მაგრამ უბრალო ბერად დარჩენა ამჯობინა. ეპისკოპოსის კათედრასთან მშვიდ ჯდომას ერჩია, ქრისტიან ლაშქარს ჩასდგომოდა სათავეში და ეკლესიისა და მსოფლიოს დასაპყრობად გაძღოლოდა წინ. სწორედ ტაძრის რაინდთა ორდენი იყო ეს ქრისტიანი ლაშქარი. ბერნარ კლერვოსელი სამართლიანად ითვლება ამ ორდენის საეკლესიო დამაარსებლად (საერო ინიციატორი **უგო დე პეინი** იყო).

წმ. ბერნარი ცისტერციანელთა ორდენს მიეკუთვნებოდა. ორდენის სახელწოდება წარმოდგება საფრანგეთის ქალაქ **სიტოს** ლათინიზირებული სახელიდან. სიტოში იყო განლაგებული კლუნის სამონასტრო ტრადიციის ყველაზე მნიშვნელოვანი სააბატო და იქიდან დაიწყო საბერო ორდენის აღზევებაც. XI საუკუნიდან მოყოლებული და კარგა ხნის განმავლობაში, ფრანგი ეროვნების პაპი აუცილებლად ცისტერციანელი იყო, თუმცა ეს არასოდეს არავის დაუკანონებია.

ცისტერციანელები, განსაკუთრებით კი თვით წმ. ბერნარი, თეოლოგიაში განახლებული მიმართულების ფუძემდებლებად ითვლებიან. ადრეული სქოლასტიკური ფილოსოფიისაგან განსხვავებით, რომელიც რაციონალიზმით იყო შთაგონებული, ისინი დასავლური ქრისტიანული მისტიციზმის პირველწყაროდან, ავგუსტინე ნეტარის თხზულებებიდან იკვებებოდნენ. ავგუსტინე მალე ქრისტიანული მსოფლმხედველობის უმთავრეს ბურჯად იქცა. შემთხვევითი როდია, რომ სანამ განსაკუთრებული წესდება დაიწერებოდა, თვით საერო ორდენის წევრები, ტამპლიერები, ავგუსტინეს წესდებით სარგებლობდნენ.

ეს ახალი თეოლოგია პლატონით იყო გამსჭვალული: ქრისტიანული ასკეტიზმი ადამიანს სრულყოფილებისაკენ მოუწოდებს, ადამიანი თანდათანობით მაღლდება სხეულში მობინადრე ცხოველურ ინსტინქტებზე, კონცენტრირდება ჯერ სამშვინველზე, სადაც მისი რაციონალური გონებაა ჩაბუდებული და ბოლოს სრულ ნეტარებას პოულობს სულში. სული კი სიყვარული, ანუ ღვთის ჭეშმარიტი გონებაა. მისი წყალობით ადამიანი გადადის აჩრდილთა და ხილულ სახეთა სამყაროდან მადლისა და ჭეშმარიტების მზიურ ნათელში.

წმიდა ბერნარი ამ თეორიის მხურვალე მიმდევარი იყო. იდეალად მიაჩნდა ყოველივე გრძნობიერისგან გათავისუფლება: გადმოცემა მოგვითხრობს, რომ იგი მთელი დღის განმავლობაში სულიერ ჭვრეტაში ჩართული ჯორზე ამხედრებული მგზავრობდა ჟენევის ტბის ნაპირას და ტბა კი ვერ შენიშნა. წმიდა ბერნარი მთლიანად იყო დათრგუნული ღვთის სიდიადის შეგნებით. ამიტომაც ვერ იტანდა დიალექტიკოსებს, რომლებიც თავიანთი გონების ვარჯიშით ამ სიდიადეში შეღწევას ლამობდნენ. ბერნარის თანახმად, რაციონალურ მიდგომას ძალა ვერ შესწევს, ადამიანი ჭეშმარიტების სიმაღლეზე აიყვანოს, მას მხოლოდ ღვთის სიდიადის დამდაბლება და მისი ნაწილებად დაშლა შეუძლია.

როგორღა უნდა მოვიცვათ იმის სისავსე, რაც გონებით წვდომასა და სიტყვით გამოხატვს არ ემორჩილება? ერთადერთ გზად ბერნარს ამა ქვეყნისაგან განშორება, ყოველივე მიწიერის უკუგდება მიაჩნია: საკუთარი სხეული უნდა დაამარცხო, მორჩილებისა და სიმდაბლის თორმეტი საფეხური გაიარო და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება გქონდეს იმედი, რომ საკუთარ თავში ღვთის ხატსა და მსგავსებას შეიმეცნებ. ბერნარის თეოლოგიური მოძღვრების მთელი საზრისი ერთ წინადადებაში გამოიხატება: "მიზეზი, რომლის წყალობითაც გვიყვარს ღმერთი, თვით ღმერთია".

ყველაზე მეტად წმ. ბერნარი თავის თხზულებებში ფსევდოდიონისე არეოპაგელს ეყრდნობოდა, ყველაზე ხშირად კი ციტატები "ქებათა ქებიდან" მოჰყავდა. სარწმუნოება მისთვის ადამიანის სულისა და ღმერთის სასიყვარულო ექსტაზური ერთიანობაა, "ცოლქმრული კოცნაა".

ამ მისტიციზმისა და სასიყვარულო მეტაფორულობის წყალობით წმ. ბერნარის თეოლოგიამ ყველაზე დიდი წარმატება პოეტთა შორის მოიპოვა: დანტე ალიგიერიმ სწორედ ის აირჩია სამოთხის უმაღლეს დონეებზე თავის წინამძღოლად.

მაგრამ თვით ბერნარის, მისი უშუალო ნების მიერ შთაგონებული ხელოვნება, მიუხედავად დახვეწილობისა, სრულიად მოკლებულია ფუფუნებასა და დეტალების სიუხვეს. ცისტერციანული ტაძარი, შეიძლება ითქვას, ეს არის პროტესტანტიზმი რეფორმამდე — იმდენად მოკლებულია იგი სხვადასხვა სამკაულებსა და სამშვენისებს. ხელოვნების ნიმუშები საეკლესიო შენობაში წმიდა ბერნარისათვის მხოლოდ მორწმუნეთა თვალის ყურადღების მიმქცევი და ღვთისმსახურებისაგან მისი განმაშორებელი დეტალებია. ტაძარი ისეთივე უნდა იყოს, როგორც ტამპლიერთა იარაღი: მჭრელი და გამძლე, მაგრამ მოოქროვილ ორნამენტებს მოკლებული. ბერნარმა, რომელმაც უარი თქვა საფრანგეთის მთავარ სასულიერო პოსტზე, რეიმსის მთავარეპისკოპოსობაზე, მკაცრად გააკრიტიკა სენ-დენის სააბატო, ქვეყნის მთავარი ტაძარი: მას სენ-დენის ზედმეტი სიმაღლე, სივრცე და მასში თავმოყრილი აურაცხელი სიმდიდრე არ მოსწონდა.

წმინდა ბერნარი კათედრასთან

ტამპლიერთა ბეჭედი

რა არის ცხოვრების აზრი?

მარტინ ვალზერი

ეს კითხვა ერთ ახალგაზრდა სტუდენტს ჯერ კიდევ 1962 წელს დაებადა. მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ პასუხის მოლოდინში ლექციებისთვის დაეგდო ყური, მან თავის მეგობარ გოგონასთან ერთად გადაწყვიტა, მათ დაჰკითხვოდა, ვისაც, წესით, პასუხი უნდა სცოდნოდათ.

წყვილმა წერილები დაუგზავნა ისეთ გამოჩენილ მწერლებს, როგორებიც მაქს ფრიში, კარლ ცუკმაიერი და მარტინ ვალზერი არიან, და პასუხებიც მიიღეს.

მას შემდეგ 40-ზე მეტი წელი გავიდა, და აი, ოდესღაც ფსიქოლოგი სტუდენტის ცოლმა სხვენის დალაგების დროს წერილებს მიაგნო. მან თავისი აღმოჩენა ყოველკვირეულ გაზეთ "ცაიტს" გადასცა.

"რთულ კითხვას მისვამთ," უპასუხა სტუდენტს შვეიცარიელმა მწერალმა მაქს ფრიშმა (1911-1991). "ჩათვალეთ, რომ ცხოვრებას აზრი აქვს, და მერე მთელი ცხოვრება მის ძიებას მოანდომეთ... ახლავე განუგეშებთ, რადგან მრავალგზის მოგიწევთ ისეთი ვითარების განცდა, როცა ეს კითხვა დაიბადება: ცხოვრება თავადაც სავსებით საკმარისია და მას მიზანი არ გააჩნია". დადაიზმის ერთ-ერთი მამამთავარი, რაულ ჰაუსმანი (1886-1971) უფრო პესიმისტურად იყო განწყობილი: "მე რამდენადაც შევნიშნე, ცხოვრებას აზრი არა აქვს," წერდა ის. "ძალიან სულელური და სევდიანი ამბავია".

იმხანად 28 წლის უვე ჯონსონის (1934-1984) პასუხი ფრიად მოკრძალებული იყო: "თქვენს კითხვაზე პასუხის გასაცემად მზად არ ვარ. ჯერ არის და, სიბრძნისთვის მეტისმეტად ახალგაზრდა გახლავართ, მეორეც ერთი – ეს ჩემი საქმე არაა, და მესამე – შეიძლება ვცდებოდე". მარტინ ვალზერი კი, რომელიც იმხანად ასევე ახალგაზრდა, 35 წლისა იყო, წერდა: "...ცხოვრებას ხან აქვს აზრი, ხან – არა. თუკი საბოლოო პასუხს მივაგენი, აუცილებლად მოგწერთ".

მწერალმა ლუიზე რინზერმა (1911-2002) ახალგაზრდებს კონკრეტული რჩევა მისცა: "ნუ იკითხავთ, უბრალოდ, იცხოვრეთ ისე, როგორც წესი და რიგია: ერთგულად ემსახურეთ თქვენს საქმეს, გიყვარდეთ ადამიანები, სიკეთე აკეთეთ, გიყვარდეთ დედამიწა და თქვენი შემოქმედი, და მერე თავად მიხვდებით, რომ ცხოვრებას აზრი აქვს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას ვერაფერს არქმევთ და უბრალოდ, გრძნობთ". ვალტერ იენსიც იმედიანად შესცქერის მომავალს: "მე დარწმუნებული ვარ, რომ ცხოვრებას აზრი აქვს. უბრალოდ, ვფიქრობ, რომ ეს აზრი ყველა ადამიანისთვის განსხვავებულია, რომ მისი მიგნება ყოველ ადამიანს მხოლოდ თავად შეუძლია".

ეს სურათები ქალებსაც აღაგზნებს

გავრცელებულია აზრი, რომ ეროტიკული სურათები მამაკაცებს აღაგზნებს და ქალებს გულგრილს ტოვებს. ნურას უკაცრავად! მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ ისინი მამაკაცების თავის ტვინის აქტივიზაციას მეტად ახდენს, სხეულის დონეზე კი ქალებზეც ასეთივე აღმგზნები გავლენა აქვს.

მამაკაცების ტვინი ქალებისაზე უფრო მგრძნობიარეა – ყოველ შემთხვევაში, მაშინ, როცა საქმე ეროტიკულ სურათებს ეხება. მიუხედავად ამისა, ისინი ქალებსაც "ქოქავს" – ეს მონაცემები სამეცნიერო ჟურნალ Nature Neuroscience-ში გამოქვეყნდა.

ატლანტაში ჩატარებული ექსპერიმენტი შემდეგში მდგომარეობდა: მეცნიერები საცდელ პირებს, ქალებსა და მამაკაცებს, სხვადასხვა სურათებს აჩვენებდნენ და მათი ტვინის აქტივობას იწერდნენ. ზოგიერთ სურათზე ნეიტრალური სიტუაციები იყო გამოსახული, ზოგიერთზე კი ეროტიკულ პოზებში აღბეჭდილი შიშველი მოდელებისა და სექსით დაკავებული წყვილების ნახვა შეიძლებოდა.

ძირითადად, ქალებსაც და მამაკაცებსაც ერთნაირი რეაქცია ჰქონდათ: წყვილების გამოსახულებას ისინი შიშველი მოდელების გამოსახულებაზე უფრო აღმგზნებად მიიჩნევდნენ. უბრალოდ, მამაკაცებთან შეგრძნებების ცენტრი უფრო ძლიერ რეაქციას იძლეოდა, ფიზიკურ დონეზე კი ქალები უფრო აღგზნებულნი იყვნენ.

მეცნიერების დასკვნით, სწორედ ამიტომ მიაჩნიათ მამაკაცებს სექსუალური პარტნიორის გარეგნობა ესოდენ მნიშვნელოვან ფაქტორად.

ეროტიკა ორივე სქესსზე მოქმედებს

სიბრძე – მნიშვნელოვანი ფაქტორი

მრავალი მამაკაცი თავს იმით იმშვიდებს, რომ პენისის სიგრძეს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რომ მთავარი ურთიერთგაგება და სიყვარულია. მაგრამ სელაპები და ზღვის ლომები, როგორც ჩანს, სულ სხვა აზრისა არიან: კანადელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ უფრო დიდი მამაკაცური ღირსების მქონეს ცხოვრების თანამგზავრი მდედრის გულის მონადირების მეტი შანსი აქვს.

სამეცნიერო ჟურნალ "ოიკოსში" კანადელმა მეცნიერებმა სტატია გამოაქვეყნეს. მათი კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ პოლარულ რეგიონებში მცხოვრებ ცხოველებს ტროპიკების მკვიდრებთან შედარებით დიდი პენისი აქვთ (სხეულის ზომასთან მიმართებაში). მკვლევარებმა პენისის ძვალი, რომელსაც მეცნიერულად ბაკულუმი ჰქვია, 122 ხორცისმჭამელ სახეობას გაუზომეს. გაირკვა, რომ ცივ სარტყელებში მცხოვრებ ძუძუმწოვრებს უფრო გრძელი სასქესო ორგანოების წყალობით იმის შანსი ეძლევათ, რომ მწირი სექსის მიუხედავად მრავალრიცხოვანი მემკვიდრეობა ჰყავდეთ.

დიდ კოლონიებად მცხოვრები ზღვის ლომების წონა ცალკეულ შემთხვევებში 2,3 ტონას აღწევს, მაგრამ მათ ასეთი გიგანტისთვის შეუფერებლად პატარა ბაკულუმი აქვთ. მდედრებს ისინი თავს წონითა და ძალით აწონებენ – მეტი რა დარჩენიათ. ზღვის ლომებზე შეუდარებლად ტანმორჩილ სელაპებს კი 60 სანტიმეტრიანი ბაკულუმი და ძალიან გრძელი სასქესო არგანო აქვთ. საქმე ისაა, რომ სელაპებს საკმაოდ იშვიათად ეძლევათ სექსის საშუალება – ცხოვრების პირობებიც ძალიან მძიმეა და მდედრებსაც იშვიათად ხვდებიან, და ამ დროს პრანჭვისა და თავის მოწონების უნარის არ მქონეებმაც უნდა შეძლონ გამრავლება. გარდა ამისა, სელაპები მეტწილად წყალში არიან, ზღვის ლომები კი ხმელეთზე დაბაჯბაჯებენ და, შესაბამისად, ბაკულუმის მოტეხვის მეტი საფრთხე ემუქრებათ.

საკანთორდი



TV პროგრამა

7 აპრილი

რუსთავი - 2

07.00 დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.50** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** ჩემპიონთა ლიგა **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** სერიალი "სოპრანოს კლანი" **22.50** ღამის კურიერი **23.45** ჩემპიონთა ლიგა. "დეპორტივო"-"მილანი" **02.00** ჩემპიონთა ლიგა. "ლიონი"-"პორტო"

07.00, 09.00, 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 03.10(შვეიცარია), 03.45(აფრიკა), **05.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **09.30** ტელედილა. **08.05** გამოგონების ისტორია დოკ. ფილმი. **11.30** დიდი მოგზაურობა. **12.05** ზიგზაგ კაფე. 16. 30 ციფრები და ასოები. ტელეთამაში. 17. 30 კლიენტი გოგო. მხ. ფილმი. 19. 30 კითხვები ჩემპიონისთვის . ტელეთამაში. **21.25** ყრუების ქვეყანა. დოკ. ფილმი. 01. 00 მემუარები შვეიცარიის საზღვრიდან. დოკ. ფილმი. **01.25** ფესვები და ფრთები. პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება. ორმაგი მე. **06.25** ჩემი გატაცება კინო.

პირველი არხი

07.30 ალიონი **09.45** მულტსერიალი "პაპირუსის თავგადასავალი" **10.10** მხ. ფილმი "მდიდარი რომ ვიყო" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ქართული ენის გაკვეთილი **14.30** დოკ. ფილმი "დიზაინი" **15.15** მხ. ფილმი "გალია ბოცვრებისათვის" **16.45** დოკ. ფილმი "შავკანიანთა მუსიკის დიდი ისტორია" **17.20** საქართველო, დრო, მოვლენები **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" **18.30** სერიალი "წერილვარსკვლავთა ღამე" **19.00** ენერგია **19.25** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.05** ბასტი-ბუბუ **21.20** სერიალი "სოლედადი" **22.15** დოკ. ფილმი **23.30** მხ. ფილმი "თიხის ძაღლის საიდუმლო"

პირველი სტერეო

07.20 პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **16.00** ფილმი "გამყინვარების პერიოდი". მულტფილმი. **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** ქართ. მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** პოპ. ად. ათეული **02.00** "ბრავო" "პირდაპირი ეთერი ბაღდადიდან" მთ.რ-ში მაიკლ კიტონი. **03.00** პაუზის გარეშე

მზე

09.00 არჩევანის ზღვარზე **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "რედვოლი" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **21.00** მხ. ფილმი "ტერმინალი" (ბრიუს კემბელი) **22.45** არჩევანის ზღვარზე **23.45** მხ. ფილმი "გზა არლინგტონისაკენ" (ჯონ კიუსაკი)

მეორე არხი

19.00 მულტსერიალი "შავი მეკობრე" **19.35** კინოსეანსი "ფორსაიტების საგა" 17-18 ს. **20.55** და არს მუსიკა **21.20** ჩვენი მისამართია **22.00** მხ. ფილმი "ოსტატის შეხება"

კავკასია

12.00 მხ. ფილმი "გლადიატორი" **14.00** მხ. ფილმი "სასიკვდილო იარაღი" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი "შიშველი პისტოლეტი-3" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "მეხუთე ელემენტი" **00.30** მუსიკა

იმედი

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 ქრონიკა **07.15, 13.15, 17.20, 01.35** იმედის მელოდიები **07.30** "იმედის" დილა **10.05** სერიალი "ტყუპები" **11.05** სპ. პროგრამა "გოლი სერია ფ" **12.10** სერიალი "კლონი" **13.30** ლარის მახე **14.05** სერიალი "შტოკინგერი" **15.15** ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია **17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.15** ქრონიკა **17.25** ანიმაციური ფილმი: "სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.30** ქართ. სერიალი "თენდება გვიან" **21.30** "პირველი ნახევარი" **23.00** არტ-ბულვარი **23.30** მხ. ფილმი "24 საათი ტყვეობაში" (შ. ტერონი)

მეცხრე არხი

08.00 პროგრამა "დილა" **09.30** დღის ამბები **09.45** პროგრამა "დილა" **10.15, 17.50, 19.40, 20.20, 23.00** მუსიკა **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.45** დღის ამბები **11.50** მხ. ფილმი "პიკის სათი" **13.25** ცხელი ცხრიანი **14.00** მულტფილმი "ბანანების ზოოპარკი" **14.50** ევროპის სტადიონებზე **15.10** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **15.35** სერიალი "ზურგის ქარი" **16.35** დოკ. სერიალი "კუდიანი ამბები" **17.00** მხ. სერიალი "მისტერ ბინი" **18.00** მულტფილმი "ბანანების ზოოპარკი" **18.30** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** სერიალი "ზურგის ქარი" **20.00** "ევროპის სტადიონებზე" **22.00** სერიალი "მოჯადოება" **23.15** ქართ. ფილმი "დიდი მწვანე ველი" **01.00** მხ. ფილმი "ლარა კროფტი-2"

არხი

09.00 საინფორმაციო დაიჯესტი **09.30** სათავგასავლო ფილმი "ოდისეა" 1 ს. **11.00** მუსიკა **11.10** დოკუმენტური ფილმი **12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 00.00** საინფ. გამ. "დღეს" **12.10, 16.10, 19.15, 23.00, 00.20** საინფ.გამოშვება "ნოვოსტი" **12.20** კომედია "სიყვარულის ისტორია" **13.40, 15.40, 21.50** მუსიკა **14.05** თრილერი "მეცხრე სესია" **16.20** მულტფილმი **17.25** მხ. ფილმი "საბინა" **19.30** დოკუმენტური ფილმი **20.20** თრილერი "მოქალაქის დამღა" **22.00** "ხედვა" **23.30** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **00.40** საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე **01.00** მხ. ფილმი "ქართან მოუბარი" **03.15** დოკ. ფილმი **04.00** ისტორიული ფილმი "ელისაბედი"

ОРТ

07.00 "Доброе утро!" **10.00, 13.00. 16.00, 19.00** Новости **10.20, 22.35 Сериал "Улицы разбитых фонарей" 11.20, 20.00 Сериал "Клон" 12.20** Мультсериал "Кошки-мышки" **12.40** Дисней-клуб: "Мышиный дом" **13.20 Фильм "О возвращении забыть" 14.50** "Сканер". "Суд присяжных" **15.10** Шоу "Город женщин" **16.20 Сериал "Берег мечты" 17.20** "Угадай мелодию" **17.50** "Большая стирка" **19.25** "Смехопанорама" **20.50 Детектив "Евлампия Романова: следствие ведет дилетант" 22.00, 00.30** "Время" **22.35 Сериал "Улицы разбитых фонарей" 23.40** Э.Радзинский. "Загадка императора". Вечер 3-й **00.50** "Фабрика звезд" **01.10** "Новые чудеса света". "Австралия. Город-антипод" **01.40** "Крылья" **02.10** "Форганг" **02.40 Фильм "Месье N" 05.00 Сериал "Мертвая зона"**

РТР

06.00 Доброе утро, Россия! **09.45, 21.55 Сериал "Небо и земля" 10.50** "Короткое замыкание" **11.45, 14.50, 17.30, 00.50** Вести. Дежурная часть **12.00, 15.00, 18.00, 21.00** Вести **12.20, 15.10, 17.40, 21.30** Местное время. Вести-Москва **12.50** "Что хочет женщина" **13.50 Сериал "Ключи от бездны. Операция "Голем" 15.30** "Частная жизнь" **16.30 Худ.фильм "Пуаро Агаты Кристи" 18.10 Сериал "Крот" 19.05 Сериал "Комиссар Рекс" 20.00 Сериал "Закон" 21.50** "Спокойной ночи, малыши!" **23.00 Сериал "Ключи от бездны. Операция "Голем" 00.00** "Вести+" **00.20** "Авторитет" **01.00 Футбол. Чемпионат России. "Зенит"** (Санкт-Петербург) - **"Рубин"** (Казань) **03.00** "Горячая десятка" **04.00** "Дорожный патруль" **04.10** "Агентство одиноких сердец" **04.35 Сериал "Волны перемен"**

НТВ

07.00 "Утро на НТВ" **09.50 Сериал "Пятый ангел" 11.00** "Сегодня утром" **11.25** "Кулинарный поединок": С.Рост - А.Конча" **12.20** Ток-шоу "Страна советов" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.55** "Сегодня" **13.30 Комедия "Презумпция невиновности" 15.20** "Время есть" **15.35** "Протокол" **16.35** "Принцип домино" **18.30 Сериал "Дальнобойщики". "Зеленые бригады" 19.35** "Протокол" **20.40 Сериал "Литовский транзит", 11 с. 21.45 Сериал "Пятый ангел", 3 с. 23.00** "Страна и мир" **23.35** "Красная стрела" **23.45** Док.фильм "Чемодан. Вокзал. Россия" **00.50 Сериал "Литовский транзит"**

Google საკუთარ უფასო ელექტრონულ ფოსტას ამზადებს

250-ჯერ მეტი ადგილი, ვიდრე სხვა ინტერნეტ-მონტსრებს

მამუკა ქირია

ინტერნეტ-კომპანია Google ბოლო დროს აქტიურად ცდილობს სერიოზული დარტყმა მიაყენოს თავის უშუალო კონკურენტებს. სხვა კომპანიები, როგორებიცაა Yahoo! Mail და MSN Hotmail, გარდა საძიებო სისტემებისა, Google-სგან განსხვავებით ძლიერ საფოსტო სისტემებსაც ფლობენ. ახალი შტურმი ამ კომპანიებზე Google-მა უკვე დაიწყო, რაც იმაში გამოიხატება, რომ ნაცვლად 2 ან 4 მეგაბაიტისა, მომხმარებელს ახლად გამომცხვარ Gmail-ზე ერთი გიგაბაიტი (250-ჯერ მეტი, ვიდრე Yahoo! Mail-ს და MSN Hotmail-ს) საფოსტო ადგილი დახვდება.

ექსპერტები მიიჩნევდნენ, რომ ეს საპირველაპრილო ხუმრობა იყო, მაგრამ Google სრულებითაც არ ხუმრობდა, უფრო მეტიც, მან უკვე თავისი ელექტრონული ფოსტის ტესტირება დაიწყო.

ზოგიერთი სპეციალისტი თვლის, რომ კომპანიას ერჩივნა თავისი მოქნილი საძიებო სისტემა, რომელსაც დღეს ინტერნეტ ტექნოლოგიაში ბადალი არ ჰყავს, უფრო დაეხვეწა და მეტ წარმატებას მიაღწევდა. ზოგის აზრით, ამ ზომის საფოსტო ყუთის არსებობა ვირუსული ეპიდემიების დროს საფრთხეს შეუქმნის ჯერ თვით Google-ს და შემდგომ კი მთელ ინტერნეტს, რადგანაც დაიმფიცირებული გზავნილები დიდი ხნით დარჩება საფოსტო ყუთებში, რაც ზოგიერთი ვირუსების სავარაუდო ინკუბაციას გამოიწვევს. საფოსტო ყუთი წელიწადში ერთხელ სუფთავდება, ხოლო ვირუსების შემთხვევაში კი Gmail-ზე ინფიცირებული ყუთები ერთ დღეში კვდება. არსებობობს კიდევ მოსაზრება, რომ კომპანია Google აქაც თავისი ინდექსირების ძლიერ ტექნოლოგიას დანერგავს და, სავარაუდოდ, საფოსტო ყუთები არ გადაივსება. ამას კი საფოსტო არქივაციაც მიხედავს.

როგორც ზემოთ ვახსენეთ, Google-ის ახალი სერვისი ჯერ კიდევ ტესტირების სტადიაშია, რომელშიც ათასობით შერჩეული სპეციალისტია ჩართული.

მას შემდეგ, რაც ამუშავდება ყველა მექანიზმი, Gmail-ზე ყველა მსურველს მიეცემა ჩვეულებრივი რეგისტრაციის უფლება. მხოლოდ არ გაგიკვირდეთ, თქვენს საფოსტო ყუთში განსაკუთრებით მხიარული და ბევრის მთქმელი სარეკლამო ბილბორდები თუ აღმოაჩინეთ. მართლაც, ამ ზომის საფოსტო ყუთებს რა წერილები გაავსებს?! ფინანსისტები თვლიან, რომ კომპანიას შემოსავლების გაზრდა, სწორედ დასავლეთის ბაზრების სარეკლამო მომსახურებაზე აქვს გათვლილი.

პოეტების ახალი თაობა

ინგლისური როკ-ჯგუფის "რეიდიოჰედის" წევრი კოლინ გრინვუდი კონკურსის - “პოეტების ახალი თაობის” ჟიურის წევრად აირჩიეს. კონკურსი ბრიტანეთის ხელოვნების საბჭოს მიერ პირველად ათი წლის წინათ გაიმართა და მიზნად ისახავდა ნიჭიერი სახელების მოძიებას; ასევე ფართო საზოგადოების ყურადღების გადატანას პოეზიისკენ და ახალგაზრდა მწერლებისკენ.

კოლინ გრინვუდი იქნება პირველი მუსიკოსი, რომელიც ამ კონკურსის ჟიურიში მიიწვიეს. ეს კი, ალბათ, შემთხვევითი არაა, რადგანაც მუსიკოსმა დაამთავრა კემბრიჯის უნივერსიტეტი და ინგლისურ ენასა და ლიტერატურაში ხარისხი აქვს დაცული.

კურიოზული დაკრძალვა

ვიეტნამის სამხრეთ ნაწილში, პროვინცია ბენ ტრეში, ზღვამ ნაპირზე უზარმაზარი ვეშაპი გამორიყა. ზღვის გიგანტის ნეშტი 30 ტონას იწონის.

იქაურ მებადურებს ვეშაპი თავიანთ მფარველად მიაჩნიათ. ვიეტნამურად ვეშაპს “კა ონგი” ჰქვია - ანუ “პატივსაცემი, მოხუცი თევზი”.

მებადურებს გადაწყვეტილი აქვთ, 25 მეტრის სიგრძის ვეშაპი სამი თვით სანაპიროზე დაიმარხოს, შემდეგ კი მის ძვლებს ტაძარში გადააბრძანებენ.

საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი "რუსული კლუბი" წარმოგიდგენთ

ალექსანდრე ვერტინსკის იუბილესადმი მიძღვნილ სპექტაკლს

"ყვითელი ანგელოზი"

12,19, 26 აპრილი
"თავისუფალი თეატრი"
დასაწყისი 19.00 საათზე
ცნობებისათვის დარეკეთ ტელ: 93-43-36 98-58-21

ბრიტანული ცენტრი აცხადებს მსმენელთა მიღებას

სადაც მსურველებს მაღალ დონეზე შეასწავლიან ინგლისურ ენას. სკოლაში გამოყენებულია დაჩქარებული სწავლების უნიკალური მეთოდი "Callan Method English in a Quarter of Time" (ინგლისური მეოთხედ დროში).

სწავლების სხვა მეთოდებისაგან განსხვავებით, გაკვეთილის მსვლელობისას მსურველებს ეძლევათ განუწყვეტლივ მეტყველების საშუალება, რაც გაცილებით უფრო მიმზიდველსა და სასიამოვნოს ხდის სწავლების პროცესს. სკოლა განკუთვნილია ნებისმიერი მომზადების დონისა და ასაკის პირთათვის და თითქმის არ ითვალისწინებს საშინაო დავალებას. პირველი ერთი კვირა უფასოა.

დაგვიკავშირდით და თავად დარწმუნდებით ამაში.

ჩვენი მისამართია: თბილისი, ჭავჭავაძის 70
(გალაკტიონის ძეგლის პირდაპირ)
ტელ: 22 62 95

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24

ნორთუმბრიის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამები ლონდონში

ვიღებთ აპლიკაციებს ნორთუმბრიის უნივერსიტეტის პროგრამებისათვის, რომლებიც ჩატარდება ლონდონის კომერციის სკოლაში (ლკს). ნორთუმბრიის უნივერსიტეტი უკანასკნელი სამი წელის სახელდება სანდეი ტაიმსის მიერ ნომინირებულ საუკეთესო თანამედროვე უნივერსიტეტად. ლკს აკრედიტირებულია ბრიტანეთის საკრედიტაციო საბჭოს მიერ. შემდეგი სასწავლო წელი იწყება 2004 წლის ივნისში.

მაგისტრატურა — £3950
ბიზნეს ადმინისტრაციაში
ბიზნეს ინფორმაციების ტექნოლოგიაში
1 წლიანი პროგრამა

ბაკალავრიატი — £6950
საერთაშორისო ბიზნეს ადმინისტრაციაში
გამოყენებით ინფორმატიკაში
2 წლიანი პროგრამა

ნორთუმბრიის უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნეს ადმინისტრაციის მაგისტრატურის წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტებს საშუალება ექნებათ გაიარონ ბიზნეს ადმინისტრაციის მაგისტრატურა (MBA). MBA გრძელდება 6 თვე და სწავლის ღირებულება შეადგენს 1500 ფუნტ სტერლინგს.

შესაბამისად სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ მაგისტრის ორი ხარისხი სულ რაღაც 5450 ფუნტ სტერლინგად.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ: ნონა მესხიაშვილი / ლკს-ის პროგრამები თბილისი, მცხეთის ქუჩა 2, I სადარბაზო, I ოფისი ტელეფონი: 25 30 25, 23 02 84; მობილური: 893-35-20-67 ელ-ფოსტა: nona@mail.ru; http://www.lsclondon.co.uk

2004 წლის ივნისიდან პირველ სტუდენტს მიიღებს დახმარებას სკოლიდან 1000£

შესაძლებელია ინგლისური კურსების გავლა ლონდონში

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ გთავაზობთ:

კომპიუტერის მემსწავლეელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათითოთიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- ალრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel,
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: ფ.ქუთათელაძის N70 ტელ:29-48-61

წამალი "სალხინო"

ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.